პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76) მდივნის 10—68) ღამის მორიგეს 13—30.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 34, ტელეფონი № 3-81.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები
საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან – 80 კ. ნონპარელის სტრიქონი. ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ., საქართველოს გარეთ— ტექსტის უკან—1 მ. 20 კ., ტექსტში—3 მ.; განმეორებული გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დღიური

- მწარმოებლების და ინგლისის ტრედ-იუნიონების გენსაბჭოს გაერთიანებული კონფერენცია.
- „როტე ფანე" ს. კ. პ. (ბ) მე-15 ყრილობის შესახებ.
- კანტონში მოკლულ საბჭოთა ვიცე-კონსულის ამხ. ხასისის ბიოგრაფია.
- ვან-ცზინ-ვეი და ჩან-ფა-გუი საფრანგეთში მიემგზავრებიან.
- ყინვები ევროპაში.
- მოსკოვის საბჭომ გადასწყვიტა მოსკოვში ააგოს ავტომობილის ახალი ქარხანა.

პარასკევი, 23 დეკემბერი 1927 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 291 (2036)

ამხ. მოლოტოვის მოხსენება პარტიის მეხუთმეტე ყრილობაზე სოფლად მუშაობის შესახებ*)

მოსკოვი, 21 დეკემბერი. სოფლად მუშაობის საკითხი ამჟამად დაკავშირებულია მეტად მნიშვნელოვან პრაქტიკულ დასკვნებთან. ეს მაიძულებს მე თავიდანვე აღვნიშნო, რომ სიტყვა „სოფელი" ამ შემთხვევაში შეიცავს ჩვენი გლეხური ცხოვრების მეტად სხვადასხვა პირობებს. მართლაც, ჩვენ გვაქვს ჩვენი ცენტრალური სოფელი, უკრაინული სოფელი, სტანცია, აული, ყიშლაგი და სხვა. აი, მარტო ეს ჩამოთვლა გვიჩვენებს, თუ რამდენად თავისებურია ის პირობები, რომლებიც უნდა გვახსოვდეს სოფლად მუშაობის საკითხის განხილვის დროს.

ერთნაირი სოფელი არ არსებობს. არსებობს სოფელი, რომელსაც აქვს აუარებელი თავისებურება—სოციალური, სარაიონო-ეკონომიური, ეროვნული და სხვა. საკმაოა მოვიგონოთ, რომ სულ ახლახანს—მხოლოდ ორი წლის წინეთ—გავატარეთ მიწა-წყლის რეფორმა შუა აზიის სხვადასხვა რაიონში; ეს გარემოება გვიკარნახებს, რომ ჩვენ ახლაც გვჭირდება ფეოდალიზმის და პატრიარქალურ საგვარეულო ნაშთების აღმოფხვრა; უნდა ვსთქვათ, რომ ეს ნაშთები იმავე შუააზიაში, კაზახსტანში ჯერ სავსებით არ არის მოსპობილი—ეს არც ისე ადვილად მოსახერხებელია.

ან ავიღოთ მეორე მაგალითი. სოფლად საბჭოების გაცხოველების შესახებ ჩვენ ძალიან ბევრს ვლაპარაკობთ. მთელ რიგ რაიონების, მეტადრე საბჭოთა აღმოსავლეთის რაიონების მიმართ კი ჩვენ უნდა ვილაპარაკოთ არა საბჭოების გაცხოველებისა, არამედ საბჭოების შექმნის შესახებ. ეს საქმე საკმაოდ დიდ დროს მოითხოვს. უეჭველია კიდევ რამდენიმე წელიწადი დაგვჭირდება, რათა იქ ნამდვილად შეიქმნას ჭეშმარიტი საბჭოთა ხელისუფლება.

მიუხედავათ ამისა, საბჭოთა კავშირის რომელი რაიონიც ან ეროვნული რესპუბლიკაც უნდა ავიღოთ, იქ ახლა შექმნილია განვითარების ძირითადი განსხვავება რევოლუციის წინაპერიოდთან შედარებით. პროლეტარულმა ხელისუფლებამ შეჰქმნა ძირითადი განსხვავება სოფლის ეკონომიურ, სოციალურ და კულტურულ პირობების მხრით; ეს განსხვავება საბჭოთა სოფლის განვითარების სრულიად ახალ გზას ჰქმნის.

შექმნილ პირობებში პარტიის გეზი, მუშათა კლასის გეზი განსაზღვრავს სოფლის გზას სოციალიზმისაკენ. ამასთანავე ერთად, ჩვენი სოფლისათვის სრულიად გარკვეულად აღინიშნა ის ძირითადი ფორმები, რომელთა საშუალებითაც სოფელი ზემოთ დასახელებული გზით უნდა განვითარდეს. ეს ძირითადი ფორმა ორია—საბჭოები და კოოპერაცია. ის მთლიანობა, რომელიც სოფელში შეგვაქვს, ახლა დაკავშირებულია იმ საერთო სამეურნეო გეგმასთან, რომელიც შეეხება მთელს ჩვენს მეურნეობას და რომელის ფარგლებშიაც უფრო და უფრო მეტად შედის ჩვენი სოფელი.

უკანასკნელ ხანებში ჩვენ შევიმუშავეთ დირექტივები მიწათ-სარგებლობისა და მიწათმოწყობის ძირითადი საფუძვლების შესახებ საბჭოთა კავშირის მასშტაბით. ამ „ძირითადი საფუძვლების" სისწორით განხორციელებას დიდი მნიშვნელობა ექნება ჩვენი სოფლის სოციალისტური გზით წაყვანის საქმისათვის.

წვრილ-ბურჟუაზიული პარტიების ბედი ჩვენს ქვეყანაში

ახლა ნება მომეცით გადავიდე საქმის არსებით მხარეზე. იმ ძირითად დასკვნას, რომელიც უნდა გაუკეთოთ ჩვენი სოფლის განვითარებას დღევანდელი მომენტისათვის, განსაკუთრებით მკაფიოთ ასურათებს ის, რაც საბჭოთა კავშირის პოლიტიკური განვითარების დარგში მოვიპოვეთ. ლენინს ხშირად უთქვამს, რომ პოლიტიკა არის ეკონომიკის ყველაზე უფრო ძლიერი გამოხატულებაო. სწორედ პოლიტიკურ დარგში ჩვენმა პარტიამ მიაღწია ერთ-ერთ თვალსაჩინო შედეგს. ეს შედეგი ეხება წვრილ-ბურჟუაზიული პარტიების ბედ-იღბალს საბჭოთა ქვეყანაში.

ჩვენ უკვე მივეჩვიეთ და თითქმის ვერ ვამჩნევთ, რომ ჩვენში აღარ არსებობს, როგორც რამდენადმე მასიური მოვლენა, წვრილ-ბურჟუაზიული პოლიტიკური ჯგუფები, მაგალითად, ესერები, მენშევიკები და სხვ.

სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს უაღრესად დადებითი შეფასების დროსაც (მან კი ასეთი შეფასება სავსებით დაიმსახურა) არ შეიძლება ვსთქვათ, რომ ეს პირველ ყოვლისა სწორედ მისი საქმე იყოს. სახელმწიფო პოლიტიკურმა სამმართველომ ამ მხრით დიდი სარგებლობა მოგვიტანა და მოაქვს. პოლიტიკური სამმართველო ამ საქმეში შემდეგაც დიდ როლს შეასრულებს. მაგრამ საბჭოთა კავშირის პოლიტიკური განვითარების ეს უდიდესი ფაქტი წარმოადგენს მუშათა კლასის ხელისუფლების საერთო გამარჯვებათა შედეგს, იმ ხელისუფლებისა, რომელიც ეყრდნობა გლეხობის მთავარ მასებთან კავშირს. ჩვენ ასეთი საკითხი უნდა დავაყენოთ: როგორ მოხდა, რომ საშუალო გლეხობა, რომლის შესახებაც ლენინი აბსოლუტურად სამართლიანად ამბობდა, რომ „ის წარმოადგენს წვრილ-ბურჟუაზიული დემოკრატიის ეკონომიურ საფუძველს", გადაიქცა ჩვენი „მიწათ-მოქმედების ცენტრალურ ფიგურად"? როგორ მოხდა, რომ მუშათა კლასის კავშირმა ამ საშუალო გლეხობასთან უზრუნველჰყო რევოლუციის უდიდესი გამარჯვება და წვრილ-ბურჟუაზიული პარტიების დამარცხება და განადგურება. ჩვენ ამას ჯერ კიდევ საკმაოდ არ უფიქრდებით, მაშინ, როდესაც ეს ფაქტი პროლეტარული დიქტატურის ერთი მთავარი გამარჯვებათაგანია; ხოლო ეს გამარჯვება მარტო ხალასი პოლიტიკური გამარჯვება კი არ არის, არამედ სოციალიზმისათვის პროლეტარული ხელისუფლების ბრძოლის უდიდესი გამარჯვებაცაა.

საბჭოთა კავშირის პოლიტიკური განვითარების ეს შედეგი ბევრის მხრით და მეტისმეტად საგულისხმოა.

ახლა ჩვენ ვხედავთ, რომ მას აქეთ, რაც დავამარცხეთ და გავანადგურეთ ბურჟუაზია და მემამულენი, მენშევიკური და ესერული პარტიების ფესვებიც აღმოვფხვრეთ ჩვენს ქვეყანაში. აი, რანაირი ერთად-ერთი სწორი დასკვნა უნდა გამოვიტანოთ ახლა უკვე უდავო ფაქტებიდან.

ბურჟუაზიისა და მემამულეების სასტიკმა დამარცხებამ ყოველგვარი ნიადაგი გამოაცალა ესერებსა და მენშევიკებს, წვრილ-ბურჟუაზიულ პარტიებს—ბურჟუაზიისა და მემამულეების ამ ერთგულ მსახურებს და ხელმარჯვე აგენტებს. ეს ფაქტი ამავე დროს იმას ადასტურებს, რომ ჩვენს ქვეყანაში მუშათა კლასი ნამდვილად წარმოადგენს ხელმძღვანელ პოლიტიკურ ძალას, ამასთანავე ერთად, მუშათა კლასის ხელმძღვანელი როლი ეყრდნობა იმ უდიდეს წარმატებას, რომელიც მოპოვებულია ქალაქისა და სოფლის მშრომელთა მასების იდეურ-პოლიტიკური ხელმძღვანელობის დარგში.

წვრილ-ბურჟუაზიული პარტიების განადგურება სოციალისტური მშენებლობის ერთი ძირითადი პირობაც იყო. სულ ერთია, როგორი სახელიც არ უნდა ერქვათ ამ წვრილ-ბურჟუაზიულ პარტიებს—სოციალ-დემოკრატები, სოციალისტ-რევოლუციონერები თუ სხვა რამ; რამდენადაც მათ ფესვები გადგმული აქვთ ბურჟუაზიულ და მემამულეთა ფენებში, რამდენადაც ისინი თავისი ფესვებით გადახლართული არიან წარსულში გაბატონებულ კლასებთან, იმდენად შეგვეძლო გვეთქვა, რომ სოციალიზმის მშენებლობას გზა გაუწმინდეთ, რაკი ეს პარტიები მოვსპეთ. რა კი გავანადგურეთ ეს პარტიები. ეს იმას გვიჩვენებს, რომ რამდენადაც ახლა ლაპარაკი შეიძლება ქალაქისა და სოფლის ბურჟუაზიულ-კაპიტალისტური ელემენტების რამდენადმე მაინც ზრდის შესახებ, იმდენადვე ნაწილობრივ მაგრდება ამ წვრილ-ბურჟუაზიულ მიმდინარეობათა ფესვებიც. ტყუილად კი არ მოხდა, რომ ჩვენს პარტიაშიაც კი ჰპოვა მკაფიო გამოსახულება ანტიპროლეტარულ მიმდინარეობათა აღორძინებამ და სულიერმა განწყობილებამ ტროცკისტულ ოპოზიციის სახით.

კლასები და სოციალური განვითარების თავისებურებანი ჩვენში

ცენტრალურ სტატ. სამმართველოს შეცდომა

ეხლა ჩვენი სოფლის სოციალურ-კლასიურ დაჯგუფებათა შესახებ რევოლუციამ ძირიანად შესცვალა სოციალურ-ეკონომიური ურთიერთობა სოფელში. ამ ცვლილებათა დასახასიათებლად მე მოვიყვან უმთავრეს ცნობებს ამ საკითხზე:

დავიწყებ იქიდან, რიც ამასწინედ გამოაქვეყნა ამ საკითხზე ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ განსაკუთრებულ კრებულში „საბჭოთა ხელისუფლების ათი წლის თავის შედეგები ციფრებში". ცენტრ. სტატ. სამმართველოს ეს კრებული მრავალი მხრივ არის მეტად საინტერესო, მაგრამ მე შევჩერდები ამ კრებულის მხოლოდ ერთ ცხრილზე, რომელსაც ეწოდება „აგრარ. რეფორმის ბალანსი" ქვესათაურით—სასოფ.-სამეურ. დანიშნულების მიწების (ტყეების გარეშე) განაწილება საბჭოთა კავშირში". ამ ცხრილის მიხედვით სჩანს, რომ გლეხებმა თავისი მიწათსარგებლობა 1917 წლის რევოლუციის შემდეგ 1927 წლამდე გაადიდეს სულ 31 პროც.

ამის გამო მე უნდა ვსთქვა, რომ ჩემ მიერ მოყვანილი ცნობები არა მარტო აბსოლიუტურად არ შეეფერება სინამდვილეს, არამედ მეტად მავნებელი ეკონომიური და პოლიტიკურ შეცდომას წარმოადგენს ცენტრ. სტატისტიკურ სამმართველოს მხრივ. ასეთი ცნობების ბეჭდვა ცენტრ. სტატისტიკურ სამმართველოს მარკით და მისთვის „აგრარულ რეფორმის ბალანსის" დარქმევა,—ეს ნიშნავს დახმარებას არა ოქტომბრის რევოლიუციისათვის, არამედ მისი მტრებისათვის, ვინაიდან ცენტრალური სტატ. სამმართველოს „ბალანსი" აშკარად ამცირებს რევოლუციის შედეგებს. სჩანს, რომ ცენტრ. სტატ. სამმართველოში მომუშავე ამხანაგები არასერიოზულად მოეპყრნენ ამ მნიშვნელოვან საქმეს. რაში მდგომარეობს ცენტრ. სტატისტიკურ სამმართველოს შეცდომა? ცენტრ. სტატისტ. სამმართველოს ცხრილი ცნობებს იძლევა რევოლუციამდე არსებული პერიოდისათვის მიწათ-მოსარგებლეთა შემდეგი ძირითადი ჯგუფების მიხედვით: პირველი,—გლეხები, მეორე,—კერძო მფლობელნი, საუფლისწულო, სახაზინო, საკაბინეტო, მესამე,—ეკლესიები და მონასტრები; მეოთხე,—ქალაქები, მეხუთე,—დაწესებულებანი. რევოლუციის შემდეგ კი მიწათ-მოსარგებლეთა დაყოფა მოცემულია შემდეგი სამი ჯგუფის მიხედვით: გლეხები, სახელმწიფო მიწები, და, დაბოლოს, ქალაქები, დაწესებულებანი და წარმოებანი. თქვენ ხედავთ, რომ ორივე შემთხვევაში—რევოლუციამდე და რევოლუციის შემდეგ,—ყველა გლეხები ჩარიცხულია ერთ ჯგუფში და საოცარი ის არის, რომ ცენტრ. სტატ. სამმართველოს ცხრილში არ არიან არც კულაკები, არც საშუალო და არც ღარიბი გლეხები, არ არის არავითარი კლასიური, ე. ი. მეცნიერული დაჯგუფება. უნდა ვსთქვა, რომ ეს არის ცენტრ. სტატ. სამმართველოს პირველი ცდა ეხლანდელი მიწათსარგებლობის ცხრილის შესადგენად იმამდე არსებულ პერიოდთან შედარებით საოცარია, რომ არც ერთ ეკონომისტს, არც ერთ სტატისტიკოსს ოქტომბრის რევოლუციის მეთერთმეტე წელში დღემდე ხელი არ მოუკიდია ამ სამუშაოსათვის. ცენტრ. სტატისტ. სამმართველოს ეს პირველი ცდა თითქმის სრულიად უვარგისია.

რას ამბობენ ნამდვილი ციფრები

ამის შესახებ მე არა ერთხელ მომიხდა საუბარი სმირნოვთან ცაკას წევრთან, რ. ს. ფ. ს. რ მიწათმოქმედების სახ: კომისართან: ბოლოს და ბოლოს მან ამ დღეებში მომცა მეტად საინტერესო ცხრილი, რომლის შესახებაც ქვემოდ ვილაპარაკებ დაწვრილებით. მე შრომა ამ ცხრილის ცნობების შესამოწმებლად არ დამითაერებულა. მაგრამ ამ მუშაობას უკვე ეხლავე აქვს უდიდესი მნიშვნელობა. მეცნიერულმა ძალებმა მას სათანადო ყურადღება უნდა მიაქციონ მომავალში.

შემდეგ მივუყვან იმას, რასაც იძლევა ამხ. სმირნოვი არა „აგრარული რეფორმის" შედეგების საკითხის შესახებ, როგორც ამბობს ცენტრ. სტატისტიკური სამმართველო, არამედ აგრარული რევოლუციის. მიწის კლასიურად განაწილების შესახებ ჩვენი ეხლანდელი მდგომარეობის შედარებისათვის რევოლუციამდე არსებულ პერიოდთან.

სმირნოვი ცნობებს იმამდე არსებული პერიოდისათვის იღებს ლენინის წერილიდან „აგრარული საკითხი მე-19 საუკუნის დასასრულში", რომელშიაც მიწა დანაწილებულია სოფლის სამ ძირითად ჯგუფს შორის. პირველ ჯგუფს ვლადიმერ ილიჩი უწოდებს გაღატაკებულ, ბატონ-ყმური ექსპლოატაციით შევიწროებულ გლეხობას, მეორე ჯგუფს—საშუალო გლეხობას და მესამეს—სასოფლო-სამეურნეო ბურჟუაზიას, ე. ი. კულაკებს.

თუ ვლადიმერ ილიჩის ამ დაჯგუფებას ავიღებთ რევოლუციამდე არსებული პერიოდისათვის, ჩვენ მივიღებთ შემდეგ ცნობებს: რ. ს. ფ. ს. რ. ტერიტორიაზე (ციმბირისა, შორეული აღმოსავლეთისა და ჩრდილო-კავკასიის ზოგიერთი ადგილების გარდა) ღარიბებს და საშუალო გლეხებს ჰქონდათ 60 მილიონი ჰექტარი. როგორ განაწილდა მიწა ეხლანდელი დროისათვის გლეხობის სამ ძირითად სოციალურ ჯგუფს შორის რევოლუციის შემდეგ შექმნილ პირობების მიხედვით? აქ უპირველეს ყოვლისა, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული, რომ მთელი გლეხობა მიწის საერთო ფონდი აგრარული რევოლუციის შემდეგ. ამ რაიონებში გაიზარდა, ამხ. სმირნოვის ცნობებით, 40 მილიონი ჰექტარით ეგრედწოდებული „არაშრომითი მიწების" ხარჯზე.

60 მილიონი ჰექტარის მაგივრად, რომელიც საშუალო და ღარიბ გლეხობას ჰქონდა რევოლუციამდე, ის (ღარიბ და საშუალო გლეხობა) ეხლა ამ ტერიტორიაზე სარგებლობს 136 მილიონი ჰექტარი მიწით, ე. ი. თავისი 136.000.000 ჰექტარი მიწით, ე. ი. თავისი მიწით-სარგებლობა მან გაადიდა უფრო მეტად, ვინემ ორჯერ, რაც სრულიად არ ჰგავს საცოდავ 30%, რის შესახებაც ლაპარაკობს ცენტრალ. სტატ. სამმართველო. როგორღა განაწილდა კულაკების მიწები ჩვენი რევოლუციის დროის განმავლობაში? აღმოჩნდა, რომ კულაკები რ. ს. ფ. ს. რ. ტერიტორიის ამ ნაწილში ამჟამად სარგებლობენ 4 მილიონი ჰექტარით, ე. ი. მათ აქვთ თითქმის ათჯერ ნაკლები, ვიდრე ჰქონდათ რევოლუციამდე. აი, ის განსხვავება (მე ვიღებ მხოლოდ დაახლოვებითი გამოანგარიშებით), რომელიც ჩვენ გვაქვს ჩვენს აგრარულ ურთიერთობაში რევოლუციის დროს განმავლობაში. ცხადია, რომ ცენტრ. სტატ. სამმართველომ „აგრარული რეფორმის ბალანსის" შემოხსენებული ხრუ- არასწორი ციფრების დაბეჭდვის დროს არულია სტატისტიკური მეცნიერების ცენტრალური მოთხოვნილებანი. ამიტომ სტატისტ. სამმართველოს ცხრილი „ული რეფორმის ბალანსში", სამუშა- რქტომბრის რევოლუციის წინაალმდეგ ამართული.

ვითითებთ ამ ცნობებზე, რომლებიც მე ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართ, და მიწათმოქმედების სახალხო კომის, სოფლის საკითხის მხოლოდ სრულად, დაახლოებითი დახასიათებები სამ საკითხის ჩვენთვის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს. მე არ ვფიქრობ, რომ ამხ. სმირნოვის ცხრილი და ცნობები, წარმოადგენს დამთავრებულ, მეცნიერულად შემოწმებულ ნაშრომს (კიდევ მეტი, მე ეჭვი არ მეპარება, რომ მიწის ის ნაწილი, რომელიც აქვს კულაკს, ამხ. სმირნოვის გამოანგარიშებასთან შედარებით, უნდა გადიდდეს ერთნახევარჯერ), მაგრამ საერთოდ ის აბსოლუტურად სწორია და იძლევა საკითხზე აგრარული რევოლუციის შედეგების შესახებ. ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ კი უნდა იზრუნოს, რომ აღარ დაუშვას ისეთი უხეში შეცდომები, როგორც შეცდომები „აგრარული რეფორმის ბალანსში". შეიძლება—მე მგონია ასე უნდა იყოს—ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს ეს შეცდომა აიხსნება მისი ხელმძღვანელთა უბრალო უყურადღებობით, თუ რასა სცემს ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო, მაგრამ კრებული გამოცემულია, მათ ფართოდ ისარგებლებენ, მიტომ მისი ყოვლად უხეში შეცდომების გვერდის ავლა არ შეიძლება.

დოს, მე მოვიყვან ამხ. სმირნოვის ცნობებს მიწების გადანაწილების შესახებ რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკაში (ავტონომიურ რესპუბლიკების გარდა) ოქტომბრის რევოლუციის შემდეგად. რევოლუციის შედეგად ღარიბსა და საშუალო გლეხების ხელში გადასულა 110 მილიონი ჰექტარი, აქედან არა ნაკლებ მილიონ ჰექტარისა ჩამორთმეულია სოფ. „მრავალმიწიან" (კულაკურ) ფენებისაგან განაწილებლად უწინდელ უადგილო და მცირემიწიან ჯგუფებს შორის. აი ციფრები, რომლებიც კარგად უნდა ხსოვდეს და რომლებსაც კარგად უნდა იცოდეს გლეხობა. შესწორებებს ამ ციფრებში შევიტანთ თავის დროზე საქმის უფრო ღრმად შესწავლის შემდეგ. მაგრამ საერთოდ ისინი იძლევიან აგრარ. რევოლუციის შედეგების მკაფიო და სწორ (თუმცა არა სრულ) სურათს.

აი ამოსავალი ფაქტები, რომლებიც განსაზღვრავს სოფლის ეკონომიურ მდგომარეობას რევოლუციის წინადროსთან შედარებით.

ცხადია, რომ აგრარული რევოლუციის შედეგები გვაიძულებენ ვილაპარაკოთ იმის შესახებ, რომ მიწის ნაციონალიზაცია, რომელმაც საშუალო შეძლებისა და ღარიბ გლეხურ მასებს 110 მლ. ჰექტარ მიწაზე მეტი მისცა, ჩვენი აგრარული რევოლუციის ყველაზე უფრო მთავარი საკითხი. ვინც პირდაპირ თუ არა პირდაპირ ცდილობს მიწის ნაციონალიზაციის დარღვევას, ის უბოროტესი მტერია გლეხობისა და მუშათა კლასის ფართო მასებისა. ამიტომ პარტიამ, მუშათა კლასმა და გლეხობის ძირითადმა მასამ ყოველგვარ საშუალებებით უნდა დაიცვან აგრარული რევოლუციის შედეგები. იმ მიწის ნაციონალიზაციის შედეგები, რომელიც გაატარა ოქტომბრის რევოლუციამ.

გლეხის ფენებად დაყოფა

რა და რევოლუციის დროს ჩვენს სოფელში არ შეუდგები იმის მტკიცებას, რაც ყველამ ვიცით. ვიტყვი მოკლედ. აგრარულ-რევოლუციის შედეგად მოჰყვა საშუალო შეძლების ფენების გაძლიერება ჩვენს სოფელში ეს უკვე დიდი ხანია ყველამ იცის. ჩვენ ისიც აგრეთვე ისიც, რომ ამ უკანასკნელ წლების განმავლობაში სოფლის ფენებად დაყოფის პროცესი გაძლიერდა, უკიდურესი ფენების გამოყოფამ (კულაკობისა და სამ. პროლეტარიატის) უფრო მკვეთრად იჩინა თავი, ვიდრე ამას ადგილი ჰქონდა რევოლუციის პირველ წლებში. მაგრამ ამასთანავე უნდა ითქვას, რომ ადგილი აქვს მეტად მნიშვნელოვან თავისებურობათ საბჭოთა სოფლის სოციალურ-ეკონომიური განვითარების პროცესში.

ეს თავისებურებანი თეზისებში სოფლად მუშაობის შესახებ დახასიათებულია ასე: „ამ დიფერენციაციის თავისებურებანი გამომდინარეობენ შეცვლილი საზოგადოებრივი პირობებიდან და თავისებურობანი მდგომარეობენ იმაში, რომ, წინააღმდეგ განვითარების კაპიტალისტური ტიპისა, რომელიც გამოიხატება საშუალო შეძლების გლეხობის შესუსტებაში და ღარიბი გლეხობისა და კულაკობის უკიდურეს ჯგუფების გაძლიერებასთან ერთად, —ჩვენ პირიქით, ადგილი აქვს საშუალო შეძლების გლეხების ჯგუფების გაძლიერებას პროცესს კულაკური ჯგუფის ჯერ კიდევ ერთგვარ ზრდასთან ერთად საშუალო გლეხების უფრო შეძლებულ ნაწილის ხარჯზე და ღარიბი გლეხების ჯგუფის შემცირებასთან ერთად, საიდანაც ერთი ნაწილი პროლეტარდება, ხოლო მეორე, უფრო მნიშვნელოვანი ნაწილი თანდათანობით ადის საშუალო შეძლების გლეხობის ჯგუფში. და შემდეგ ჩვენს თეზისებში ნათქვამია „ჭრელად დიფერენციაციის პროცესის თავისებურობა ჩვენში იწვევს საშუალო ფენის შედარ ზრდას, რაც ერთხელ კიდევ ადასტურებს ლენინის ცნობილ დებულებას იმის შესახებ, რომ საშუალო შეძლების გლეხი „მიწათმოქმედების ცენტრალური ფიგურაა".

ასეთია სოციალური განვითარების ძირითადი პროცესი, რომელსაც ადგილი აქვს ჩვენს სოფელში. მის დასამტკიცებლად აუარებელი ცნობების მოყვანა შეიძლებოდა.

უპირველეს ყოვლისა მე შემიძლია დავემყარო ცენტრ. სტატ. სამმართველოს იმავე კრებულს, რომელიც მრავალი მხრით მეტად სასარგებლო და მეტად ძვირფასია. იქ თქვენ შეგიძლიათ ახილოთ ცნობები ნათესის არ მქონე და მცირე ნათესის მქონე მეურნეობათა შემცირების შესახებ ყველა მთავარ რაიონებში (უკრაინა, ჩრდილო-კავკასია, ციმბირი და სხვ.) ნეპის პერიოდში, იქ თქვენ ნახავთ ცნობებს უსაქონლო მეურნეობათა შემცირების შესახებ, რომელიც მოხდა აგრეთვე ამავე წლების განმავლობაში ყველა მთავარ რაიონებში. ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს ცნობებიდანვე სჩანს, რომ ნათესების არ მქონე მეურნეობათა ჯგუფის მცირე ნაწილი ვეიდება, ხოლო უფრო დიდი ნაწილი იწევს ზევით საშუალო შეძლების გლეხობისაკენ. პრესაში (მაგალითად ჟურნალ „აგრარული ფრონტზე"-ში) მოყვანილი იყო ცნობები, რომ უკანასკნელ წლების განმავლობაში მეურნეობათა რიცხვი, რომლებიც საკუთარ საქონლითა და ინვენტარით ამუშავებენ თავის მიწებს, იზრდება საწარმოო ზოლის ყველა მთავარ რაიონებში და რამდენადმე მცირდება მხოლოდ მომხმარებელ ზოლის რაიონებში, რომელთაც კი ეს მაინც მნიშვნელობა აქვთ სასოფლო-მეურნეო მხრით. ეს ცნობები შეეხება ისეთ რაიონებს, როგორიცაა ვოლგა-კამის, ურალის, ვოლგის, ციმბირის რაიონები და შორეული აღმოსავლეთი; ასეთივე, კიდევ უფრო დამახასიათებელ ცნობებს ამ მხრით თქვენ ნახავთ უკრაინაში. ასეთი ცნობები, სხვათა შორის, საკმაოდ მოიპოვება იმ კრებულში— „სასოფლო მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის პერსპექტივებისათვის. საბჭოთა კავშირის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის მასალები", რომელიც ამას წინად იაკოვლევის რედაქციით გამოიცა.

საშუალო შეძლების გლეხობის ხვედრითი წონის ზრდის საკითხის შესახებ შევჩერდები მხოლოდ ერთ მნიშვნელოვან ცხრილზე.

ეს ცხრილი მოცემულია სახკომსაბჭოს კომისიის იერ, რომელიც მუშაობდა ამაზე რამოდენიმე კვირის განმავლობაში ამხ. ფრუმკინის თავმჯდომარეობით და ამხ. სტრუმილინის (სახ. [illegible] კომისია) პაშკოვსკის (ცენტრ. სტატისტ. სამმართველო), კრიცმანის და ლარინის შემადგენლობით. კომისია ამრიგად შესდგებოდა საკმაოდ კვალიფიციურ და ავტორიტეტულ ამხანაგებისაგან. ჩვენი ძირითადი სოციალური ჯგუფების მდგომარეობის და განვითარების შესახებ კომისია შემდეგ დასკვნამდე მივიდა. 1924—25 წ. საშუალო გლეხობა ჩვენს ქვეყანაში შეადგენდა 64,7 პროც.; 1925—26 წ.—65,8 პროც.; გასულ სამეურნეო წელს კი 66,4 პროც. ეს მასალები აშკარად ლაპარაკობენ როგორც საშუალო გლეხობის ნამდვილ ცენტრალურ მნიშვნელობაზე ჩვენს სოფელში, აგრეთვე ამ ჯგუფის ზრდაზე. კომისია თავის წერილობით მოხსენებაში მაინც ლაპარაკობს რამდენადმე, რომ საშუალო ჯგუფი სოფლად რიცხვობრივათ ერთ დონეზე დგას. მაგრამ ყველაზე უფრო ნათელია, რომ კომისიის ციფრები უდავოთ საწინააღმდეგოს ამტკიცებენ. ეს ციფრები ნათლად ამტკიცებენ, რომ საშუალო ჯგუფის ხვედრითი წონა ჩვენს სოფელში იზრდება. ამავე მასალებში მოყვანილია მეტად სასარგებლო ცხრილი, რომელიც გვიჩვენებს ჩვენი ღარიბი ჯგუფის რაოდენობის ცვლილებას. 1924—25 წ. ღარიბი ჯგუფი შეადგენდა 24 პროც.; 1925—26 წ.—21.6 პროც., გასულ სამეურნეო წელს კი 20,4 პროც.; ღარიბი ჯგუფი აშკარად მცირდება.

ამრიგად საშუალო ჯგუფის გაძლიერებას და ღარიბი ნაწილის ერთგვარი შემცირებას უდავოთ აქვს ადგილი სოფ. ცხოვრებაში, და ეს არის იმ თავისებურობის შედეგი, რომელიც არის ამ თავისებურობის შედეგი, რომელიც შეიქნა ჩვენს სოფელში პროლეტარიატის დიქტატურის ხანაში ჩვენი სოფლის სოციალ-ეკონომიურ და კულტურულ-პოლიტიკურ განვითარებით გამოწვეულ ძირითად ცვლილებების ნიადაგზე. ეს არის ის, რაც წარმოადგენს პრინციპიალურად ახალ მოვლენას საბჭოთა სოფლის განვითარებაში, წინარევოლიუციის დროსთან შედარებით. თუ კი წინეთ ჩვენ ამაზე ლაპარაკი შეგვეძლო უმთავრესად ლენინის საერთო მოსაზრებათა და ცალკე ფაქტების წყალობით, დღეს მოგვეპოვება ყველა ციფრობრივი საბუთები, რომლებიც ადასტურებენ ამ დებულებას და ამ უდაო ფაქტების უარყოფა შეუძლია მხოლოდ ისეთ ადამიანებს, რომელნიც დაშორებული არიან ცხოვრებას და მარქსიზმს.

სხვათა შორის, ამავე მასალებიდან სჩანს, თუ სულ ბოლო დრომდე როგორ გადამეტებული წარმოდგენის ვიყავით ღარიბ ჯგუფების რაოდენობაზე. უნდა ითქვას, სხვათა შორის, რომ სახკომსაბჭოს კომისიის ცნობები არ შეიძლება ჩაითვალოს საბოლოო ცნობებათ. კერძოთ ცნობები ღარიბი ჯგუფის შესახებ. მე რამდენადმე შემცირებულათ მიმაჩნია. მაგრამ საერთოდ სახკომსაბჭოს კომისიის ცნობები სწორ პასუხს იძლევიან, როგორც საშუალო ფენის, ისე სოფლის ღარიბ ნაწილის რაოდენობის შესახებ. ჩვენ ყველანი დასკვნებს ვაკეთებდით ძველი ცნობების მიხედვით, რომელნიც მოგვეპოვებოდა უცხენო და უსაქონლო მეურნეობათა შესახებ და ეს ჩვენი დასკვნები და გლეხთა სხვა და სხვა ჯგუფებისა და კერძოთ ღარიბი ჯგუფის რაოდენობის შესახებ ხშირად არ იყო სწორი. სახკომსაბჭოს კომისიამ ამხ. ფრუმკინის თავმჯდომარეობით ამ მხრივ მოგვცა მეტად ძვირფასი და საკმაოდ ობიექტიური მასალა, რომელსაც შეგვიძლია დავეყრდნოთ მომავალშიაც აღნიშნული საკითხის განხილვის დროს.

სასოფლო-სამეურნეო პროლეტარიატი

ახლა შევჩერდები საკითხზე ჩვენი სასოფლო სამეურნეო პროლეტარიატის შესახებ. მისი ზრდა უკანასკნელი წლების განმავლობაში უდავოა. დაახლოებითი ცნობები, რომლებიც მოგვეპოვება ამ საკითხის შესახებ, იძლევიან შემდეგ სურათს: სამი წლის წინად ჩვენში ითვლებოდა 2.700.000 სასოფლო-სამეურნეო მუშა. ამჟამად კი, ან უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, გასულ 1926—27 წელს, ცენტრ. სტატ. სამმართველოს გამოანგარიშებით—და მე ვფიქრობ, რომ ცენტრ. სტატისტ. სამმართველოს გამოანგარიშება საკმაოდ ობიექტიურია,—ჩვენს სოფელში ითვლებოდა დაახლოვებით 3.200.000 სასოფლო-სამეურნეო მუშა.

მაგრამ აი რას უნდა მივაქციოთ ჩვენ განსაკუთრებული ყურადღება: თუ სასოფლო-სამეურნეო მუშების მთელი მასიდან ჩვენ გამოვყოფთ სასოფლო-სამეურნეო მუშებისა და მოჯამაგირეთა იმ ნაწილს, რომელიც მუშაობს ჩვენს საბჭოთა მეურნეობებში და სხვა სახელმწიფო, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, მათ შორის საადგილ-მამულო საზოგადოებებშიაც, და დავსვამთ საკითხს სასოფლო-სამეურნეო მუშების მხოლოდ იმ ნაწილის შესახებ, რომელიც მუშაობს ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობებში, აღმოჩნდება, რომ ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობებში მუშაობს სასოფლო-სამეურნეო პროლეტარიატის მხოლოდ ნახევარი. ეხლანდელ სოფელში ჩვენ ისეთი მდგომარეობა გვაქვს, რომ სასოფლო-სამეურნეო მუშებისა და მოჯამაგირეების მეორე ნახევარი მუშაობს ჩვენს სახელმწიფო, კოოპერატიულ ან საზოგადოებრივ (მაგალითად, საადგილ-მამულო საზოგადოებები) ორგანიზაციებში. ეს საყურადღებო ფაქტია, რომლის მნიშვნელობა უწინარეს ყოვლისა მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენი დასაყრდენი სოფლად—სასოფლო-სამეურნეო პროლეტარიატი—უმთავრესად უშუალოდ არის დაკავშირებული საბჭოთა, კოოპერატიულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან.

კულაკის ხვედრითი წონა

დასასრულ, საკითხი კულაკის შესახებ. კულაკების რაოდენობის შესახებ ამჟამად ჩვენ ცნობები ბლომად მოგვეპოვება. რა თქმა უნდა, სასოფლო - სამეურნეო—ბურჟუაზიის, კულაკობის რაიმე საერთო პროცენტის გამოანგარიშება მთელ საბჭოთა კავშირისათვის თითქმის შეუძლებელია. მაგრამ ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის გამოანგარიშებანი, რომლებიც არის ჩვენს განკარგულებაში პარტიულ, საბჭოთა და სხვა ორგანოების, და აგრეთვე პრესის მასალების მიხედვით, იძლევიან საკმაოდ სრულ წარმოდგენას სოფლის ძირითად სოციალურ ფენების ხვედრითი წონის შესახებ. კულაკის შესახებ მსჯელობა იმ ცნობების მიხედვით, რომლებიც შეეხება დაქირავებულ შრომას სოფლად, მიწის იჯარის განვითარებას და უკანასკნელ წლებში სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის იჯარით გაცემას. ცალკე რაიონების ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა აქვს მევახშეობას და ვაჭრობას. და აი ის ცნობები, რომლებიც ჩვენ გვაქვს დაქირავებულ შრომის განვითარების შესახებ, გვეუბნება, რომ უკანასკნელ წლებში დაქირავებული შრომა სოფლად მნიშვნელოვნად იზრდება.

1926 წელში, ცენტრ. სტატისტ. სამმართველოს ცნობებით, ჩვენ გვაქვს ისეთი მდგომარეობა, რომ მეურნეობანი მომხმარებელ რაიონში, რომელთაც მუშები ვადით ყავთ დაქირავებული, შეადგენენ 3 პროც., ეს კი უმთავრესად კულაკური მეურნეობანი არიან. გარდა ამისა, არის 7,8 პროც., ისეთი მეურნეობათა, რომელთაც დღიურად დაქირავებული მუშები ჰყავთ, მაგრამ აქ სჭარბობს საშუალო მეურნეობათა ნაწილი. რაც შეეხება მწარმოებელ რაიონს, მეურნეობათა რაოდენობა, რომელთაც ვადით დაქირავებული მუშები ჰყავთ, შარშან იყო 2,9 პროც., ხოლო იმ მეურნეობათა რაოდენობა, რომელთაც დღიურად დაქირავებული მუშები ჰყავდათ, შეადგენდა 8,4 პროც., ეს ცნობები გვიჩვენებს, თუ როგორ ვითარდება დაქირავებული შრომა სოფელში.

მე არ მოვიყვან ბევრ ცნობებს მიწის იჯარის შესახებ აშკარა ზრდასთან ერთად, იგი დღემდე, თავისი უმთავრეს ნაწილში, რჩება საშუალო გლეხის იჯარად. როგორც დაქირავებულ მუშათა უმეტესი ნაწილი სოფელში მუშაობს საშუალო გლეხთა მეურნეობაში, ისევე მოიჯარადრე მეურნეობათა უმეტესი ნაწილი ეკუთვნის საშუალო გლეხობას. თუ ნათესის საიჯარო მიწაზე შევადარებთ მთელ ნათესს მთლიანად, ჩვენ დავინახავთ, რომ მისი რაოდენობა სულ შეადგენს 6.7 პროც. ეს ძალიან მცირე პროცენტია იმამდე არსებულ დონესთან შედარებით. თუ ავიღებთ იმ მეურნეობათა პროცენტს, რომელნიც ერთდროულად სარგებლობენ იჯარით და დაქირავებული შრომით, ე. ი. იმ მეურნეობათა პროცენტს, რომელნიც შეიძლება ჩაითვალოს კულაკურ მეურნეობებად, ჩვენ დავინახავთ, რომ რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკაში ასეთ მეურნეობათა პროცენტი შეადგენს 3,7 პროც., უკრაინის ს. ს. რესპუბლიკაში—2,4 პროც., ამიერ-კავკასიის ფედერაციაში—4,1 პროც., ხოლო საერთოდ საბჭოთა კავშირში—3,7 პროც. მე მოვიყვანე მხოლოდ ზოგიერთი ცნობები, რომლებიც საერთოდ ახასიათებენ კაპიტალისტური ელემენტების განვითარებას ჩვენს სოფელში.

მაგრამ თუ ეს ცნობები თავის თავად ამტკიცებენ, რომ კაპიტალისტური ელემენტების ზრდა სოფლად ჯერ კიდევ გამოიხატება სრულიად უმნიშვნელო რაოდენობაში, მაშინ უნდა აღინიშნოს, რომ ამ ელემენტების ზრდის პროცესი უკანასკნელ წლებში საგრძნობლად აჩქარებული ტემპით მიმდინარეობს.

და თუმცა მთელ რიგ რაიონებში, როგორც, მაგალითად, ჩრდილოეთ-კავკასიაში, მიმდინარე წელში ჩვენ ვხედავთ სოფლის უმაღლესი ჯგუფის ზრდის შესამჩნევად გამოხატულ შეჩერებას (მისი ნათესების, სამუშაო საქონლის, სამკალი, მანქანების ხვედრითი წონის შემცირება ამ კუთხის მთელ გლეხურ მოსახლეობასთან შედარებით), მაგრამ საერთოდ და მთლიანად სოფლად კაპიტალისტურ ელემენტების ზრდა უკანასკნელ წლებში შესამჩნევად გაძლიერდა (დიდი მნიშვნელობა მიეცა სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის იჯარით გაცემას ხელმოკლე გლეხებზე).

ცალკე რაიონებში ჩვენ უკვე ამჟამად გვაქვს ისეთი ცნობები, რომლებიც გვეუბნება, რომ კულაკობის პროცენტი მნიშვნელოვნად უფრო მაღალია, ვიდრე ჩემ მიერ მოყვანილი მაჩვენებლები, რომლებიც შეეხება დაქირავებულ შრომას და იჯარას ჩვენს სოფელში. ასე, მაგალითად, ჩრდილოეთ-კავკასიის სამხარეო კომიტეტი იძლევა ცნობებს, რომ კულაკობის პროცენტი ამ მხარეში, განსაკუთრებულ კომისიის გამოკვლევით, ამჟამად შეადგენს 6 პროცენტზე მეტს, რაც 1923 წელთან შედარებით შეადგენს 100 პროცენტზე მეტ ზრდას. სამხრეთ ციმბირში, ციმბირის სამხარეო კომიტეტის განსაკუთრებულ კომისიის ცნობებით, კულაკობა შეადგენს 6,3 პროცენტს. ამხ. გაისტერის, ვერმინიჩევის და რაევიჩის მიერ სამარის გუბერნიის ერთ-ერთ ყველაზე უფრო ფენებად დაყოფილ რაიონში მოხდენილ განსაკუთრებულ გამოკვლევის მიხედვით, რომლის შედეგები დაიბეჭდა ჟურნალში „აგრარულ ფრონტზე", კულაკობის პროცენტი ამ რაიონში 8 პროცენტზე მეტია. ამასთან ერთად ჩვენ გვაქვს ისეთი რაიონები, როგორიც ჩრდილო-აღმოსავლეთის რაიონი, სადაც იმ მეურნეობათა რიცხვი, რომლებიც ქირაობენ ვადიან მუშებს, აღწევს 2.5 პროცენტს. ეს რაიონი აშკარად სხვა მდგომარეობას იძლევა სოფლის სოციალურ ფენებად დაყოფის თვალსაზრისით.

ყოველივე აქედან სჩანს, რომ სოფლის ფენებად დაყოფის პროცესებს ჩვენ უნდა დავუთმოთ უაღრესად სერიოზული ყურადღება. მხოლოდ უნდა ითქვას, რომ ამჟამად სოფლის სოციალურ ფენებად დაყოფის საკითხში, მიუხედავად ოპოზიციის კაპიტულიანტურ ბოდებისა, მიუხედავად მის მიერ ფაქტების დემაგოგიურად დამახინჯებისა, ის ცნობები, რომლებიც არის თვითეულ ადგილობრივ მუშაკის განკარგულებაში, იმდენად ნათელი და უდავოა, რომ შეუძლებელია რაიმე ეჭვის შეტანა იმაში, რომ ის შეფასება, რომელსაც აძლევდა ამ ფაქტს ჩვენი პარტია, მთლიანად დაადასტურა ცხოვრებამ და მისმა სერიოზულად შესწავლამ.

სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების გზების შესახებ

სოფლის საწარმოო ძალთა განვითარებისათვის

ეხლა დავსვათ შემდეგი საკითხი—როგორია სოფლის განვითარების ჩვენი შემდგომი გზები? ჩვენ ვიცით, რომ ჩვენს სოფელში გრძელდება კაპიტალისტურ ელემენტების ზრდის პროცესი. ეს ათასჯერაა დამტკიცებული. ამას არ უარყოფდა და არ უარყოფს პარტია. მაგრამ ამასთან ერთად ჩვენ ვიცით, რომ უკანასკნელ წლებში სოფელში ბევრად უფრო განმტკიცდა სოციალისტური ელემენტები. შემდეგ ჩვენ ვიცით, რომ აქ უკვე დიდი ხანია სწარმოებს ბრძოლა სოციალისტურ და კაპიტალისტურ ელემენტებს შორის, ჩვენ ვიცით, რომ უახლოეს წლებში ეს ბრძოლა კიდევ გაგრძელდება, ზოგიერთ შემთხვევებში კი კიდეც გაძლიერდება და გამწვავდება. მაგრამ ძალთა განწყობილება აშკარად კაპიტალისტურ ელემენტების წინააღმდეგ არის მიმართული. როდესაც ჩვენ ვსვამთ საკითხს სოფლის განვითარების შემდგომი პერსპექტივების შესახებ, ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, თუ რა სთქვა მარქსმა სოფლის განვითარების შესახებ კაპიტალიზმის ბატონობის დროს:

„ბურჟუაზიული საზოგადოება სწოვს სისხლს გლეხის გულიდან და ტვინს მისი თავიდან და ყოველივე ამას ჰყრის კაპიტალიზმის—ამ ახალი ალქიმიკოსის—ქვაბში".

აი რას მოასწავებს გლეხისათვის კაპიტალისტური ელემენტების განვითარება, თუ ამ ელემენტებმა გაიმარჯვა. ჩვენი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ამ კაპიტალისტურ ელემენტების განვითარებას ყოველმხრივ დავუპირდაპიროთ სოციალისტურ ელემენტების განვითარება.

ეს მოითხოვს ჩვენგან განსაკუთრებულ ყურადღებას სოფლის მეურნეობის მდგომარეობისადმი. ჩვენ არ შეგვიძლია დავივიწყოთ, რომ ჩვენი სოფელი წარმოადგენს ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობათა უდიდეს რიცხვის შენაერთს. ჩვენ ვიცით, რომ ინდივიდუალურ მეურნეობის განვითარების გზა სოციალიზმისაკენ არის ნელი, ხანგრძლივი გზა.

მრავალი წელია საჭირო იმისათვის, რომ ინდივიდუალურ მეურნეობიდან გადავიდეთ საზოგადოებრივ, კოლექტიურ მეურნეობაზე. ჩვენ ვიცით, რომ ინდივიდუალური მეურნეობის განვითარება ჯერ კიდევ იწარმოებს მრავალი წლების განმავლობაში, მაგრამ ამასთან ერთად ჩვენ მიზნათ უნდა დავისახოთ სოციალისტური ელემენტების ხვედრითი წონის გაძლიერება სოფლად და მისი განვითარება, უნდა გამოვნახოთ ისეთი გზები, რომლებიც ყოველგვარად გააძლიერებენ სოციალიზმის ზრდას სოფლად. ერთ-ერთი ჩვენი ამოცანა წვრილი გლეხობის მიმართ მშვენივრადაა გამოხატული ენგელსის შემდეგ სიტყვებში:

„რაც მეტი იქნება ისეთი გლეხების რაოდენობა, რომლების დაქანებას პროლეტარულ მდგომარეობამდე ჩვენ არ დაუშვებთ და მივიმხრობთ მათ ისევ გლეხებათ, მით უფრო სწრაფად და ადვილათ ჩატარდება საზოგადოებრივი გარდაქმნა".

ეს ნიშნავს, რომ ჩვენ ამოცანას წარმოადგენს: ხელი შევუწყოთ გლეხურ მეურნეობის საწარმოო ძალთა განვითარებას. საბჭოთა ხელისუფლების ყველა ღონისძიებანი მიმართულია იქითკენ, რომ ხელი შეუწყოს ამ განვითარებას. ჩვენ კარგად ვიცით, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკა იყო დათმობა საშუალო გლეხის მიმართ, წვრილ მესაკუთრის, წვრილ მეურნის მიმართ, რომელიც დღემდე კოლექტიურ მეურნეობაზე უფრო მაღლა აყენებს ინდივიდუალურ მეურნეობას. ჩვენ ამ პოლიტიკას ვიცავდით, ვიცავთ და დავიცავთ მანამ, სანამ არსებობს წვრ. გლეხური მეურნეობა. მე-14 პარტკონფერენც. დადგენილებებმა კიდევ ხაზი გაუსვეს პარტიის და მუშათა კლასის იმ განსაკუთრებულ ყურადღებას წვრილ ინდივიდუალურ მეურნეობისადმი, რომ განვითარებულ იქნეს მისი საწარმოო ძალები. პარტკონფერენციის ეს დადგენილებები წარმოადგენენ დასკვნას იმ ძირითად ფაქტიდან, რომ სასოფლო-მეურნეობა თავის უმეტეს ნაწილში ვითარდებოდა და დღესაც ვითარდება, როგორც წვრილი, ინდივიდუალური გლეხური მეურნეობა. პარტია ყოველგვარ ზომებს მიმართავდა, რათა აემაღლებინა და გაეძლიერებია წვრილი მეურნეობის საწარმოო ძალთა განვითარება.

პარტიის პოლიტიკის გადამახინჯების წინააღმდეგ

მაგრამ პარტია არავითარ შემთხვევაში არ დასთანხმდება ამ კურსის ისეთ განმარტებაზე, როგორსაც იძლევა პარტიისა და მუშათა კლასის მიმართ მტრულად განწყობილი ჯგუფები, როგორსაც იძლევა მთელი მსხვილი და წვრილი ბურჟუაზია და მისი მაჩანჩალა—ჩვენი ოპოზიცია.

მე მოვიყვან სასოფლო მეურნეობის განვითარების გზების იმ შეფასებას, რომელსაც იძლეოდა ტროცკი მე-14 პარტკონფერენციის შემდეგ—მოხსენებაში „ჩვენი ახალი ამოცანების შესახებ". აი როგორ აფასებდა მაშინ მე-14 პარტკონფერენციის დადგენილებებს ოპოზიციის ლიდერი ტროცკი:

„სანამ ჩვენ მოკლებული ვართ საშუალებას მივსცეთ სოფელს მაღალი ტეხნიკა, ჩვენთვის არსებობს ორი შესაძლებლობა: ან უნდა მივმართოთ სოფლად სამხედრო კომუნიზმის მეთოდებს და შევაჩეროთ საწარმოო ძალთა განვითარება, რაც გამოიწვევდა ბაზრის შევიწროვებას და ამით მრეწველობის საწარმოო ძალთა შეჩერებასაც, ან მანამ (კარგია ეს „მანამ"! ვ. მ.), სანამ ჩვენ ჩვენი მრეწველობის საშუალებებით ვერ შევძლებთ სასოფლო მეურნეობის კოლექტივიზაციას, ჩვენ უნდა დაუშვათ იქ საწარმოო ძალთა განვითარება, თუნდაც კაპიტალისტურ მეთოდების საშუალებითაც. ამაში მდგომარეობს ჩვენი პოლიტიკის მიმდინარე პერიოდის დედა-აზრი"-ო.

(ლ. ტროცკი „ჩვენი ახალი ამოცანების შესახებ". მოხსენება ზაპოროჟიეს პარტორგანიზაციათა საქალაქო კრებაზე 1925 წ. 1 სექ.).

ამრიგად, აღმოჩნდა, რომ „ჩვენი პოლიტიკის მიმდინარე პერიოდის დედა-აზრი" მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენ ვანვითარებთ სოფლის საწარმოო ძალებს „კაპიტალისტურ მეთოდების საშუალებით". მაგრამ ასეთი ლაპარაკი ჩვენი პოლიტიკის შესახებ, კერძოთ მე-14 პარტკონფერენციის დადგენილებების შესახებ, შეუძლია მხოლოდ ისეთ ადამიანს, რომელიც ორივე ფეხით სდგას ბურჟუაზიულ იდეოლოგიის ნიადაგზე, ისეთ ადამიანს, რომელიც უნებლიეთ გამოხატავს მიწსახკომის იმ ზოგიერთ პროფესორების იდეოლოგიას, რომლებიც მოითხოვენ ხელის შეწყობას კაპიტალისტურ პროცესის განვითარებისათვის.

ტროცკი ასეთი იდეოლოგია ეთანხმება მიწათმოქმედების კომისარიატის იმ პროფესორ-აგრონომების და ზოგიერთ სხვა ორგანოების იდეოლოგიას, რომელნიც ხშირად ძვირფას სპეციალურ მუშაობას ასრულებენ, მაგრამ სასოფლო პოლიტიკის საერთო საკითხებში ცდილობენ გაატარონ [illegible] ხელისუფლებისათვის საზიანო თავისი ეკონომიური ხაზი—კულაკობის ხაზი, ბურჟუაზიის ხაზი. ეს ყოველთვის უნდა ახსოვდეთ მეტადრე ჩვენს ხელმძღვანელ სამიწათმოქმედო ორგანოებს.

ახალი ეკონომიური პოლიტიკის ჩვენი შეფასება და ამასთან დაკავშირებით მე-14 პარტიული კონფერენციის დადგენილებათა შეფასება, რასაკვირველია, სულ სხვანაირია.

ახალი ეკონომიური პოლიტიკა და მე-14 პარტიული კონფერენციის პოლიტიკა არის საბჭოთა სახელმწიფოსათვის ერთგვარად შესაწყნარებელი დათმობის პოლიტიკა წვრილ სასაქონლო გლეხურ მეურნეობის, საქონლის წვრილ მწარმოებლის მიმართ, რომელიც ჩვენი სოფლის მასას შეადგენს, მაგრამ კაპიტალისტური ელემენტი კი არ არის. ამიტომ მარქსიზმის ანბანის უცოდინარობა და ნამდვილად ბურჟუაზიული იდეოლოგების ბანაკში გადაბარგვა იქნება, თუ ერთმანეთში ავურევთ ჩვენს ნაწილობრივ განსაზღვრულ დათმობას წვრილი გლეხობის მიმართ, თუმცა ის წვრილი მესაკუთრეა და „კაპიტალისტური მეთოდების გზით" სოფლის განვითარების პოლიტიკას. ეს მეთოდები, მარქსის მკაფიო გამოთქმით, გლეხის გულიდან სისხლსა სწოვენ, ხოლო მისი თავიდან—ტვინს.

მიწათმოწყობის საკითხი

ჩვენ ვზრუნავდით და ვზრუნავთ სოფლის მეურნეობისა და მისი საწარმოო ძალების განვითარებისათვის. ეს უმნიშვნელოვანესი ამოცანაა და ჩვენი მხედველობიდან არასოდეს არ უნდა გაუშვათ, ამ მიმართულებით ჩვენ უკვე თვალსაჩინო შედეგებს მივაღწიეთ. მაგრამ ევროპისა და ამერიკის კაპიტალიზმის მოწინავე ქვეყნების მიწათმოქმედების დონესთან შედარებით ჩვენ მეტად დაბლა ვდგევართ.

მე არ მოვიყვან ცნობებს არც სასოფლო-მეურნეობის საერთო პროდუქციის შესახებ, რომელიც ომის წინადროინდელ საზღვრებს გადასცილდა, არც იმის შესახებ, რომ ჩვენში სასოფლო-მეურნეობის ინტენსიფიკაციამ საგრძნობლად წინ წაიწია რამდენიმე გაძლიერებულ ტექნიკურ კულტურათა და მესაქონლეობის ხარჯზე. არ მოვიყვან ციფრებს მოსავლიანობის შესახებ, რომლის საქმე, მეტადრე ტექნიკურ კულტურათა დარგში, ჯერ კიდევ ცუდად არის, არ მოვიყვან აგრეთვე უმთავრეს ცნობებსაც კი საქონლის დამზადების, ექსპორტის და სხვათა შესახებ. აღვნიშნავ მხოლოდ, რომ ამჟამად სასოფლო მეურნეობის განვითარება საადგილ-მამულო საქმეების მხრით დაკავშირებულია ელემენტარულ წინასწარ პირობებთან, მიწათმოწყობის საკითხთან.

მიწათმოწყობის საკითხი ახლა სოფლის უმნიშვნელოვანესი საკითხია, რადგან მიწათმოწყობა სოფლის საწარმოო ძალთა შემდგომი სერიოზული განვითარებისათვის ელემენტარული წინასწარი პირობაა. როდესაც ახლა, ოქტომბრის რევოლუციის ათი წლის თავის შემდეგ, ჩვენში არსებობს დიდძალი საგლეხო მეურნეობა 10—20 ზოლით, ასეთ პირობებში არავითარი საწარმოო ძალთა განვითარება არ მოხერხდება. ამჟამად მიწათმოწყობის ამოცანა დასახულია, როგორც გადაუდებელი საქმე. დროა ამას სერიოზულად დაუფიქრდეთ. მიწათმოწყობის ახლანდელი მდგომარეობა სრულებით არაფრად ვარგა, აშკარად შეუწყნარებელია. ავიღოთ სოფლის შიგნით მიწათმოწყობა—საბჭოთა რუსეთში ის გატარებულია მეურნეობათა 12 პროცენტში, უკრაინაში მიწების 15 პროცენტში. ეს სრულებითაც არ არის საკმაო, აქ ჩვენ აშკარად ჩამოვრჩით სასოფლო-მეურნეობის საწარმოო ძალთა განვითარების ელემენტარულ ამოცანებს.

მესაქონლეობის განვითარება

მე არ შევჩერდები ჩვენს წარმატებებზე მემინდვრეობის, მესაქონლეობის და სხ. დარგში, მაგრამ საჭიროდ ვსცნობ გავაკეთო ერთი შენიშვნა, სახელდობრ: ყოველივე ამტკიცებს იმას, რომ პროლეტარულმა რევოლუციამ უკვე უახლოეს წლებში უნდა მოახდინოს უდიდესი რევოლუციონური გავლენა მთელ ჩვენი სახალხო მეურნეობის საწარმოო ძალთა და მათ შორის სასოფლო-სამეურნეო საწარმოო ძალთა აღორძინებაზე. ამ მხრივ საგულისხმოა მესაქონლეობის დარგში ერთი გამოჩენილი სპეციალისტის პროფ. ბოგდანოვის წერილი დაბეჭდილი ჟურნალ „სასოფლო მეურნეობის გზებში". პროფ. ბოგდანოვის წერილს აქვს ასეთი სათაური: „ოქტომბრის მომენტები მესაქონლეობაში და ზოოტექნიკაში". თუ თქვენ ამ წერილს წაიკითხავთ, თქვენ მიიღებთ კიდევ ერთს და ამასთანავე მეტად საინტერესო დასაბუთებას იმისა, თუ რა დიდი წინსვლა გვაქვს ეხლა მთელ რიგ ისეთ დარგებში, რომლებზედაც ჩვენ, კომუნისტები, ძალიან ცოტას ვფიქრობთ.

ამ წერილის წაკითხვიდან იღებთ ისეთ შთაბეჭდილებას, რომ პროფ. ბოგდანოვი, ლაპარაკობს რა ოქტომბრის მომენტებზე მესაქონლეობაში და ზოოტექნიკაში, მთლიანად არის გატაცებული იმით, თუ როგორი უდიდესი შედეგები მოგვცა მესაქონლეობისა და ზოოტექნიკის განვითარებისათვის ჩვენმა ოქტომბრის რევოლუციამ, რომელმაც მოსპო მემამულეთა ბატონობა და გადაშალა სოფლის ახალი კოოპერატიული გზები სასოფლო მეურნეობის ძლიერ ზრდისათვის. იგი აღნიშნავს, რომ ეხლა მუშაობს სრულიად ახალი პერსპექტივები გადაიშალა მასიურ მესაქონლეობისა და ზოოტექნიკის დარგში, გადაიშალა მეცნიერების ახალი მეთოდები და სხვ., და ყოველივე ეს,—ამბობს პროფესორი და მეცნიერი,—მოხდა ოქტომბრის რევოლუციის შედეგად, რომელმაც არაჩვეულებრივი შესაძლებლობანი მოგვცა ჩვენი სასოფლო-მეურნეობის და არა მარტო სასოფლო-მეურნეობის, არამედ მთელი ჩვენი სახალხო მეურნეობის ამ მნიშვნელოვანი დარგის განვითარებისათვის. ჩვენ კი ყოველივე ამას მეტად მცირე ყურადღებას ვაქცევთ და ამით მტკიცდება, რომ ჩვენ საკმაოდ არ ვიცნობთ სოფელს, ჩვენი სოფლისა და გლეხობის არსებით საჭიროებებს.

პროფ. ბოგდანოვის ამ წერილში მე გამაოცა უდიდესმა ენტუზიაზმმა, მხნეობამ, მტკიცე რწმენამ ჩვენ რევოლიუციონურ მონაპოვართა უდიდესი მნიშვნელობაში, მონაპოვართა, რომელნიც სპეციალისტისა და მეცნიერისათვის ნათლად შლის ახალ პერსპექტივებს ისეთ, ჩვენთვის ნაკლებად ცნობილ დარგებში, როგორიც არის მესაქონლეობა და ზოოტექნიკა. მე მხოლოდ მაშინ მივხვდი, თუ რატომ მოხდა, რომ ჩვენი ერთ-ერთი საგუბერნიო ორგანიზაციის თეზისებში სოფლად მუშაობის შესახებ, თეზისებში, რომელთაც, მართალია, აშკარა საგუბერნიო-სამაზრო განყოფილების „გადახრა" აქვს, სხვა ამოცანებს შორის სპეციალურად არის წამოყენებული ასეთი ამოცანა: გაძლიერდეს კურსი ადგილობრივ ჯიშის ძროხაზე (სიცილი). უნდა აღინიშნოს, რომ ამას წინედ ჩატარებული ერთ-ერთი საგუბერნიო პარტიულ კონფერენციის ეს ფორმულა გვიჩვენებს, რომ ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები ძალიან მიუახლოვდნენ სასოფლო-მეურნეობის საკითხებს. თუ კი ეს ხალხი ლაპარაკობს, რომ „გაძლიერდეს კურსი ადგილობრივ ჯიშის ძროხაზე"-ო, ეს იმას ნიშნავს, რომ სასოფლო-მეურნეობის საქმე მათ სერიოზულად აინტერესებთ. ამას კი ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს და აუცილებლად უნდა მივესალმოთ.

კაპიტალისტურ ელემენტების შეზღუდვა

უბრუნდები ძირითად საკითხს,—სოფლის საწარმოო ძალთა აღორძინების საკითხს ჩვენს პირობებში. ეს აღორძინება ჯერ-ჯერობით წარმოადგენს საქონლის წვრილი მეურნეობის საწარმოო ძალთა ზრდას, ეს კი თავის მხრით აუცილებლად ჰქმნის კაპიტალისტური ელემენტების ზრდას სოფლად. პარტიას აქედან გამოჰყავდა და გამოჰყავს დასკვნები. მთელი ჩვენი პარტიის პოლიტიკა, რომელიც მიმართულია ამ წვრილი მეურნეობის, საშუალო და ღარიბი გლეხის მეურნეობის საწარმოო ძალთა აღორძინებისაკენ, შეიძლება სისწორით იქნეს გაგებული მხოლოდ ერთი პირობით—თუ ჩვენ ამასთან ერთად არ დავივიწყებთ, რომ ეს პოლიტიკა განუყრელად არის დაკავშირებული მთელ რიგ მოქმედ, სისტემატიურ ზომებთან, რომელნიც მიმართულია კაპიტალისტურ ელემენტების ზრდის შეზღუდვისაკენ, ყოველივე იმას, რასაც ჩვენ ვაკეთებთ საწარმოო ძალთა განვითარებისათვის, ყოველთვის უნდა სდევდეს თან კაპიტალისტური ელემენტების ზრდის ეს შემზღუდავი ზომები. კაპიტალისტური ელემენტ. ზრდის ამ შეზღუდვას ჩვენ ვახორციელებთ სხვადასხვა საშუალებებით და გზებით. ასეთია, მაგ., ჩვენი ზომები იჯარის შეზღუდვისა, დაქირავებული შრომისა და სხ. დარგში. თეზისები, რომელნიც წარმოდგენილია ყრილობის წინაშე, არის მთელი რიგი პირდაპირი და არაპირდაპირი შეზღუდვანი სოფლის კაპიტალისტურ ელემენტებისა.

საჭიროა განსაკუთრებით აღინიშნოს ამ თვალსაზრისით საბჭოების საგადასახადო პოლიტიკის მნიშვნელობა სოფლად. სხვადასხვა სოციალური ჯგუფების მიმართ ჩვენ ვატარებთ სავსებით გარკვეულ კლასობრივ პოლიტიკას. გლეხობის დაბალ ფენებს ჩვენ სრულიად ვანთავისუფლებთ სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან. მაგრამ თუ ავიღებთ გლეხობის დანარჩენ ჯგუფებს,—აქ უკვე ჩვენ გვაქვს დიდი განსხვავება შემოსავლის დაბეგვრაში დაბალ და უმაღლეს ჯგუფებს შორის.

გადასახადის პროცენტი გლეხობის დაბალი ფენების დასაბეგრ შემოსავლის მიმართ 3 პროცენტზე ნაკლებია, ხოლო უმაღლეს ჯგუფების მიმართ—ის აღწევს დასაბეგრ შემოსავლის 18 პროცენტამდე. რა თქმა უნდა, მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ შემოსავლის აღრიცხვა, განსაკუთრებით უფრო შეძლებული გლეხების შემოსავლის, სრულიად არაა დამაკმაყოფილებელი. მაგრამ, საერთოდ, მოყვანილი ციფრები განსაზღვრავენ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კლასობრივ ბუნებას და მის როლს კაპიტალისტურ—ელემენტების ზრდის შეზღუდვის საქმეში. თეზისებში, რომელიც წარედგინა ყრილობას განსახილველად, საჭიროდ არის ცნობილი ბრძოლის გაძლიერება კაპიტალისტური ელემენტების კიდევ უფრო შესაზღუდავათ სოფლად და კერძოთ გადასახადის მაქსიმალური (უმაღლესი) პროგრესიულობის დაწესება სოფლის უფრო მდიდარი ნაწილის მიმართ. ეს აუცილებლად საჭიროა.



ამხ. მოლოტოვი

ცენტრალური ამოცანა

მაგრამ რამდენად კარგადაც არ უნდა გავატაროთ ჩვენ კაპიტალისტური ელემენტების შეზღუდვის პოლიტიკა, თავისთავად შეზღუდვის პოლიტიკა—პალიატივების პოლიტიკაა. შეზღუდვის პოლიტიკა ჯერ-ჯერობით ჩვენთვის აუცილებელია, სანამ ჩვენ არ შევკრიბეთ ძალა და შესაძლებლობა გადავიდეთ უფრო ძირითად სოციალისტურ ღონისძიებებზე სასოფლო მეურნეობის ასაღორძინებლად. ამ უკანასკნელ დროს პარტიის აზრი და გონება გამუდმებით მუშაობს იმ საკითხზე, თუ რა მიმართულებით უნდა წავიდეთ ჩვენ ომის წინადროის ფარგლების მიღწევების შემდეგ. უკანასკნელ დროს გამოქვეყნდა წერილები, რომლებიც აყენებენ უცხენობის და უინვენტარობის ლიკვიდაციის ამოცანებს, მაგალითად, ათი წლის განმავლობაში. ჩვენ ვიცით აგრეთვე, რომ ზოგ შემთხვევებში ცალკე გამოჰყოფენ ხოლმე საკითხს სოფლის დიფერენციაციასთან ბრძოლის შესახებ და სხვ. მე ვფიქრობ, რომ სოფლის მნიშვნელოვანი საკითხებისადმი (უინვენტარობა, დიფერენციაცია) ასეთი მიდგომა—არაა სწორი მიდგომა, არაა ის მიდგომა, რომელიც შეეფერება მარქსიზმს. შეცდომაა უინვენტარო მეურნეობათა ლიკვიდაციის ამოცანის სოფლის საერთო ძირითადი ამოცანებისაგან განყენებულად დაყენება. შეცდომაა აგრეთვე სოფლის დიფერენციაციასთან ბრძოლის საკითხის დანარჩენ სხვა საკითხებისაგან განყენებულად დაყენება. ასეთი პრობლემებისადმი სწორი მიდგომა მხოლოდ ერთია, სახელდობრ—სოფლის კაპიტალისტური ელემენტების დაძლევის გზა.

პარტია ნეპის ყველა წლების განმავლობაში გადაუხრელად ატარებდა კაპიტალისტური ელემენტების ზრდის შეზღუდვის პოლიტიკას. მაგრამ ჩვენს ამოცანას შეადგენს გავსწიოთ როგორც სოფლის, ისე ქალაქის კაპიტალისტური ელემენტების სრული დაძლევისა და ლიკვიდაციის გზით. მოკლედ რომ ვსთქვათ, ეს ამოცანა წარმოადგენს სოციალიზმის მშენებლობის ამოცანას. ეს მოკლე ფორმულა ჩვენ გვაძლევს იმ პასუხს, რომ საერთო ძირითადი ამოცანასთან—სოფლის კაპიტალისტური ელემენტების დაძლევისა და საერთოდ სოციალისტური მშენებლობის ამოცანებთან დაუკავშირებლად ჩვენ არ შეგვიძლია დავაყენოთ არც საკითხი უინვენტარობის ლიკვიდაციის შესახებ სოფლად და არც საკითხი სოფლის დიფერენციაციასთან ბრძოლის შესახებ. ჩვენ ამოცანას შეადგენს ისე განვავითაროთ პარტიის მუშაობა, რომ ამ საქმეში ჩავაბათ გლეხების მასა, რომ მასთან ერთად გავსწიოთ სოფლის კაპიტალისტური ელემენტების დაძლევისა და ლიკვიდაციის გზით. მხოლოდ ასე მარქსისტულად და ლენინურად შეუძლია მიუდგეს კომუნისტმა თავის ამოცანებს სოფლად. ეს კი იმას ნიშნავს, რომ პარტიის მთელი პოლიტიკის მთავარ ამოცანას სოფლად წარმოადგენს ის ღონისძიებები, რომლებიც მაქსიმალურად უზრუნველყოფენ გლეხურ მასებისათვის, მთელი საბჭოთა სახელმწიფოსათვის გადასვლას წვრილ ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობიდან მსხვილ საზოგადოებრივ მეურნეობაზე სოფლად. ესაა ამჟამად ჩვენი მთავარი პრაქტიკული ამოცანა. მხოლოდ ამ გზაზე შეიძლება ლაპარაკი როგორც უინვენტარობის ლიკვიდაციისა, ისე დიფერენციაციის ლიკვიდაციის შესახებ სოფლად.

ამ ამოცანებზე ყურადღების გადატანაში მდგომარეობს ამჟამად პარტიის პოლიტიკის ცენტრალური ამოცანა სოფლის მიმართ. აი, სადაა მართლაც საჭირო ლაპარაკი „შებრუნებაზე", მთელი პარტიის, მთელი მუშათა კლასისა და გლეხობის ფართო მასების ყურადღების შებრუნებაზე.

კოოპერაცია და მსხვილი კოლექტიური მეურნეობა

როგორ მიუდგეთ პარტიის ძირითად ამოცანების გადატანას სოფლად

რა მოგვეპოვება ჩვენ იმისათვის, რომ უფრო მტკიცეთ მოვკიდოთ ხელი პარტიის ამ ძირითადი ამოცანების განხორციელებას სოფლად? ჩვენი გლეხური მეურნეობა ვითარდება, როგორც წვრილი ინდივიდუალური გლეხური მეურნეობა. მაგრამ ჩვენ აქ ყოველდღიურად ვიმეორებთ ციფრებს ჩვენი სამომხმარებლო და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციისა და აგრეთვე იმ შინამრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის ზრდის შესახებ, რომელიც თუმცა ნელა, მაგრამ მაინც წინ მიდის. ჩვენ ხშირად ვიმეორებთ ციფრებს, რომლებიც ლაპარაკობენ ჩვენი კოოპერაციის უდიდესი მიღწევების შესახებ სოფლად, მაგრამ ასეთი გამეორება ეხლა სრულიად საკმაო არაა.

მე არ შევჩერდები ჩვენი კოოპერაციის მდგომარეობის დახასიათებაზე. მე ვფიქრობ, რომ ეხლა როგორც სოფლის დიფერენციაციის განვითარების საკითხზე, ისე კოოპერაციის განვითარების ისეთი მომენტების საკითხზე, როგორიცაა მისი სოციალური შემადგენლობა, მისი მოღვაწეობის არე და მუშაობას სპეციალური დარგები, ჩვენ ბევრი რამ ვიცით იმისათვის, რომ ვიმსჯელოთ სოფლის სოციალური განვითარებისა და კოოპერატიული საზოგადოებრივობის ძირითად ელემენტების შესახებ.

მე ვფიქრობ, რომ ჩვენ ერთობ ბევრს ვმუშაობთ ამ საკითხებზე, რომლებიც საკმაოდ გამორკვეულია, რამდენჯერმე გადაღეჭილია და რომლებიც არავითარ ახალ რაიმეს არ წარმოადგენენ როგორც ჩვენი პარტიისათვის, ისე თვითეული უბრალო მუშისათვის და შეგნებული გლეხისათვის. ჩვენ ძალიან ცოტა ყურადღებას ვაქცევთ იმ ახალს, რომელიც შეიქმნა რევოლუციის წლებში და ხშირად ვამეორებთ ერთსა და იმავე ზოგად ციფრებს, ზოგად ცნობებს, შედეგებს და სხ. ამავე დროს კი ჩვენ მეტი ყურადღებით უნდა ჩაუკვირდეთ ამ ციფრებს და ამ ფაქტებს, შევეცადოთ გავიგოთ ის ახალი სოციალისტური, რაც უკვე კეთდება ჩვენში და რაც ამ მშრალ ციფრებში და ფაქტებშია გამოხატული.

ფასების პოლიტიკის მნიშვნელობა

წვრილი ინდივიდუალური მეურნეობა და მთელი სახალხო მეურნეობა ჩვენს ქვეყანაში ვითარდება ახალ ეკონომიურ პოლიტიკის ნიადაგზე, ე. ი. სახელმწიფო მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შორის საქონლის გაცვლა-გამოცვლის ნიადაგზე. აქედან გამომდინარეობს ფასების პოლიტიკის განსაკუთრებული მნიშვნელობა. პარტიის პოლიტიკა ამ საკითხში იმაში მდგომარეობს, რომ უახლოეს პერიოდში, სასოფლო-სამეურნეო ფასების წონასწორობის დაცვით, სისტემატიურად, მუდმივად და შეუწყვეტლად იქნეს მიღებული ზომები სამრეწველო ფასების შემცირებისათვის. ვისაც არ ესმის, რომ ეს ამოცანა წარმოადგენს ძირითად პუნქტს ჩვენს პოლიტიკაში სოფლის მიმართ, მას საერთოდ არაფერი არ ესმის პარტიის პოლიტიკაში.

ეს პოლიტიკა წარმოადგენს ელემენტარულ წინასწარ პირობას პარტიისა და მუშათა კლასის სოფლისადმი, გლეხთა ფართო მასების ინტერესებისადმი სწორ მიდგომისათვის. ოპოზიცია, რომელიც ამ საკითხში ქანაობს ხან ერთ და ხან მეორე მხრივ და სინამდვილეში კი წინააღმდეგია ფასების დაკლების პოლიტიკის, გამოხატავს ყველაზე უფრო ცუდ ძველ ბურჟუაზიულ ტრადიციებს, ყველაზე უფრო ცუდ ბიუროკრატიულ ტენდენციებს ჩვენს სახელმწიფო და სამეურნეო აპარატში. არც ერთი წუთით არ შეიძლება ამჟამად იმის დავიწყება, რომ ჩვენი პოლიტიკა სამრეწველო ფასების შემცირებისა და უახლოეს პერიოდში მტკიცე სასოფლო-სამეურნეო ფასების დაცვისა, ე. ი. ფასების „მაკრატლის" შემცირების პოლიტიკა წარმოადგენს მიმდინარე მომენტისათვის ქალაქისა და სოფლის სწორ სამეურნეო ურთიერთობის ელემენტარულ წინასწარ პირობას.

ახალი მომენტი სოფლის სამეურნეო განვითარებაში

მაგრამ განსაკუთრებით ყურადღებით უნდა ჩაუკვირდეთ ცნობებს ჩვენი საქონლის ბრუნვის შესახებ. ამჟამად სოფლისათვის საქონლის მიწოდების ნახევარზე მეტი უკვე კოოპერაციის ხელშია და სასოფლო-სამეურნეო დამზადებათა თითქმის ორი მესამედი აგრეთვე ჩვენს ხელშია, სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანოების ხელში. მარტო ეს ორი ფაქტი ლა-

---

*) 16 დეკემბრის დილის სხდომაზე.

საქართველოს

ჰარაკობს იმის შესახებ, რომ ახალ ეკონომიურ პოლიტიკის პირველ პერიოდთან შედარებით ჩვენში შეიქმნა სრულიად სხვა მდგომარეობა სოფლის სამეურნეო ცხოვრების განვითარებაში. ამჟამად ჩვენზე, საბჭოთა სახელმწიფოზე უმთავრესად არის დამოკიდებული სამეურნეო ურთიერთობათა მოწესრიგება ქალაქსა და სოფელს შორის, ეს ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად შევძლებთ ჩვენ შევადგინოთ გეგმები, მოქნილი და მოხერხებული გეგმები, და არა ისეთი უხეში გეგმები, რომლებსაც ჩვენ ჩვეულებრივ ვადგენდით დღემდე. ფასების და მიწოდებისა და გასაღების მოწესრიგება, რომელიც ჩვენ დღემდე გვაქვს, ძლიერ ხშირად უაღრესად მტკივნეულ გავლენას ახდენს სოფლის ცხოვრებაზე. მაგრამ ფაქტი მაინც აშკარაა: მეტი ნაწილი სოფლისათვის სამრეწველო საქონლის მიწოდების და მეტი ნაწილი სასოფლო-სამეურნეო საქონლის დამზადებათა ჩვენს ხელშია. ამით ჩვენ გვაქვს უდიდესი შესაძლებლობა სახელმწიფო გეგმიანი ზეგავლენის მოსახდენად სოფლის მეურნეობის განვითარებაზე. ამ შესაძლებლობაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული სოფლის მეურნეობის განვითარებაში.

უნდა შევიგნოთ პასუხისმგებლობა

მაგრამ უნდა შევიგნოთ, რომ ეს ფაქტი უაღრესად ზრდის ჩვენს პასუხისმგებლობას სოფლის წინაშე. ეს ჩვენ ცუდად გვაქვს შეგნებული. ჩვენ ცუდად გვაქვს შეგნებული, თუ როგორი კოლოსალური პასუხისმგებლობა აწევს ამ საქმისათვის თვითეულ კომუნისტს, საბჭოთა და კოოპერატიულ აპარატის თვითეულ მუშაკს პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე. ეს გამომდინარეობს იქიდან, რომ გლეხთა მასებს შვენივრად ესმის, რომ ჩვენზე, ჩვენს ორგანოებზე დამოკიდებულია სოფლისათვის საქონლის მიწოდების მოწესრიგება და სასოფლო-სამეურნეო დამზადებათა მოწესრიგება. ამიტომ გამოსთქვამს გლეხი უკმაყოფილებას საბჭოთა და კოოპერატიულ ორგანოების მიმართ, როდესაც მათ შეცდომები მოსდით, დიდი შეცდომები სასოფლო-სამეურნეო დამზადებათა და სოფლისათვის სამრეწველო საქონლის მიწოდების გეგმიან მოწესრიგების საქმეში. სწორედ მიტომ გვეუბნება ჩვენ ის გლეხი (როგორც, მაგალითად, ეხლა, პურის დამზადების კამპანიის დროს) ასე ხშირად, რომ ამ დარგში ადგილი აქვს კოლოსალურად ბევრ სისულელეს და უმგზავსობას.

მაგრამ მთავარი იმაში მდგომარეობს, რომ გლეხმა ყველაფერი ეს მშვენივრად იცის და შეიგნო, ჩვენ, კომუნისტებმა კი ეს ჯერ ძლიერ ცუდად შევიგნეთ.

ამავე დროს კი ჩვენ უნდა შევიგნოთ ეს, და შევიგნოთ სერიოზულად და რაც შეიძლება ადრე, ვინაიდან ამ საკითხებზეა დამოკიდებული სოფლის და მასთან დაკავშირებით მრეწველობის მთელი ეკონომიური და სოციალური განვითარება. ფასებს ამ სამრეწველო საქონელზე, რომელიც იგზავნება სოფლად, უმეტეს შემთხვევაში ვაწესებთ ჩვენ. ჩვენვე ვაწესებთ ფასებს სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოების დამზადებაზე. განა გლეხმა არ იცის ეს? მშვენივრად იცის. კარგად იცის, რომ ჩვენ ვაწესრიგებთ ამ ფასებს და სერიოზულ შეცდომებზე ამ დარგში, ისეთ პასუხს იძლევა, როგორიც მოსალოდნელია წვრილ მესაკუთრისაგან, როდესაც შებღალულია მისი საკუთრების ინტერესები.

როგორ დავაინტერესოთ გლეხობა

მაგრამ უნდა შევიგნოთ, რომ ამჟამად საქმე მარტო ფასებში კი არ მდგომარეობს. ფასების სწორი პოლიტიკა წარმოადგენს ელემენტარულ წინასწარ პირობას ქალაქის და სოფლის სამეურნეო ურთიერთობის სწორ მოწესრიგებისათვის. მაგრამ ეს ცოტაა. ჩვენ ვიცით, რომ მტკიცე სასოფლო-სამეურნეო ფასების პოლიტიკა დაცული უნდა იქნეს უახლოეს პერიოდისათვის. მაშ როგორ დავაინტერესოთ გლეხობა სასოფლო მეურნეობის განვითარებით, თუ მან წინდაწინვე იცის, რომ მომავალ წელს, მაგალითად, ასეთი ფასები ექნება სასოფლო-სამეურნეო ძირითად ნაწარმოებს. სად არის გამოსავალი? ცხადია, რომ გლეხისათვის აქ არსებობს ერთი გამოსავალი. მან უნდა გააძლიეროს თავისი სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, ვინაიდან დღევანდელ პირობებში მხოლოდ ამ საშუალებით შეუძლია გააძლიეროს მისი სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემოსავლიანობა.

ფასების სახელმწიფო მოწესრიგების დროს საკითხი თვით სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების შესახებ წარმოადგენს მთავარ და შეიძლება ითქვას, ერთად-ერთ ამოცანას. ამაზე ჩვენ დღემდე ნაკლებად ვფიქრობდით, მიუხედავად იმისა, რომ უშუალოდ დაუახლოვდით ამ ამოცანებს.

ჩვენ არ შეგვიძლია უარი ვსთქვათ გეგმიანობის განვითარებაზე ჩვენს სახალხო მეურნეობაში. ჩვენ, რასაკვირველია, გავასწორებთ ჩვენს შეცდომებს ამ დარგში და შეცდომებს სასოფლო მეურნეობის საქმეში. მაგრამ კრიტიკა ამ საქმეში მეტად ადვილია, ვინაიდან ეს საქმე მეტად ახალია და ძნელი გეგმიანი მეურნეობა, რომელიც აერთიანებს მრეწველობას და 24 მილიონ დაქსაქსულ სასოფლო მეურნეობას—უძნელესი საქმეა. მაგრამ ჩვენ უკვე მოვკიდეთ ხელი ამ საქმეს და უკვე ვანხორციელებთ მას. ამიტომ ჩვენ უნდა შევიგნოთ, რომ პარტიის მიერ წესებული ფასების პოლიტიკა, მისი გატარების მოქნილობა და უაღრესი ყურადღება სასოფლო მეურნეობისადმი, მის ცალკე რაიონებისა და ცალკე ხეზენებისადმი—დღეს ახლა უფრო აუცილებელია, ვიდრე ოდესმე.

მთავარი სადღეისო ამოცანა

მაგრამ ეს არ კმარა. მთავარი საკითხი დღეს მდგომარეობს იმაში, რომ სათანადო დახმარება გაუწიოთ გლეხს და ხელი შეუწყოთ მას სასოფლო მეურნეობის განვითარების საქმეში—სასოფლო მეურნეობის შემოსავლიანობა და გლეხის დაინტერესება ამით მიღებული იქნება მხოლოდ ნაწარმოების რაოდენობის გადიდებით, სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაძლიერებით.

მთავარი, რაც უნდა გავიხსენოთ ახლა ეს ის, რომ სასოფლო-მეურნეობა ჩვენში დანაწილებულია მრავალ წვრილ გლეხურ მეურნეობებათ, და რომ რევოლუციის დროს სასოფლო-მეურნეობის ეს დანაწილება უფრო გაძლიერდა. თუ საკითხს მივუდგებით იმ თვალსაზრისით, თუ როგორ შეიძლება გლეხური მეურნეობის უფრო რენტებელურათ და უფრო სასარგებლოთ დაყენება, აღმოჩნდება, რომ 8 მილიონ ყველაზე უფრო სუსტ გლეხურ მეურნეობაში ცხენის გამოყენებაც უკვე არ არის რენტაბელური (ხელსაყრელი). ეს პირველი ფაქტი. თუ-კი განვიზრახავთ სასოფლო-სამეურნეო მანქანების გამოყენებას—იგივე სურათს მივიღებთ. მეურნეობათა ერთ ნაწილში კარგი გუთანიც საზარალოა, ეს მაშინ, როდესაც ეს გუთანიც მიუწდომელია. სუსტ მეურნეობათათვის, ხოლო სასოფლო-სამეურნეო მანქანები—კი—სამკალი, სათესი და ყველა სახის სალეწავი მანქანები სავსებით არარენტაბელური და გამოუსადეგარია წვრილ გლეხურ მეურნეობებში. სწორედ, ამიტომ გვაქვს ჩვენ დღემდე 8 მილიონზე მეტი სახნისი.

მაგრამ სოფლის ეკონომიური განვითარების მთავარი საკითხი იმაში მდგომარეობს, რომ სოფლის შეძლებულ და კულაკურ ნაწილს აქვს უფრო მსხვილ მეურნეობათა უპირატესობა და ამიტომ ეკონომიურად ის ამარცხებს სუსტ საშუალო მეურნეობას.

ამაშია ჩვენი სოფლის ძირითადი ეკონომიური წინააღმდეგობა, რომლიდანაც აუცილებლად უნდა მოვნახოთ გამოსავალი.

კაპიტალისტურ და სოციალისტურ ელემენტების ბრძოლა სოფლად

ჩემ მიერ დასახელებულ იაკოვლევის კრებულში არის მეტად სასარგებლო ცნობები წვრილი, საშუალო და მსხვილი მეურნეობის შემოსავლის შესახებ, რომელიც განიზომება მათი საწარმოო საშუალებათა რაოდენობით მთელ რიგ გუბერნიებში. ამ ცნობებიდან სჩანს, რომ მეურნეობანი, რომელთაც აქვთ 400, 800, 1000 მან. ღირებულების საწარმოო საშუალებანი, სავსებით განსხვავდებიან თავისი შემოსავლიანობით და მოსავლით. გამოდის, რომ ეკონომიური უპირატესობები სოფელში არის შეძლებული კულაკური ელემენტების მხარეზე. საშუალო და ღარიბი ელემენტების ძირითადი მასა კი, რომელიც კონკურენციას უწევს ამ უფრო მსხვილ სასოფლო-მეურნეობებს, ეკონომიურად იმყოფება გამოუვალ მდგომარეობაში, ვინაიდან მას დღითი-დღე ავიწროებენ ეკონომიურად.

თუ ჩვენს ქალაქში ძირითადი უპირატესობა გვაქვს იმაში, რომ მსხვილი მეურნეობის წარმოების იარაღი იმყოფება პროლეტარიატის ხელში, და ამიტომ ადვილად ვსპობთ ბურჟუაზიის ნაშთებს, სამაგიეროდ სოფელში ეკონომიური მდგომარეობა თითქმის საწინააღმდეგოა. აქ უფრო მსხვილი წარმოების უპირატესობა ფაქტიურად არის შეძლებული კულაკის მხარეზე. ჩვენ ვეხმარებით ღარიბ და საშუალო გლეხს, ვეხმარებით მას დადგეს ფეხზე, კაპიტალისტურ ელემენტებს ვზღუდავთ გადასახადით, იჯარის მტკიცე ნორმებით, დაქირავების პირობებით, მაგრამ ამ უფრო მსხვილი მეურნეობის ეკონომიური უპირატესობები წვრილ მეურნეობასთან შედარებით, ჩვენ ვერ მოვსპეთ და არსებითად, მხოლოდ ეხლა შევუდექით სერიოზულად ამ ძირითადი ეკონომიური წინააღმდეგობის მოსპობას სოფელში.

ამიტომ კაპიტალისტური და სოციალისტური ელემენტების ბრძოლა სასოფლო-მეურნეობაში სწარმოებს იმგვარად, რომ საშუალო და ღარიბი გლეხი,—სოფლის ეს ძირითადი მასა, რომელსაც უმთავრესად აქვს მცირე ინდივიდუალური მეურნეობა, თითქმის გამოუვალ მდგომარეობაშია და ნელის ნაბიჯით მიდის წინ, მიუხედავად ოქტომბრის რევოლუციის ათი წლის მანძილისა, რომელსაც მისთვის უნდა მიეცა გიგანტური ტემპით წინსვლის საშუალება. უფრო მსხვილი შეძლებული საგლეხო მეურნეობის ამ უპირატესობებმა წვრილ და უაღრესად წვრილ ღარიბ და საშუალო მეურნეობის წინაშე, უნდა დაგვაფიქროს; ჩვენ ამის გამო ღრმად უნდა ჩაუკვირდეთ ჩვენს ამოცანებს სოფლად მუშაობის დარგში. ამაზე უნდა მივუთითოთ გლეხს, უნდა განვუმარტოთ, რომ ამაშია ეხლა სოფლის ძირითადი უბედურება, ამაშია ძირითადი ეკონომიური წინააღმდეგობა და ამიტომ ამაში მდგომარეობს ჩვენი ამოცანების ცენტრი სოფლად მუშაობაში.

ხელშეკრულებები მრეწველობასა და სასოფლო მეურნეობის ცალკე დარგებს შორის

ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებით ყურადღებით უნდა გაუკეთოთ ანალიზი იმას, რაც ჩვენ გვაქვს, პირველ რიგში ჩვენი კოოპერაციის მუშაობის პრაქტიკაში. ჩვენ უკანასკნელ ხანებში ყველამ მივაქციეთ დიდი ყურადღება კონტრაქტაციას, რომელსაც ჩვენ ვახასიათებთ, როგორც მეტად მნიშვნელოვან მოვლენას სოფლად. ამასთანავე კონტრაქტაციის საკითხს, ე. ი. ხელშეკრულებათა დადების მრეწველობის ცალკე დარგებსა და სასოფლო-მეურნეობის სათანადო დარგებს შორის, სწორედ იმიტომ მიენიჭა ასეთი ცხოველმყოფელობა, რომ ეს საკითხი აღძრულია არა წიგნიდან, არამედ ჩვენი სამეურნეო და კოოპერატიული ორგანოების მუშაობის პრაქტიკიდან ზოგიერთ მნიშვნელოვან რაიონებში. კონტრაქტაციის საკითხი ეხლა ჩვენს წინაშე დგას, როგორც სასოფლო-სამეურნეო წარმოებისადმი ახალი მიდგომის ერთ-ერთი მაგალითი. წინედაც იყო კონტრაქტაცია შაქრის ქარხნების პატრონებსა და კულაკურ მეურნეობათა შორის, რომლებიც ჭარხალს აწვდიდენ ამ შაქრის ქარხნებს. მაგრამ ჩვენ ეხლა სრულიად ახალი კონტრაქტაცია გვაქვს.

მაგალითად, შაქრის მრეწველობისა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის შორის (შაქრის ჭარხლის რაიონში) იდება ხელშეკრულება პროდუქტების განსაზღვრული რაოდენობით მიწოდების შესახებ. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია, რომელიც აერთიანებს წვრილ საგლეხო მეურნეობებს ამ რაიონში, ამ ხელშეკრულების ძალით, შაქრის ქარხანას განსაზღვრულ ვადაში აბარებს შაქრის ჭარხალს.

ამასთანავე მხედველობაში უნდა გვქონდეს, რომ თვით შაქრის მრეწველობა დაინტერესებულია, რომ ჭარხალი საუკეთესო ღირსებისა იყოს და დროიანად მიაწოდონ მას, რათა ჭარხლის ფასმა ხელოვნურად არ იმატოს. შაქრის მრეწველობა დაინტერესებულია, რომ გაუმჯობესდეს ჭარხლის მოყვანის საქმე, გაუმჯობესდეს მისი ხარისხი, და, მაშასადამე დაინტერესებულია იმითაც, რომ ჭარხლის დასათესი ადგილების დამუშავება გაუმჯობესდეს, გაუმჯობესდეს ამ პროდუქტის მიღების საქმე. ყოველმხრივ განვითარდეს სასოფლო-სამეურნეო წარმოება. გამოცდილება გვიჩვენებს, თუ რა ფართოდ ვითარდება ახლა ხელშეკრულებათა კამპანია ერთის მხრით შაქრის მრეწველობასა და მეორე მხრით ამ რაიონების ჭარხლის კოოპერაციას შორის. ამასთანავე შაქრის ტრესტი ფართოდ აწვდის კოოპერაციაში შეკავშირებულ ჭარხლის მთესველებს გაუმჯობესებულ თესლს, სასუქს, სასოფლო-სამეურნეო მანქანებს და აგროკულტურულ დახმარებას. აქვს თუ არა ამას დიდი მნიშვნელობა ჩვენს ახლანდელ პირობებში? უკვე ეხლა ჩვენში ისეთი მდგომარეობაა, რომ ხელშეკრულება ჭარხლის მიწოდების შესახებ თითქმის 900.000 საგლეხო მეურნეობას ეხება. გლეხების თითქმის 100 პროცენტი, ე. ი. თითქმის ერთი მილიონი ჭარხლის მომყვანი მეურნეობა, შედის არა მარტო ჭარხლის კოოპერაციაში, არამედ კონტრაქტაციის საშუალებით თავის პროდუქტებს აწვდის შაქრის მრეწველობას.

ავიღოთ მეორე მაგალითი—ბამბის საქმე. აქაც გლეხის მეურნეობათა სამი მეოთხედი მილიონი უკვე კონტრაქტაციის საშუალებით აწვდის ბამბას მებამბეობის კომიტეტს. არც ეს არის ძალიან პატარა ციფრი—გლეხურ მეურნეობათა თითქმის სამი მეოთხედი მილიონი.

კონტრაქტაციის პირობებში უკვე ვითარდება ურთიერთობა სელის მრეწველობასა და სელის სასოფლო-სამეურნეო რაიონებს შორის. აქ საქმე უფრო ნაკლებ რაოდენობას ეხება, მაგრამ მაინც ამ საქმეში უკვე თითქმის 150.000 მეურნეობაა ჩაბმული, რომლებიც კონტრაქტაციის პირობებში მუშაობს. მზესუმზირის მიმართაც ხელშეკრულებანი უკვე 150.000 მეურნეობას ეხებიან.

რას გვაძლევს კონტრაქტების დადების პოლიტიკა

აი, ძირითადი ფაქტები, რომლებიც გვიდასტურებენ, რომ გეგმიანი ელემენტები ახლა უკვე ღრმად შეიჭრნენ სოფლის მეურნეობაში, რომ სხვადასხვა შემთხვევაში მრეწველობა ფართო ფრონტით უკავშირდება სოფლის მეურნეობას და ხელს უწყობს სოფლის მეურნეობის შეყენებას ახალ გზაზე, ამასთანავე მრეწველობა მას აძლევს თესლსა და სასუქს, უზრუნველყოფს ხვნისა და მკა-ლეწვის გაუმჯობესებულ პირობებს იმით, რომ საგლეხო მეურნეობას მანქანებსა და ტრაქტორებს აწვდის, რათა ეს საქმე ახალ ნიადაგზე მოეწყოს, რათა მიწის ხვნისა და დამუშავების კოლექტივიზაცია მოხდეს.

აი, რა იჩენს თავს, აი, რაში ჩაება უკვე დაახლოებით 2 მილიონი საგლეხო მეურნეობა. საკონტრაქტაციო ხელშეკრულებათა საკითხი მეტად მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრის თვალსაზრისით, თუ რა გზით შეიძლება განვითარდეს გეგმიანი ზეგავლენა სასოფლო-მეურნეობაზე. განვითარდეს მრეწველობისა და სასოფლო მეურნეობის კავშირი და გაძლიერდეს შექმნა იმ ელემენტებისა, რომლებიც საჭიროა სოფლის მსხვილ საზოგადოებრივ—კოლექტიურ მეურნეობისათვის.

ამგვარად, კონტრაქტაცია სოფლის მეურნეობაში გეგმიანობის განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა და სოფლად მსხვილი საზოგადოებრივი წარმოების უმნიშვნელოვანესი ელემენტია.

სასოფლო კოოპერატიული მრეწველობა

აიღეთ შემდეგ საკითხი სასოფლო-სამეურნეო ინდუსტრიის, უმთავრესად კოოპერატიული მრეწველობის, რომელიც გადაამუშავებს სასოფლო-სამეურნეო ნედლეულობას. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას მისივე ცნობებით, აქვს დაახლოებით სხვადასხვა სახის—16.000 წვრილ საწარმო, მაგრამ იქ შედის საკმაოდ დიდძალი ყოველგვარი ნაგავი, ინდუსტრიალურის თვალსაზრისით. ბევრ ასეთ საწარმოს უფლება არა აქვს ინდუსტრიად იწოდებოდეს, რადგან ის ხშირად მეტის-მეტად უბადრუკი წვრილი საწარმოა.

მაგრამ ამ მრეწველობის ზოგიერთ დარგებში უკვე არსებობს ისეთი რამ, რასაც გვერდს ვერ აუქცევთ. მაგალითად, არსებობს 6.000 პატარა ქარხანა—კარაქის და ყველის დამამზადებელი; ეს ქარხნები კოოპერაციაში შეკავშირებულ 960.000 საგლეხო მეურნეობის პროდუქციას ამზადებენ. აქაც დაახლოებით ერთი მილიონი მეურნეობა უკვე ჩაბმულია ისეთ კოოპერატიულ ორგანიზაციაში, რომელიც აერთიანებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამუშავებას; ეს კოოპერატიული ორგანიზაცია სამრეწველო მოთხოვნილებას უყენებს მწარმოებელს და მას მიწის საზოგადოებრივი დამუშავების გზაზე აყენებს კარგი მანქანების გამოყენების საშუალებით; ასეთი ორგანიზაცია ამზადებს მოსახლის საზოგადოებრივ მკა-ლეწვას, ამზადებს საზოგადოებრივ დაწესებულებების შექმნას მესაქონლეობის დარგში.

კონტრაქტაციისა და სასოფლო-სამეურნეო ინდუსტრიის საქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ამ საქმეზე გლეხები ხარჯავენ თავის გლეხურ ფულს, ვინაიდან ისინი უშუალოდ არიან დაინტერესებული, რომ მაქსიმალურად განავითარონ ეს საქმე. ეს საქმე ადიდებს მათი მეურნეობის შემოსავლიანობას და იძლევა მათი მეურნეობის აღორძინების შესაძლებლობას.

სოფლად დაგროვილ ზედმეტ თანხების გამოყენების საკითხი

როდესაც ამბობენ, რომ სასოფლო-სამეურნეო კრედიტი ვერ აგროვებს საკმაო გლეხურ თანხებს, მე მგონია ჩვენ აქ ძველებურად ვმუშაობთ. გლეხური ანაბარების შეგროვება საკრედიტო ამხანაგობებში ძლიერ საჭიროა, მაგრამ ჩვენს პირობებში კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს გლეხების თანხების მიზიდვას ამ კონტრაქტაციაში და სასოფ.-სამეურნეო ინდუსტრიაში, რომლებისთვისაც გლეხები უფრო ხალისიანად გადასდებენ თავის „უხილავ“ დაგროვილ თანხებს, ვინაიდან ეს იქნება მათი კოოპერატიულად მოწყობილი მრეწველობა და ვინაიდან ეს იწვევს სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაუმჯობესებას. უნდა შევიგნოთ, რომ თავის დაგროვილ თანხებს გლეხობა ამ საქმეზე არ გადასდებს ისე, თუ არ წავიდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების განსაზოგადოების გზით, სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის კოოპერატიულად გადამუშავების გზით, სასოფლო-სამეურნეო მეურნეობის კოლექტივიზაციის გზით. აი რაში მდგომარეობს საბჭოთა წყობილების პირობებში უდიდესი მნიშვნელობა კონტრაქტაციისა და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის კოოპერატიულად გადამუშავებისა, რომელიც თანდათან ვითარდება და რომელსაც აუცილებლად მეტის ენერგიით უნდა შევუწყოთ ხელი. დღემდე ეს ხელისშეწყობა სრულებით არ იყო საკმაო.

ეხლა მე ცალკე შევჩერდები კოლექტიურ მეურნეობებზე.

ინდივიდუალური მეურნეობიდან — მსხვილ კოლექტიურ მეურნეობაზე

ჩვეულებრივ, როდესაც ლაპარაკობენ სოფლად მსხვილ კოლექტიურ მეურნეობის შექმნის შესახებ, ლაპარაკობენ მხოლოდ ისეთი გზის შესახებ, რომლითაც მიდიოდა დღემდე კოლექტიურ მეურნეობათა შექმნა. მაგრამ არ შეიძლება იმის დავიწყება, რომ ძირითადი გზად წვრილ ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობის გადასასვლელად მსხვილ კოლექტიურ მეურნეობაზე, შეიძლება იყოს და უკვე ხდება კოოპერაცია. მაგრამ ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ, რომ გზას კოლექტიურ სოფლის მეურნეობისაკენ, რომლითაც მიდიოდა დღემდე კოლექტიურ მეურნეობათა შექმნა—კომუნები, არტელები, ამხანაგობანი—უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის. მას დღეიდან განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ექნება მასიურ კოლექტივიზაციისათვის, რომელიც უკვე დაიწყო სოფლად.

თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს კოლექტიურ მეურნეობებს უკვე ეხლანდელ მდგომარეობაში, შეიძლება დავინახოთ იქიდან, რომ მილიონი მეურნე უკვე გაერთიანებულია კოლექტიურ მეურნეობაში. ჩვენ ვიცით, რომ ახალ ეკონ. პოლიტიკის პირველ წლებში კომუნებმა კრიზისი განიცადეს და მათი რაოდენობა რამდენიმედ შემცირდა. მაგრამ თუ კომუნების რიცხვი უკანასკნელ წლებში თითქმის არ იზრდება, სამაგიეროდ არტელების რიცხვმა ისევ იწყო მნიშვნელოვნად ზრდა. კიდევ უფრო იზრდება უკანასკნელ წლებში მიწის საერთოდ დამმუშავებელ ამხანაგობათა რიცხვი. ამიტომ საბჭოთა მეურნეობის საქმეს ჩვენ უნდა დავუთმოთ ბევრად უფრო დიდი ყურადღება, ვიდრე დღემდე. ჩვენ ანგარიში უნდა გაუწიოთ ამ გარემოებას, რომ კოლექტიურ მეურნეობათა უფრო რთულ ფორმებიდან—კომუნებიდან, სოფელში მოხდა გარდატეხა სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობებისა და არტელების მეტი ზრდისაკენ. ამასთანავე ძლიერ დამახასიათებელია, რომ კოლექტიურ მეურნეობათა ამ ფორმებისაკენ მეტი მისწრაფება აქვს საშუალო გლეხებს, რომლებიც მიდიან იმ დასკვნამდე, რომ წვრილ ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობათა განვითარებას აღარ აქვს მნიშვნელოვანი პერსპექტივები. ეს იმის ნიშანია, რომ გლეხი საკუთარ ალღოს წყალობით პოულობს ნამდვილად სწორ გამოსავალს მის ეხლანდელ მდგომარეობიდან, ჩამორჩენილ, დაქსაქსულ გლეხურ მეურნეობის მდგომარეობიდან.

ნათქვამს უნდა დავუმატოთ ის, რომ ჩვენ გვაქვს გლეხურ მეურნეობათა გაერთიანების კიდევ ახალი სახე, რომელსაც სულ უფრო და უფრო დიდი მნიშვნელობა ეძლევა თანამედროვე სოფლის მეურნეობის მსხვილ კოლექტივებად გარდაქმნისათვის გზების გამონახვის საქმეში.

ასეთია მარტივი ამხანაგობანი, ე.ი. მანქანების, მელიორატიული, მეცხენეობის და მეთესლეობის ამხანაგობანი. ეს ამხანაგობანი წარმოადგენენ აგრეთვე მასიურ გზას სასოფლო მეურნეობის თანდათანობითი კოლექტივიზაციისათვის. ამ ამხანაგობასაც შეყავთ თავის ორგანიზაციაში 1 მილიონამდე საგლეხო მეურნეობა. ყოველივე ეს მოწმობს იმას, თუ როგორი უდიდესი მნიშვნელობა მიენიჭა ჩვენში საზოგადოებრივი მეურნეობის ახალ ელემენტებს, რომლებიც სხვადასხვა ფორმით ვითარდება ჩვენს სასოფლო მეურნეობაში.

ნაკლულოვანებანი კოლექტივიზაციის დარგში

მოყვანილი მაგალითების მიხედვით შეიძლება ვიქონიოთ მსჯელობა იმაზე თუ რა არის ახალი, სოციალისტური ჩვენს სასოფლო მეურნეობაში. ეს არის ის, რაც წარმოადგენს საწინდარს მსხვილი კოლექტიური სასოფლო მეურნეობის ნამდვილი სოციალისტური პერსპექტივების განვითარებისათვის. ეს ფაქტები უაღრესად პრინციპიალური მნიშვნელობის ფაქტებია, რომლებიც მოწმობენ იმას, რომ ძირითადი ცვლილებანი დაიწყო სოფლის სოციალურ-ეკონომიურ განვითარების მსვლელობაში. ამ ფაქტებში თავს იჩენს მსხვილი კოლექტიური მეურნეობის ელემენტების მასიური ზრდა სოფლად. ყოველივე ამაში ჩვენ გვაქვს დეფექტები ნამდვილი კოლექტივიზაციის თვალსაზრისით.

მაგალითად კონტრაქტაციის დარგში შეგვიძლია მოვიყვანოთ მთელი რიგი ნაკლულოვანებანი. შეიძლება მოვიყვანოთ მაგალითები იმისა, რომ სახელმწიფო ორგანოები, მაგალითად, „გლავხლოპკომი“ კონტრაქტაციის საქმეს დღემდე აწარმოებდა კოოპერაციის გარეშე—იგი ხელშეკრულებებს სდებდა უშუალოდ ინდივიდუალურ მეურნეობებთან და მხოლოდ კოოპერაციის „თავდებობის ქვეშ“. „გლავხლოპკომისათვის“ შეუძლებელი იყო კონტრაქტაციაზე გადასვლა გადაედო მასიური კოოპერაციის შექმნამდე შუა აზიაში. პირიქით, მან შუა აზიაში შეასრულა ნამდვილი საბჭოთა, უდიდესი როლი მებამბეების კოოპერაციაში შეკავშირების მხრივ. ეხლა კი უნდა შევუდგეთ წარსული შეცდომების თავიდან აცილებას და ყოველგვარი ზომებით შეუწყოთ ხელი ნამდვილი კოოპერაციის, ნამდვილი მებამბეების მასების შექმნას, რაც ჯერ კიდევ არ გვაქვს უზბეკისტანში და თურქესტანში. შესაძლებელია მოვიყვანოთ მაგალითები იმისა, რომ მარტივი ამხანაგობანი, თუ სათანადო ყურადღება არ მიექცა ამ საქმეს, ძალიან ადვილად გადაიქცევიან ხოლმე კულაკურ ცრუ ამხანაგობათ.

შეგვიძლია ბევრი მაგალითები მოვიყვანოთ იმის დასამტკიცებლად, რომ ჩვენი კოლექტიური მეურნეობანი, განსაკუთრებით ამხანაგობანი და არტელები ფაქტიურად კერძო ბაზარზე უფრო მეტს მუშაობენ, ვიდრე საზოგადოებრივ-კოოპერატიულ ნიადაგზე. შეგვიძლია მოვიყვანოთ ფაქტები იმისა, თუ როგორ უწყობენ ისინი ხელს კულაკურ მეურნეობათა ზრდას. განა დასაშვებია, მაგალითად, ასეთი მდგომარეობა, რომ კოლექტიურ მეურნეობათა მხოლოდ 41 პროც. შედის კოლექტიურ მეურნეობათა გაერთიანებაში და მარტივ მეურნეობათა მხოლოდ 6 პროც. არის შეკავშირებული კოოპერაციაში? მაგრამ თუ ყოველივე დადებით მხარეებს მოუმატებთ მნიშვნელობას კოოპერაციისა და სახელმწიფო ორგანოების სახ.-სამეურნეო იარაღების გამქირავებელ და მარცვლეულის გასაწმენდ პუნქტებისას, რომელნიც დახმარებას უწევენ ასეულ ათას საგლეხო მეურნეობებს და რომელნიც კიდევ უფრო მეტად უნდა განვითარდენ უახლოეს წლებში და თვალსაჩინო როლი ითამაშონ სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის განსაზოგადოების საქმეში, ეს დაგვანახვებს იმას, თუ როგორი უდიდესი პერსპექტივები გადაიშალა ჩვენს წინაშე მსხვილი სასოფლო მეურნეობის განსაზოგადოების საქმეში არა 10 წლის და მეტი ხნის შემდეგ, არამედ დღესვე, ეხლავე ჩვენს თვალწინ, ჩვენს პირობებში.

ამას დაუმატეთ ის როლი, რომელსაც უშუალოდ თამაშობს საბჭოთა სახელმწიფო სასოფლო მეურნეობის დარგში,—ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

საბჭოთა მეურნეობები

მე არ შევჩერდები საბჭოთა მეურნეობების მდგომარეობაზე. ვიტყვი მხოლოდ ერთს: საბჭოთა მეურნეობები გამოვიდნენ არარენტაბელური მდგომარეობიდან და ეხლა შემოსავალს იძლევიან. ჯერ-ჯერობით ეს ძალიან მცირე შემოსავალია, მაგრამ ამასთანავე საგულისხმოა. ჩვენ ბევრი გვაქვს ცუდი, წამგებიანი მეურნეობა, მაგრამ საბჭოთა მეურნეობის სისტემა სოფლად უკვე დადგა ფეხზე, უკვე მიდის წინ, ხოლო ზოგან უკვე იძლევა მსხვილი მეურნეობის ნიმუშს საუკეთესო მოსავლით. ეს უდიდესი პლიუსია. ეს ფაქტი გვიჩვენებს, რომ სახელმწიფო სასოფლო მეურნეობა მიდის წინ, ფეხ და ფეხ მისდევს მსხვილი კოლექტიური მეურნეობის ელემენტების განვითარებას სოფელში.

აქედან გამომდინარეობს: აუცილებლად, ყოველგვარი საშუალებით დახმარება უნდა გაუწიოთ მეურნეობებს. ჩვენს წინაშე უეჭველია ისმება საბჭოთა მეურნეობის ქსელის გაფართოების ამოცანა, იმ რაიონებში, სადაც მიწის სიმცირე არ არის. ჩვენ ეხლანდელ პირობებშივე უნდა დავსვათ ამოცანა იმისა, რომ საბჭოთა მეურნეობანი სოფლად შეიქმნან მსხვილი სასოფლო მეურნეობის ნიმუში, მსხვილი კოლექტიური მეურნეობის ნიმუში გლეხობისათვის.

ასეთია ჩვენი ამოცანა საბჭოთა მეურნეობების მიმართ, საბჭოთა მეურნეობებმა უფრო მეტად უნდა გააძლიერონ დახმარება მათ გარშემო მცხოვრებ გლეხებისადმი, განსაკუთრებით ღარიბ და მცირე შეძლების გლეხებისადმი, გასაქირავებელი და აგროკულტურულ პუნქტების მოწყობით და ტრაქტორების მიწოდებით.

სახ.-სამ. კრედიტის როლი

აიღეთ შემდეგ ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორიცაა სასოფლო-სამეურნეო კრედიტის როლი. ჩვენ არა გვაქვს საკმაოდ შეგნებული, თუ როგორი უდიდესი იარაღია სახ.-სამ. კრედიტი ჩვენს ქვეყანაში, ჩვენ ხომ მეტად დიდ საშუალებებს ვაწვდით სოფელს სასოფლო-სამეურნეო კრედიტის შემწეობით. ამ საშუალებების წარმართვა საჭიროა იმ კალაპოტით, რომელიც ჩვენ მიგვაჩნია უფრო მნიშვნელოვნად ჩვენი სასოფლო მეურნეობის განვითარებისა და ღარიბ და საშუალო შეძლების გლეხთა მასების ცხოვრების დონის ასაწევად.

მოვიყვან მხოლოდ უფრო მთავარ ციფრებს ამ საკითხის შესახებ. 1927-28 წ. სხვადასხვა გზებით, უმთავრესად კი სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემის საშუალებით სასოფლო-მეურნეობის სხვადასხვა დარგებს ვაწვდით 704 მილ. მან. სახელმწიფო თანხებიდან. ეს ციფრიც საკმარისია იმისათვის, რომ დავრწმუნდეთ, თუ როგორი დიდი იარაღი მოგვეპოვება სასოფლო მეურნეობის განვითარების მიმართულებაზე ზეგავლენის მოსახდენად. ჩვენ ვაწვდით გლეხობას ამ სახელმწიფო საშუალებებს სესხად მეურნეობის ასამაღლებლად, მაგრამ თუ წარსულ წელში ჩვენ სასოფლო მეურნეობის ეგრედწოდებულ სოციალისტურ სექტორს ვაძლევდით სახელმწიფო საშუალებების 87 პროცენტს, ხოლო წელს განზრახულია დაახლოებით 89 პროც. დახარჯვა, მაშინ ნუ თუ ჩვენ არ შეგვიძლია ამ საშუალებების ისე განაწილება, რომ უფრო მეტად დავეხმაროთ კოლექტიურ მშენებლობას სოფლად? ნუ თუ ჩვენ არ უნდა გავაძლიეროთ დახმარება კოოპერაციისა და კოლექტიური მეურნეობის მშენებლობისათვის სოფლად? რა თქმა უნდა, ჩვენ ეს შეგვიძლია და ასეც უნდა მოვიქცეთ. ხოლო ამ საშუალებათა როლი ამ საქმეში კოლოსალურია. მეორე მხრით: ნუ თუ სოფლის მეურნეობაში დაბანდებულ სახელმწიფო საშუალებების წყალობით კოოპერაცია უფრო მეტ საშუალებებს არ მიიღებს თვით გლეხობისაგან და უფრო მეტ თანხებს არ მოამზადებს სოფლის კოლექტივიზაციისათვის? რა თქმა უნდა, ეს საშუალებები დიდ დახმარებას გაუწევენ ამ საქმეს, თუ სწორად იქნება დაყენებული კოოპერაცია და სასოფლო-სამეურნეო კრედიტის მუშაობა.

სახელმწიფო ზეგავლენის მძლავრი იარაღი

საინტერესოა აგრეთვე ისიც, თუ რა პერსპექტივები გვაქვს სახელმწიფო საშუალებების დაბანდების მხრივ სასოფლო მეურნეობაში უახლოეს ხუთი წლის მანძილზე.

მინიმალური ანგარიშით ჩვენს მთავრობას განზრახული აქვს დაბანდოს ამ საქმეში 1.650 მილ. მან., ხოლო მაქსიმალური ანგარიშით—2 მილიარდ მან. მეტი. აი, მართლაც ის მეტად მნიშვნელოვანი შესაძლებლობანი, რომლებიც აქვს ჩვენს სახელმწიფოს ზეგავლენის მოსახდენად სასოფლო მეურნეობის განვითარებაზე გლეხურ მეურნეობის წვრილ მეურნეობიდან მსხვილ კოლექტიურ მეურნეობად გარდაქმნის გზით. თუ ამას დავუმატებთ იმ ღონისძიებებს, რომლებსაც ჩვენ მივმართავთ ცალკე რაიონების გასაძლიერებლად, მაშინ კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდება საკითხი სოფლისა, კოოპერაციისა, კოლექტიურ მეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის მშენებლობისათვის სახელმწიფო საშუალებების მიზანშეწონილად მიწოდების შესახებ. მე არ შევჩერდები დაწვრილებით იმ როლზე, რომელიც აქვს ჩვენ სახელმწიფო მრეწველობას, არა მარტო შაქრისა და ბამბის, არამედ თამბაქოსა და სხვა მრეწველობასაც, რომლებიც ამუშავებენ სასოფლო-სამეურნეო ნედლეულს. ს. მ. უ. ს. ხუთწლიანი გეგმის მიხედვით, გარდა ზემოაღნიშნული სახელმწიფო საშუალებებისა, განზრახულია მრეწველობისათვის საჭირო სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის განვითარებას, კაპიტალური ხარჯების სახით, მოხმარდეს 850 მილ. მანეთამდე. განა ბევრი რამ არის დამოკიდებული იმაზე, თუ რა გზით და რომელი ორგანიზაციების შემწეობით დავაბანდებთ ჩვენ სახელმწიფო საშუალებებს ამ თითქმის ერთ მილიარდ მან. სასოფლო მეურნეობაში?

სასოფლო მეურნეობის ელექტროფიკაცია

დაბოლოს, ელექტროფიკაციის შესახებ სასოფლო მეურნეობაში. მე ვერაფერს ვიტყვი ამაზე უკეთესს, რაც სთქვა ამხ. კრჟიჟანოვსკიმ ელექტროფიკაციის როლის შესახებ სასოფლო მეურნეობაში. მან შესანიშნავად, მხატვრულად აქვს ნათქვამი იმის შესახებ, თუ ათი წლის შემდეგ როგორ დავუახლოვდებით საბჭოთა კავშირის მთავარ სასოფლო-სამეურნეო რაიონებს ელსადგურებით, რომელთა აშენებაც შედის ჩვენს გეგმაში და როგორ შევამატებთ ამ ელსადგურების საშუალებით თვითეულ გლეხურ მეურნეობას სულ ცოტა 3-4 ცხენის ძალას. ყოველივე ეს ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ ჩვენ დიდი პერსპექტივები გვაქვს მსხვილი გლეხური მეურნეობის განვითარებისათვის.

ჩვენი ტაქტიკა და კულტურის საკითხი

შეტევა სოფლის კაპიტალისტურ ელემენტებზე

როგორი ამოცანები, როგორი ტაქტიკა გამომდინარეობს პარტიისათვის ყველა ზემოთქმულიდან?

ჩვენ 7 წელიწადი ვცხოვრობთ ახალ ეკონომიურ პოლიტიკის პირობებში და დიდი გამოცდილება შევიძინეთ სოციალისტურ აღმშენებლობის საქმეში. ახალ ეკონომიურ პოლიტიკის ეს 7 წელი მოასწავებს, როგორც ყველა ჩვენთაგანისათვის ნათელია, რომ ჩვენ სწორად გამოვნახეთ გზა სოციალიზმის მშენებლობისათვის. რომ ჩვენ ეხლა მტკიცედ ვიცით არა მარტო ჩვენი ბრძოლის მიზნები, არამედ მათი მიღწევის გზებიც. ამას გარდა საჭიროა უნდა აღინიშნოს ახალ ეკონომიურ პოლიტიკის 7 წლის კიდევ ერთი შედეგი: ეხლა აშკარაა, რომ ჩვენ ვისწავლეთ ვიქონიოთ საკმაო მოთმინება, რომელიც ასე საჭიროა სოფლად სოციალისტურ აღმშენებლობის საქმეში. თუ რა გზებით უნდა ვიაროთ ჩვენ შემდეგში სოციალიზმისაკენ—ამ საკითხზე პარტიას უკვე აღარ შეიძლება ჰქონდეს რაიმე ეჭვი. ეს გზებია—ახალი ეკონომიური პოლიტიკა და კავშირი გლეხობასთან. მართალია, უკანასკნელ ხანამდე ჩვენ გვიხდებოდა ბრძოლა ოპოზიციის ყალბ შეხედულებათა წინააღმდეგ ახალ ეკონომიურ პოლიტიკის შესახებ და საშუალო გლეხთან დამოკიდებულების შესახებ. ჩვენ გვახსოვს, რომ პარტიის მე-14 ყრილობაზე ამ ტრიბუნიდან გამოდიოდა ხალხი, რომელიც ამბობდა, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკა არის უკან დახევის პოლიტიკა და მეტი არაფერი. ეს აშკარა სისულელე უარყოფილია არა მარტო თეორიულად, არამედ პრაქტიკულადაც სოციალიზმისაკენ წინსვლის მთელი ჩვენი პრაქტიკით ქალაქში და სოფლად. ჩვენ ვიცოდით და ვიცით, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკით ჩვენ დათმობაზე წავედით წვრილ მესაკუთრე-გლეხის მიმართ. მაგრამ პარტიამ ლენინის მეთაურობით, ჯერ კიდევ მე-11 ყრილობაზე განაცხადა: უკან დახევა გათავდა. უკან დახევა გათავდა და ჩვენ უკვე მაშინ გადავედით ახალ ფართო შეტევაზე. მას შემდეგ ჩვენ წინ მივიწიეთ, უკვე დაახლოებით 6 წელია მივიწევთ წინ სოციალისტურ ელემენტების შეტევის პირობებში კაპიტალიზმის ნაშთებზე.

როდესაც ეხლა ლაპარაკობენ კულაკზე და სოფლის კაპიტალისტურ ელემენტებზე „გაძლიერებულ შეტევის“ შესახებ, მე მგონია, რომ ამ ფორმულით არაფერს არ ამბობენ ახალს. არ არსებობს უფრო გადამჭრელი და უფრო გაძლიერებული შეტევა კაპიტალისტურ ელემენტებზე, ვიდრე სოციალიზმის მშენებლობის ზრდა ქალაქში და სოფლად. ჩვენ კი ვაძლიერებთ და ვანვითარებთ სოციალისტურ ელემენტებს კაპიტალიზმის ნაშთების წინააღმდეგ. გაძლიერებული შეტევა კულაკზე, გაძლიერებული შეტევა სოფლის კაპიტალისტურ ელემენტებზე ეს არის ყველაფერი ის, რასაც ეწოდება სოციალიზმის მშენებლობა ჩვენს ქვეყანაში. კოოპერაციის მთელი განვითარება, კოლექ[illegible] [illegible]რება ჩვენს სოფლის მეურნეობაში, მთელი ჩვენი ეკონომიური, კულტურული და სხვა მუშაობა, რომელიც უკვე დიდი ხანია სწარმოებს, არის შეტევა სოფლის კაპიტალისტურ ელემენტებზე.

როგორ უნდა ვაწარმოოთ შეტევა

საქმე იმაში კი არ მდგომარეობს, რომ არის თუ არა საჭირო დაჩქარებით გაძლიერებული შეტევა კულაკზე? ამ შეტევას ადგილი აქვს, და ამაზე დავა საჭირო არ არის ჩვენს წრეში. საქმე იმაშია, თუ როგორ ვაწარმოოთ ეს შეტევა, რა უმთავრეს მომენტს მივაქციოთ ყურადღება ამ შეტევის დროს სოფლის კაპიტალისტურ ელემენტებზე. ამაში მდგომარეობს ეხლა მთავარი, ძირითადი საკითხი. ამ კითხვის საპასუხოდ პარტიამ ეხლავე უნდა სთქვას თავისი ახალი სიტყვა.

ჩვენ უკანასკნელ დღემდე გვიხდებოდა ბრძოლა ტროცკისტულ ოპოზიციის მხრივ საშუალო გლეხის საწინააღმდეგო გადახრის წინააღმდეგ და ჩვენ ვიბრძოდით და ვიბრძოლებთ იმათ წინააღმდეგ, ვისაც არ ესმის, რომ ჩვენს პირობებში საშუალო გლეხთან შეიძლება სოციალიზმის მშენებლობა. საშუალო გლეხის საწინააღმდეგო გადახრისათვის ჩვენ არ შეგვეძლო სხვანაირად შევხვედროდით, თუ არა როგორც ბურჟუაზიულ ყალბ შეხედულებისათვის ამჟამად ეს ბრძოლის სტადია საერთოდ ჩვენ უკვე განვვლეთ.

თუ მაინც საჭირო შეიქნა, ყურს აუწევთ და ხელსაც ვაშლევთ ყველას, ვინც მოინდომებს კვლავ ამ საშუალო გლეხის საწინააღმდეგო გადახრის განვითარებას.

მაგრამ დღეს ეს არ კმარა. უნდა შევიგნოთ რომ ახალ ეკონომიურ პოლიტიკის 7 წლის გამოცდილებამ საკმაოდ დაგვანახა ის, რაზედაც ლაპარაკობდა ლენინი ჯერ კიდევ 1919 წ. არავითარი აჩქარება, არავითარი მოუფიქრებელი პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მხრივ საშუალო გლეხობის მიმართ. მგონი, ეს თვისებები ამჟამად საკმაოდ მოგვეპოვება. ეს ჩვენ შევიგნეთ, ეს საუცხოოდ დამტკიცებულია იმ სრულ დამარცხებით, იმ სრულ გაკოტრებით, რომელიც განიცადა ტროცკისტულმა ოპოზიციამ. ახლა საჭიროა შევიგნოთ, რომ ჩვენ ჩამოვრჩით ცხოვრებას და იმ ახალს, სოციალისტურს, რაც ვითარდება ამჟამად ჩვენს სოფელში.

გადახედეთ ჩვენს პრესას, აგიტაციას, ლიტერატურას, ჩვენს პარტიულ, საბჭოთა და კოოპერატიულ ორგანოებს. განა ჩვენ დიდ ყურადღებას ვაქცევთ ახალ სოციალისტურ ჩანასახებს, განსაკუთრებით ახალ მსხვილ კოლექტიურ მეურნეობათა ელემენტებს სოფლად? ამავე დროს ჩვენ უნდა გვყავდეს მსხვილი კოლექტიური მეურნეობის მრავალრიცხოვანი აგიტატორები, უნდა მოგვეპოვებოდეს სათანადო პრესა, რომელიც ყურადღებით შეისწავლის სოციალისტურ მეურნეობის ჩანასახებს სოფლად. უნდა მოგვეპოვებოდეს როგორც სწავლულ კომუნისტების, ისე არაკომუნისტების ლიტერატურა, იმ პირთა ლიტერატურა, რომლებიც ნამდვილი მცოდნე არიან მსხვილი კოლექტიური მეურნეობისა მიწათმოქმედებაში. ჩვენში—კი ხშირად საწინააღმდეგო რამ ხდება.

მე მაგალითად, ამას წინად გადავათვალიერე ერთი პატარა ჟურნალი, რომელსაც სცემს ლენინგრადის პოლიტეხნიკური ინსტიტუტის ინდუსტრიალური მიწათმოქმედების ფაკულტეტი.

თურმე, მოსწავლეთა ჯგუფმა აღნიშნულ ფაკულ. ხელმძღვან. მონაწილეობით ამ სამი წლის წინეთ გადასწყვიტეს თავისი პატარა ჟურნალის „ინდუსტრიალური მიწათმოქმედების“ გამოცემა. რა გამოვიდა? გამოცემული იქნა ერთი ნომერი, არავინ არ შეუწყო ხელი ამ საქმეს და ეს პატარა, მაგრამ ჩვენთვის ეგრე აუცილებელ მიწათმოქმედების საქმისათვის სასარგებლო საქმე, დაილუპა. აი, ამაში მდგომარეობს ჩვენი უბედურება, აი ამით ვართ ჩვენ ჩამორჩენილი. ამავე დროს ჩვენ წინაშე დგმული ახალი, ნამდვილი სოციალისტური ამოცანები სოფლად მოითხოვენ ახალ ხალხს, ახალ გაგებას, ახალ მეცნიერებს და ახალ დამოკიდებულებას მსხვილ მიწათმოქმედების გაძლიერებისადმი საზღვარგარეთ. აი, ეს კი ჩვენ გვაკლია. აი, ამას უნდა მივაქციოთ ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება. ჩვენ ენერგიულად უნდა დავიწყოთ ხალხის ახალი კადრების მომზადება, ისეთი ხალხის, რომელიც ხელს შეუწყობს მსხვილი მეურნეობის იმ სოციალისტურ ელემენტების ნამდვილ განვითარებას სოფლად, რომლებიც არსებობენ იქ და ვითარდებიან, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ცუდად ვუწყობთ მათ ხელს, ნაკლებად გვესმის ჯერ ჯერობით ამ საქმის მნიშვნელობა, მიუხედავად იმისა, რომ ხშირად დიდხანს ვერ ვამჩნევთ ხოლმე სოფლის განვითარების მრავალ ელემენტებს და ვერ ვამჩნევთ ჩვენი უვიცობის, უკულტურობის და ჩვენი ორგანოების და მუშაკების ბიუროკრატიზმის გამო.

იბადება კითხვა—როგორ მივუდგეთ შემდეგში ახალ ამოცანებს სოფლად? სოფლად ახალ ამოცანების განხორციელების დროს, ჩვენ უნდა ვიხელმძღვანელოთ შემდეგი წესით: არავითარი ფანტაზია სოფლის მიმართ, არავითარი ფანტაზია მსხვილ კოლექტიურ მეურნეობის განვითარების საქმეში სოფლად, არავითარი „ძალით მაცხონობა“ არავითარი სინამდვილეს მოკლებული გეგმები ქალაქის საბჭოთა და პარტიულ მუშაკების მხრივ. აქ დიდ სამსახურს გაგვიწევს ის, რაც ჩვენ ვისწავლეთ ახალ ეკონომიურ პოლიტიკის არსებობის პირველი 7 წლის განმავლობაში: სოფლად სოციალისტურ მშენებლობისათვის აუცილებელია სიფრთხილე, აუჩქარებლობა და სიმტკიცე.

მაგრამ ამჟამად თუ გვაკლია რამე, ეს გაბედულობა და სიმტკიცე, რათა ხელი შეუწყოთ კოლექტიურ მშენებლობას სოფლად და ეს გაბედულობა და სიმტკიცე გვაკლია იმიტომ, რომ ცუდად ვიცნობთ მას.

ტრაქტორიზაცია

რომ ხაზი გაუსვა იმას, თუ რამდენად აუცილებელია ეხლა, ვიდრე ოდესმე, გაბედულობა ამ საქმეში, მე მოვიყვან ლენინის შეხედულებას იმის შესახებ, თუ რა მნიშვნელობას აკუთვნებდა იგი ტრაქტორებს სასოფლო მეურნეობაში. მოხსენებაში საშუალო გლეხობის შესახებ მე-8 პარტყრილობაზე ლენინი ამბობდა

„ჩვენ თანამიმდევრობით ვავითარებთ ჩვენს ამოცანებს. ჩვენთვის აუცილებელია, რომ ჩვენი ყურადღება ბურჟუაზიის დამხობის ამოცანიდან გადავიტანოთ საშუალო გლეხის ცხოვრების მოწყობის ამოცანაზე. ჩვენ მასთან თანხმობით უნდა ვიცხოვროთ საშუალო გლეხობა კომუნისტური საზოგადოების დროს მხოლოდ მაშინ იქნება ჩვენს მხარეზე, თუ ჩვენ შევამსუბუქებთ და გავაუმჯობესებთ მისი ცხოვრების ეკონომიურ პირობებს. ჩვენ რომ ხვალვე შეგვეძლოს ასი ათასი პირველხარისხოვანი ტრაქტორების, საჭირო ბენზინის მიცემა და მემანქანეების გაგზავნა სოფელში, საშუალო გლეხი იტყოდა: „მე კომუნიზმს ვემხრობი“.

ლენინი ასი ათასი ტრაქტორზე, ბენზინზე და ტრაქტორის მემანქანეებზე ოცნებობდა 1919 წელში, თითქმის 9 წლის წინედ. იგი ამაში ხედავდა საშუალო გლეხის გადაბირების საშუალებას კომუნიზმის მხარეზე. შეიძლება ეხლა ეს ვინმეს ეჩვენოს გატაცებათ მაგრამ ეს შეცდომა იქნება. განა ლენინს არ ესმოდა, თუ როგორ ძნელი საქმეა—კოლექტიური მეურნეობის განვითარება სოფლად? რასაკვირველია, მას ჩვენზე უკეთესად ესმოდა ეს, ორჯერ უკეთესად იცნობდა სოფელს და ათასჯერ უკეთესად ჰქონდა შეგნებული გლეხის სულისკვეთება. ასი ათასი ტრაქტორის მაგალითით ლენინმა უმთავრესი ყურადღება მიაქცია კომუნიზმის განხორციელების კონკრეტიულ საშუალებებს და ეს ჩვენ ეხლა უნდა მოვიგონოთ და აქედან უნდა გამოვიყვანოთ ყველა აუცილებელი პრაქტიკული დასკვნები. რას გვეტყოდა ლენინი ახლა, როცა ჩვენ კოლექტიურ მეურნეობას, რომელიც დღითიდღე იზრდება სოფლად, საკმაო ყურადღებას არ ვაქცევთ. რასაკვირველია, საქმის ვითარება არ არის ასეთი მარტივი, რომ საკმარისია სოფელში მივიტანოთ ასი ათასი ტრაქტორი და მთელი საშუალო გლეხობა მიემხრობა კომუნიზმს, კომუნიზმს.

რომ საქმე მხოლოდ ამაში მდგომარეობდეს განა ამას ეხლავე არ განვახორციელებდით? განა ვერ შევძლებდით 100.000 ტრაქტორის შოვნას, მისთვის საჭირო ბენზინის, მემანქანეების შოვნას? და განა ეს ლენინს არ ესმოდა? ეს მას მშვენივრად ესმოდა. მაგრამ ლენინი თავისი მაგალითით სისწორით მიგვითითებდა იმ გზაზე, რომლითაც საშუალო გლეხობა საბოლოოდ გაჰყვება პროლეტარიატს სოციალიზმისაკენ. ჩვენ ეხლა უნდა შევიგნოთ, რომ ლენინის ეს იდეა 100.000 ტრაქტორის შესახებ ღრმად უნდა შევითვისოთ, რომ საგლეხო მეურნეობის გადაყვანა მიწათმოქმედების კოლექტიურ ფორმებზე მსხვილი სასოფლო-სამეურნეო მანქანების გამოყენების საშუალებით, ჩვენი მუშაობის უმთავრესი საგანი გახდეს სოფლად. ლენინის ეს აზრი მოწმობს ერთ რამეს, სახელდობრ იმას, რომ სოფლის სოციალიზმისაკენ განვითარების გზები ასეთია: წვრილი ინდივიდუალურ მეურნეობიდან მანქანების მაღალი ტეხნიკის საფუძველზე უნდა გადავიდეთ მსხვილი კოლექტიურ მეურნეობისაკენ.

ჩვენი მუშაობის მეთოდები

როგორი მეთოდებია ამისათვის გამოსადეგი? ლენინმა მე-8 პარტყრილობაზე დაამტკიცა, რომ ძირითად პირობას ამისათვის წარმოადგენს—არავითარი იძულება საშუალო გლეხობის მიმართ. ეს სავსებით მართალია ეხლანდელი მომენტისათვისაც. ის, ვინც საშუალო გლეხობის მიმართ გამოიყენებს იძულების ზომებს მსხვილ მეურნეობაზე გადასვლისათვის, ის არის მუშათა და გლეხთა მტერი, ის არღვევს მუშათა და გლეხთა კავშირს.

როგორია ჩვენი მეთოდები? უპირველეს ყოვლისა, ცხადია, დაჯერება, დარწმუნება. მაგრამ ეს არ კმარა. არა მარტო დარწმუნება, დარწმუნებას უნდა დაუმატოთ ის, რომ პროლეტარულმა სახელმწიფომ უნდა წაახალისოს მსხვილი საზოგადოებრივი საგლეხო მეურნეობის ელემენტების განვითარება,—აი, ჩვენი მეთოდი სოფლის კოლექტივიზაციისათვის. აქედან ბუნებრივად გამომდინარეობს ის, თუ როგორ გვესმის ჩვენი ეხლანდელი სოფლად მუშაობის ძირითადი ლოზუნგი.

აქ არ შეიძლება არ შევეხო ერთ ძლიერ ტიპიურ ორგანიზაციას, სახელდობრ: უკრაინის კომუნისტურ პარტიას, რომელიც თავის უკანასკნელ, ამას წინად დამთავრებულ ყრილობაზე, იძლევა სოფლად მუშაობის ძირითადი ლოზუნგის თავის განსაზღვრას მიმდინარე მომენტისათვის.

წავიკითხავთ იმ ადგილს, სადაც უკრაინის კომპარტიის (ბ) ყრილობა განსაზღვრავს ძირითად ლოზუნგს მიმდინარე მომენტისათვის. უკრაინის კომპარტიის (ბ) ყრილობის მიღებულ თეზისებში სოფლად მუშაობის შესახებ ნათქვამია: „ძირითად ლოზუნგს მომავალ პერიოდისათვის წარმოადგენს ბრძოლა მრავალმინდვრიან სისტემისათვის და გადასვლა საზოგადოებრივ თესლბრუნვაზე“. ყველივე ამის შემდეგ, რაც ითქვა ამ მოხსენებაში ჩვენი შემდგომი ამოცანების შესახებ, შეიძლება ითქვას, რომ ლოზუნგებში მრავალმინდვრიან სისტემაზე და საზოგადოებრივ თესლბრუნვაზე გადასვლის შესახებ მოცემული იყოს რაღაც „ძირითადი ლოზუნგი მომავალ პერიოდისათვის“. გვეკითხებით, განა გრძნობთ თქვენ, რომ ეხლანდელ პირობებში ამ ლოზუნგს ცოტათი ნეტარხსენებულ ერობის სუნი უდის? მრავალმინდვრიან სისტემაზე და თესლბრუნვაზე გადასვლა არის თვითეულ კულტურულ აგრონომის ოცნება. მე დარწმუნებული ვარ, რომ უკრაინის კომპარტიის (ბ) თეზისებში ეს „ძირითადი ლოზუნგი“ მოხვდა ამ შემთხვევაში უკრაინის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მუშაკების განსაკუთრებულ აქტიურ მონაწილეობის წყალობით, უკრაინის კომპარტიის (ბ) ცეკამ კი საკმაოდ ვერ შეაფასა ისეთ ცხადად სერიოზული მნიშვნელობა, როგორც განცხადება „სოფლად მუშაობის ძირითადი ლოზუნგის“ შესახებ ეხლანდელ პირობებში. არავის არ შეუძლია იმის უარყოფა, რომ მრავალმინდვრიან სისტემაზე და საზოგადოებრივ თესლბრუნვაზე გადასვლა დიდად მნიშვნელოვანი და საჭირო საქმეა. მაგრამ ეხლა ეს საკმაო აღარ არის. ჩვენი ძირითადი ამოცანები სოფლად სხვანაირად ხდება. თუ ვილაპარაკებთ მიმდინარე მომენტის ლოზუნგის შესახებ, ამ ლოზუნგს წარმოადგენს: „სოფელო, წინ მსხვილ კოლექტიურ მეურნეობისაკენ“. აი მიმდინარე მომენტის ლოზუნგი. რა გვაკლია ჩვენ ამისათვის სოფლად, განსაკუთრებით ახალ ამ მიმართულებასთან დაკავშირებით? კულტურა და კიდევ კულტურა.

ამჟამად სოფლად პირდაპირ ყველაფერში საგრძნობია კულტურის ნაკლებობა. რა დარგიც არ უნდა აიღოთ! ჩვენი უკულტურობა ჩამორჩენილობა, და ზოგჯერ პირდაპირ უკულტურობა საშუალებას არ გვაძლევს განვითაროთ ის ახალი რამ, რაც არის სოფელში. ლენინი ამბობდა, რომ ეხლა კულტურული რევოლუცია ჩვენთვის საფუძველია. სწორია თუ არა ეს? აბსოლუტურად სწორია. კულტურის ნამდვილ აღორძინების გარეშე ჩვენ არ შეგვიძლია სწრაფად წავიწიოთ წინ. ამავე დროს კი ჩვენ ეხლა უკვე გვაქვს ძირითადი ეკონომიური საფუძველი, რომელიც მრავალრიცხოვანი ძირითადი წინასწარი პირობებია იმისათვის, რომ სწორედ იმ გზით ვიაროთ, რომლითაც [illegible]. არავითარ ადვილ გადახტომაზე ინდივიდუალურ მეურნეობიდან მსხვილ მეურნეობაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება. საქმე შეიძლება წავიდეს წინ მხოლოდ მსხვილ კოლექტიურ მეურნეობათა თანდათანობითი განვითარების გზით, მხოლოდ ასეთი გზა არის სწორი. არავითარი ფანტაზიები, არავითარი იძულება გლეხობის მიმართ მსხვილ მეურნეობაზე გადასვლის დროს ჩვენ არ შეგვიძლია დავუშვათ. მაგრამ ამ გადასვლის საჭიროება უკვე გამომდინარეობს სოფლის სოციალურ ეკონომიურ განვითარების მთელი შინაარსიდან.

ეს უნდა შევიგნოთ და თითონ უნდა ვიქნეთ ფართო პროპაგანდაზე, ხოლო მსხვილ კოლექტიურ მეურნეობაზე გადასვლის სასარგებლოდ. ეს არის სოფლის საწარმოო ძალთა აღორძინების ერთად-ერთი სწორი გზა. ამავე დროს კი საბჭოთა, კოოპერატიულ, და აგრეთვე პარტიულ ორგანოების ბიუროკრატიზმი და უკულტურობა წარმოადგენს უდიდეს დაბრკოლებას მთელ ამ საქმეში.

ჩვენი ორგანოების ბიუროკრატიზმი და უკულტურობა, რაც თვითეულ ნაბიჯზე იჩენს თავს, იმდენად უშლის ხელს ამ საქმის განვითარებას, რომ ეს ხშირად საკმაოდ არ შეგვიძლია დავამარცხოთ, გავაძლიეროთ და განვავითაროთ ის ახალი, სოციალისტური ელემენტები, რომლებიც იზრდებიან ჩვენს სოფელში.

ეხლა, ისე როგორც არასოდეს, ნათელია, რომ მასების უკულტურობა არის ის, რაც ემყარება ჩვენი მუშაობის მრავალი ნაკლოვანებანი სოფლად, რაც წარმოადგენს ძირითად დაბრკოლებას სოფლის უკეთესად გარდაქმნისათვის. მაგრამ უაზრობა იქნება თქმა იმისა, რომ ჩვენ უკულტურონი ვართ და ამიტომ არ შეგვიძლია მსხვილ კოლექტიურ მეურნეობაზე გადასვლა. ეს უაზრობაა. ეს მენშევიზმია, ეს ბურჟუაზიული იდეოლოგიაა, რომელიც სავსებით ეწინააღმდეგება მუშათა კლასისა და გლეხობის მისწრაფებას. ჩვენი კულტურული დონე თანდათან ევსება მაღლა სოფლის ეკონომიურად გარდაქმნასთან ერთად, მმართველობის ორგანოების მუშაობის გაუმჯობესებასთან, ამ საქმეში სახელმწიფო ჩაბმასთან ერთად. კულტურა და მთავრობის ცოდნა, თუ ამას ავიღებთ ფართო მასების მიმართ, განუყრელად, მჭიდროდ დაკავშირებული ერთი მეორესთან.

რა გვაქვს ჩვენ ეხლა ამ დარგში? მე მოვიყვანთ თუნდაც ზოგიერთ ცნობებს სოფლის კულტურული მდგომარეობის შესახებ, დავინახავთ, რომ ეს ცნობები სახელდობრ დღემდე ჩვენში 48 პროც. მამაკაცი წერა-კითხვის უცოდინარია, ქალთა ორი მესამედიც წერა-კითხვის უცოდინარია. წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის გეგმა ოქტომბრის რევოლუციის ათი წლის თავისთვის შესრულებულ იქნა მხოლოდ 20 პროცენტით. [illegible] სასოფლო სკოლებში ბავშვების მხოლოდ 14 პროცენტი. ამასთანავე ღარიბი გლეხობის ბავშვებს [illegible] ცუდ პირობებში უხდებათ მეცადინეობა. გლეხობის ღარიბი ფენებისათვის [illegible] ჩამორჩენილი. პოლიტ-საგანმანათლებლო მუშაობა ძალიან მოიკოჭლებს, მოისმინოთ თუნდაც პოლიტმუშაკების ჩივილი იმის შესახებ თუ როგორ ეპყრობიან მათ მუშაობას სოფლად. ჩვენ დღემდე ისეთი მდგომარეობა გვაქვს, რომ საგლეხო ლიტერატურა საკმაო რაოდენობით არ მატულობს. პირიქით, უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში [illegible] დაუჯერებელი ამბავია, მაგრამ ფაქტია რომ საგლეხო ლიტერატურის გამოცემა 1925 წელთან შედარებით სახელმწიფო გამომცემლობაში ამჟამად შემცირდა ხუთჯერ იმის გამო, რომ ჩვენ განსაკუთრებით ვცდილობთ კულტურის განვითარებას სოფლად! საგლეხო გაზეთების ტირაჟიც და საგლეხო გაზეთების რაოდენობა მცირდება. 1926 წელთან შედარებით საგლეხო გაზეთების ტირაჟი შემცირდა 11 პროცენტით. ჩვენ გვაქვს სასოფლო სამეურნეო გადასახადი, 300 მილიონი მან. რაოდენობით. მე ვფიქრობ, რომ გლეხობის არა ნაკლებ 35 პროცენტის გადასახადისაგან განთავისუფლება მომავალ წელსაც სავსებით უნდა დარჩეს. მაგრამ ჩვენ არაფერს არ წავაგებთ, არამედ მხოლოდ მოვიგებთ საშუალო და ღარიბი მასის, ე. ი. გლეხობის 95 პროცენტის თვალში, თუ ჩვენ ამ გადასახადს—300 მილიონ მანეთს გავზრდით, ვთქვათ 100 მილიონ მანეთით, სოფლის უფრო შეძლებული ელემენტების ხარჯზე, და მთელ ამ 100 მილიონ მანეთს სავსებით მოვახმართ სკოლების კულტურის განვითარებას სოფლად. მე ვფიქრობ, რომ ჩვენ უნდა დავსვათ უფრო ფართოდ საკითხი განა დრო არ არის სოლიდურად განვანაწილოთ ჩვენი თანხები და უფრო მეტი მოვანდომოთ კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას? მე სავსებით ვეთანხმები ამხ. რიკოვს, რომელმაც თავის მოხსენებაში ხუთწლიანი გეგმის შესახებ სთქვა, რომ კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის მეტი თანხები უნდა გადავდოთ. ეს პირველ რიგში აუცილებელია, შევა[illegible]ლოთ ადმინისტრატიული ხარჯების შემცირებით. მაგრამ მხოლოდ ეს არ არის საკმაო. საჭიროა ჩვენი სახელმწიფო თანხების სხვანაირად განაწილება, რათა მეტი თანხები გავდოთ კულტურული ფრონტისათვის და გავაძლიეროთ კულტურული მუშაობა. [illegible] და მასწავლებელი სოფლად, მთელი კულტურული მუშაობა გლეხთა მასებში ეს არის იმდენად გადაუდებელი ამოცანა, რომ აუცილებელია ენერგიული საქმიანობა დავიწყოთ ამ მიმართულებით. საკმაო არ არის, რომ ამაზე ბევრი ვილაპარაკოთ და გამოვიტანოთ კარგი რეზოლუციები. ჩვენ ყოველივე უნდა შევუდგეთ სახელმწიფო და ადგილობრივი თანხების ხელმძღვანელობით განაწილებას ფართო კულტურული მშენებლობის გაძლიერების მიზნით.

ყოველივე ეს ხაზს უსვამს იმ მთავარ აზრს, რომ გლეხობას, ღარიბ და საშუალო შეძლების გლეხთა მასას ჩვენ არ შეგვიძლია ისე მივუდგეთ, როგორც საბჭოთა აღმშენებლობის რომელიმე ობიექტს, არ შეგვიძლია გლეხობას მივუდგეთ იმ ბატონური და ბურჟუაზიული მიდგომით, რომლითაც გამსჭვალულია ოპორტუნიზმის იდეოლოგია. გლეხი—ღარიბი და საშუალო შეძლების—ჩვენი მშენებლობის ობიექტი კი არაა. მშრომელი გლეხი—ჩვენი მოკავშირე სოციალიზმის მშენებლობაში, ის—მშენებლობის სუბიექტი, ის—სოციალისტური მშენებლობის აქტიური და სულ უფრო და უფრო შეგნებული მონაწილეა. მხოლოდ ასე შეგვიძლია ჩვენ უცქიროთ ღარიბ და საშუალო შეძლების გლეხთა მასას.

საბჭოთა ორგანოების გამოცოცხლება და რევოლუციონური კანონიერება

აქედან გამომდინარეობს აუცილებელი დასკვნა საბჭოების გამოცოცხლების ლოზუნგის შესახებ. ჩვენ ვაცხოველებთ საბჭოების მუშაობას, ვინაიდან ჩვენთვის აბსოლუტურად აუცილებელია აქტიურ სოციალისტურ მშენებლობის საქმეში მრავალი მილიონი ღარიბ გლეხებისა, მოჯამაგირეებისა და საშუალო შეძლების გლეხთა მასის ჩაბმა, იმ მასის, რომელიც თანამედროვე სოფლის ძირითად ნაწილს, ცენტრალურ რგოლს შეადგენს. ჩვენ ვიცით, რომ ხშირად საბჭოების გამოცოცხლება ასე ჩინოვნიკურად ხდებოდა. განსაკუთრებით ეს ითქმის მაშინ, როცა საბჭოების გამოცოცხლება ესმით როგორც ყოველგვარ სხდომების გადიდება და მრავალრიცხოვანი რეზოლუციების გამოტანა საბჭოების გამოცოცხლების შესახებ. ყოველივე ეს არის ჩინოვნიკური მიდგომა საბჭოების გამოცოცხლების საქმისადმი. საჭიროა საბჭოების ისეთი გამოცოცხლება, რომ პარტიისა და მუშათა კლასის გარშემო დაირაზმოს მოჯამაგირეთა, ღარიბ და საშუალო შეძლების გლეხთა უფრო ძლიერი, უფრო ფართო გლეხთა აქტივი. აი, საბჭოების როგორი გამოცოცხლება გვჭირდება ჩვენ და აი რა არის საბჭოების ნამდვილი გამოცოცხლება. ამ გზით ჩვენ საუკეთესოთ შევძლებთ აღმოვფხვრათ ჩვენი საბჭოთა კოოპერატიულ და ხშირად პარტიულ ორგანოების ბიუროკრატიზმისა, უკულტურობისა და უყურადღებობის ნაშთები და ახალი უზარმაზარი ხორცმეტები გლეხების მიმართ, ვინაიდან ჩვენი ორგანოების ასეთი დამოკიდებულება გლეხობისადმი ხელს უშლის პარტიის ნამდვილი მუშაობის გაფართოებას სოფლად.

მაგრამ ჩვენი ორგანოების მუშაობის პრაქტიკაში ადგილი აქვს ყოველგვარ გადამახინჯებათა დაუსრულებელ რაოდენობას პარტიული ხაზის გატარების დარგში. ამჟამად მე განსაკუთრებით მინდა ხაზი გაუსვა გადამახინჯებათა აბსოლუტურად დაუშვებლობას რევოლუციონური კანონიერების დარგში. აქ შეხვდებით ისეთ მაგალითებს, რომლებიც პირდაპირ გაოცებთ თავისი სისაძაგლით. შევჩერდები ერთ ალმაშფოთებელ საქმეზე. რიაზანის გუბერნიის რიაჟსკის მაზრის ერთ-ერთ თემში—ბორეცკის თემში ხუთი წლის განმავლობაში თავისუფლად დათარეშობდა ბანდიტების, უკანონობისა და მძარცველების ბრბო. ეს ხულიგნები შიშის ზარს სცემდა და ძარცვავდა ადგილობრივ გლეხებს და ცეცხლს უჩენდენ მათ კარმიდამოს. სწორედ ამ თემის შესახებ ამბობენ: борец всем ворэм отец. ისტორია ამ თემის შესახებ წარმოადგენს ერთ-ერთ ისეთ მაგალითს, რომელმაც დაჩრდილა უკრაინის დიმოვკა. ეს თემი კი არც ისე შორსაა მოსკოვიდან—რიაზანის გუბერნიაში. ამჟამად ეს საქმე ჩვენი „კრესტიანსკაია გაზეტა“-ს და სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს წყალობით დამთავრებულია: ბანდიტების მეთაურები დაპატიმრებულია და ისინი დანაშაულში გამოტყდენ; გამოირკვა, რომ მათ კავშირი ჰქონდათ არა მარტო სამაზრო კომიტეტსა და სამაზრო აღმასკომთან, არამედ ვიღაც პირების საშუალებით მათ მოახერხეს გავლენა მოეხდინათ საგუბერნიო კომიტეტზე, საგუბერნიო საკონტროლო კომისიაზე და საგუბერნიო სასამართლოს ცალკე წევრებზე. ბორეცკის თემის ბოროტმოქმედმა ელემენტებმა შესძლეს ხუთი ადგილების მონახვა საგუბერნიო პარტიულ და საბჭოთა აპარატის ცალკე მუშაკებს შორისაც. ეხლა ყაჩაღთა ამ ბრბოდან სამი მეთაური სასამართლოს დადგენილებით დახვრეტილია, ხოლო რიაჟსკის სამაზრო კომიტეტის ერთ-ერთ წევრს მიესაჯა 10 წლით დაპატიმრება. მე ვიცი, რომ ბორეცკის თემის გლეხებს ეს ზომა არ მიაჩნიათ საკმარისად, მეც ვუერთდები გლეხების ამ აზრს და ვფიქრობ, რომ ეს საკმარისი არ იყო.

ჩვენთვის საქმე მარტო ადმინისტრატიულ და სასამართლო ხასიათის ღონისძიებებში კი არ მდგომარეობს. საქმე იმაშია, რომ კარგად უნდა დავაყენოთ საბჭოთა ორგანოების მუშაობა, კულტურული მუშაობა და პოლიტიკური მუშაობა თემში და მაზრაში. მხოლოდ მაშინ შევძლებთ სამუდამოთ აღმოვფხვრათ ბანდიტიზმის ძირები, რომლებიც ეტმასნებიან საბჭოთა აპარატს და ხშირად იყენებენ პარტიულ, სასამართლო და ადმინისტრატიულ ორგანოებსაც—კი. მაგრამ განსაცვიფრებელია, რომ სწორედ იმ დღეს, როდესაც რიაზანის გუბერნიაში სწარმოებს სასამართლო ორგანოების რევიზია, აქ ხდება პირდაპირ წარმოუდგენელი ამბავი. ამხ. კრილენკომ რიაზანში საგუბერნიო სასამართლო ორგანოების შესამოწმებლათ მიავლინა თავისი მოადგილე—რ. ს. ფ. ს. რ. პროკურორის მოადგილე ფრიდბერგი მაგრამ ის რასაც სჩადის ამჟამად რიაზანში ფრიდბერგი—ძნელი გასაგებია. შექმნილი იყო ორი კომისია. ერთ-ერთ კომისიას უნდა შეემოწმა სასამართლო ორგანოების მოქმედება რიაზანის გუბერნიაში. ერთ კომისიას უნდა გამოერკვია ცალკე სასამართლო მუშაკების საჩივრები, მეორეს—კი უნდა შეემოწმა რიაზანის სასამართლო ორგანოების საერთო მუშაობა. ფრიდბერგმა, თურმე, რევიზიის გათავებამდე მოათავსა რიაზანის გაზეთში საუბარი რევიზიის შედეგების შესახებ. ფრიდბერგის „დასკვნა“ ასეთია: სასამართლო ორგანოები დამაკმაყოფილებლათ მუშაობენ და თავის მუშაობაში არა თუ ჩამორჩენ, არამედ ზოგიერთ შემთხვევებში გაუსწრეს კიდეც რესპუბლიკის სხვა სასამართლოებს. მაგრამ ფრიდბერგის ეს პრესაში გამოქვეყნებული უკაცრავად პასუხი, დასკვნები არ ეთანხმებიან ერთ-ერთ კომისიის დასკვნებს, რომელიც მუშაობდა რიაზანში რევიზიის გარშემო იგივე ფრიდბერგის თავმჯდომარეობით. ეს „დასკვნები“, ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელი დასკვნები ასეთია: გადაყენებული და პასუხისგებაში იქნეს მიცემული საგუბ. სასამართლოს თავმჯდომარის ორი მოადგილე ბრალდებული [illegible] ლოთობისათვის და გადაყენებული იქნეს მთელ რიგ ბრალდებებისათვის პროკურორის ორი თანაშემწე. ახლა თქვენ თითონ განსაჯეთ როგორ ეკიდებიან თავის ელემენტარულ მოვალეობას რევოლუციონურ კანონიერებისათვის ბრძოლის საქმეში საბჭოთა ქვეყანაში პასუხისმგებელი ორგანოები და პირებიც—კი. ვფიქრობ, რომ რევოლუციონური კანონიერების საქმის ასეთ განვითარების პირობებში ჩვენ შორს ვერ წავალთ. რიაზანის საქმესთან დაკავშირებით თუ დაუკავშირებლათ საჭიროა მტკიცე ნაბიჯის გადადგმა რევოლუციონური კანონიერების განსამტკიცებლათ და ეს ნაბიჯი უნდა გადაიდგას ისე, რომ ის საფუძვლიანად შეეხოს თვით სასამართლო ორგანოებსაც, შეეხოს მის ზედაფენებსაც.

საბჭოებისათვის ამჟამად იხსნება განვითარების ახალი ხანა. ეს ხანა დაკავშირებულია იმასთან, რომ საბჭოების ხელმძღვანელობას სოფლად ჩვენ ვუმორჩილებთ სადგილ-მამულო საზოგადოებების მუშაობას. ეს მეტად მნიშვნელოვანი საქმეა. ამ საქმის გატარება ჩვენ ვერ გავბედეთ 1918 წ., როდესაც ვაწყობდით ღარიბ გლეხების კომიტეტებს. დღეს—კი მტკიცედ შევუდექით ამ საქმის განხორციელებას და იმ რწმენით, რომ რამდენიმეთ დავიგვიანეთ, ეს—კი ნიშნავს, იმას, რომ ამ საქმეს დღეს ხელი უნდა მოვკიდოთ, როგორც წესი და რიგია. არ მოვიყვან ციფრებით სავსე ცხრილებს, რომლებიც ადასტურებენ საბჭოების დაწყებულ გაცხოველებას. მე ჩემს მოხსენებაში არ მომიყვანია მნიშვნელოვანი ციფრობრივი მასალებიც კი, მიუხედავად იმისა, რომ ხელთ მაქვს მთელი დასტა ასეთი მასალებისა, მაგრამ ადვილი გასაგებია, რომ მხოლოდ მაშინ, როდესაც სადგილმამულო საზოგადოებები მთლიანად და სავსებით დაემორჩილებიან საბჭოების ხელმძღვანელობას, მხოლოდ მაშინ განხორციელდება სოფლად ბოლომდე ლოზუნგი „მთელი ძალაუფლება საბჭოებს“. დღემდე ხშირად ასე იყო, რომ როდესაც ვაცხოველებდით საბჭოებს, კულაკი აწყობოდა სადგილ-მამულო საზოგადოებას და ცდილობდა იქ გამაგრებას. ახლა ჩვენ ამოვაგდებთ მას ამ უკანასკნელ სიმაგრიდანაც. ეს მეტად ძნელი საქმეა და მოითხოვს ყველა ჩვენი პარტიული ორგანიზაციების სერიოზულ ყურადღებას, არა მარტო სოფლის უჯრედების, არა მარტო სამაზრო კომიტეტების, არამედ უფრო მაღლა მდგომ ორგანოების და ცენტრალურ კომიტეტების ყურადღებასაც.

ამ რეფორმაში განსაკუთრებით საყურადღებო ის არის, რომ მნიშვნელოვნად მტკიცდება საბჭოების მატერიალური საფუძველი, ვინაიდან სადგილ-მამულო საზოგადოებათა ბიუჯეტი ხშირად ბევრად უფრო მაღალია, ვიდრე სოფლის საბჭოების ბიუჯეტი. საბჭოების ხელმძღვანელი როლის დაწესება სადგილმამულო საზოგადოებების მიმართ საბჭოს ემყარება ახალ მატერიალურ ბაზისზე, ეს მნიშვნელოვნად განამტკიცებს საბჭოების საფუძველს და ხელს შეუწყობს მათი მუშაობის განვითარებას სოფლის ცხოვრების სამეურნეო, კულტურულ და პოლიტიკურ დარგებში. ამ ზომებს ექნება დიდი მნიშვნელობა სოფლის საბჭოების მუშაობის შემდგომი განვითარებისათვის სოფლად.

საჭიროა ცალკე აღინიშნოს ის უდიდესი მნიშვნელობა, რომელიც ეძლევა საბჭოებს მუშაობას კოოპერაციის ახალი ამოცანებთან დაკავშირებით სოფლად. ჩვენ უნდა დავისახოთ ჩვენს წინაშე ნათელი ამოცანა: საბჭოებისა და კოოპერაციის, ამ ძირითადი ორგანოების მუშაობა წარმართოს ისე, სადაც ზოგიერთ ბუნებრივ წინააღმდეგობანი არსებობენ ერთიმეორეს შორის. ჩვენ გვაქვს საკმაო ნიადაგი, კოოპერატიულ და სახელმწიფო ორგანოების შეთანხმებულ, შემზადებულ კომუნისტურ მუშაობისათვის. ჩვენი სამმართველო, სასოფლო სამეურნეო, შინამრეწველურ კოოპერაციისა, სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემისა, სამიწათმოქმედო ორგანოებისა და ყველა სხვა ორგანოებისაგან, რომლებიც ემსახურება სოფელს, ჩვენ უნდა მოვითხოვოთ ურთიერთობათა სერიოზულ გაუმჯობესებას და სრულ შეთანხმებულ მუშაობას სოფლის საერთო ხელმძღვანელობით. ამასთანავე არ უნდა დავივიწყოთ ისეთი ორგანიზაციები, როგორიც გლეხკომებია, რომელთაც თავისებური მნიშვნელობა აქვს განსაკუთრებით ეხლა, როდესაც ჩვენ ვუახლოვდებით ღარიბ და ხელმოკლე გლეხების სიღარიბისაგან სოციალურ დაზღვევის განხორციელებას გლეხკომების როლი უნდა გაიზარდოს ახალ პირობებში, მაგრამ როგორც ისეთი ორგანიზაციის, რომელიც წარმოადგენს კოოპერაციისა და საბჭოების დამხმარე ორგანიზაციას პარტიის საერთო ხელმძღვანელობით.

ოპოზიცია და სოფლად მუშაობის საკითხები

ეხლა ნება მიბოძეთ გადავიდე საკითხზე ოპოზიციის შესახებ და მოკლედ შევჩერდე მასზე. დაუსვით თავს კითხვა—რა პრაქტიკული დამატებები შემოიტანა ოპოზიციამ ცეკას თეზისებზე? თუ თქვენ შეადარებთ ოპოზიციის პლატფორმას და მის კონტრ-თეზისებს, დაინახავთ, რომ ყველაფერი, რაც არის მათში ახალი და რაც მცირეოდნად მაინც ჰგავს სოფლის სინამდვილის გაგებას, ყველაფერი ეს ამოღებული აქვს ოპოზიციას ჩვენი თეზისებიდან, დანარჩენში კი ოპოზიცია აწარმოებს დემაგოგიურ კრიტიკას. აფურთხებს ჩვენს საბჭოთა და კოოპერატიულ ცალკე ორგანოებს, სასოფლო სამეურნეო კრედიტის ორგანოებს და სოფლად მუშაობის უდიდეს სიძნელეთაგან პანიკურად გარბის მენშევიკებთან. ჩვენი საქმიანი საჭირო კრიტიკას კი პარტია აწარმოებდა და მომავალშიაც აწარმოებს ყველა ჩვენი ორგანოების მიმართ ოპოზიციონურ დემაგოგიისა და ცილისწამების გარეშე მაგრამ მე უნდა შევჩერდე ოპოზიციის ერთ ახალ წინადადებაზე, რომელიც მან წამოაყენა აშკარა პოლიტიკურ სპეკულაციის მიზნით. მე ვლაპარაკობ ოპოზიციის ბუნდოვან წინადადების შესახებ, რომ მომავალში შეიქმნას „სოფლის ღარიბ მოსახლეობის კავშირი“.

მისაღებია თუ არა ეს წინადადება? მე ვფიქრობ რომ ის ძირეფესვიანად ყალბია და აბსოლუტურად მიუღებელი, ვინაიდან პარტიის ამოცანა ამჟამად იმაში მდგომარეობს, რომ ღარიბი გლეხობა კი არ უნდა განვამარტოოთ, კი არ უნდა გამოვყოთ ჩვენს ძირითად ორგანიზაციებს, არამედ ისეთ მდგომარეობას მივაღწიოთ, რომ ჩვენი ძირითადი ორგანიზაციების შიგნით სოფლის ღარიბ და ხელმოკლე მასებს ჰქონდეს გადამწყვეტი გავლენა. ღარიბ გლეხების ინტერესები რაღაც მეორეხარისხოვან ამოცანებით კი არ უნდა განისაზღვროს, რომლისაც გამოგონილ ორგანიზაციებში, არამედ ღარიბი გლეხობის მთავარი ყურადღება უნდა იქნეს ძირითად ორგანიზაციებში—საბჭოებსა და კოოპერაციაში, რათა ღარიბმა გლეხობამ, რომელიც თავისი აქტივობით ჯერ კიდევ ჩამორჩება საშუალო გლეხებს, ამ ძირითად ორგანიზაციებში მოიპოვოს ბევრად უფრო მეტი მნიშვნელობა, რათა პარტიისა და მუშათა კლასის დასაყრდენი სოფლად—ღარიბი გლეხობა წარმოადგენდეს ძირითად ხელმძღვანელ კადრს კოოპერაციაში და საბჭოებში ასე სდგას ცენტრალური ამოცანა ღარიბ გლეხობის მიმართ.

სხვა საქმეა კრებები და ღარიბთა ჯგუფები. ამ ჯგუფების მუშაობა მნიშვნელოვნად უნდა გაფართოვდეს. სწორედ ამისათვის აუცილებელია ღარიბი ჯგუფების სამაზრო და საგუბერნიო თათბირების მოწყობა.

ღარიბთა ჯგუფები და „ღარიბთა კავშირი“

რა განსხვავებაა ღარიბთა ჯგუფებსა და იმის შორის, რასაც აყენებს ოპოზიცია ღარიბთა განსაკუთრებული კავშირის სახით? განსხვავება არის და ამასთანავე პოლიტიკურად არსებითი განსხვავება. ღარიბთა ჯგუფებს ჩვენ ვქმნით ჩვენი ორგანიზაციების ირგვლივ, ისინი არიან ჩვენი პარტიის დამხმარე ორგანიზაციები. ამ ჯგუფების სამაზრო და საგუბერნიო თათბირები შესდგება პარტიის უშუალო ხელმძღვანელობით. ამასთანავე, მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ღარიბთა ჯგუფების მთელ ორგანიზაციას, როგორც მათ უწოდებენ სოფლად, მეტად მოქნილი ფორმები აქვს და ყოველ ცალკე შემთხვევებში ხელს უწყობს ღარიბთა უფრო აქტიური, საუკეთესო ელემენტების ჩაბმას საბჭოებსა და კოოპერაციაში.

ასეთი მდგომარეობა არ იქნება მაშინ, როცა ეხლანდელ პირობებში შეიქმნას ახალი განსაკუთრებული ორგანიზაცია—ღარიბთა კავშირი. ღარიბთა განსაკუთრებული ჩამოყალიბებული მასიური ორგანიზაციის შექმნა სოფლის ეხლანდელ ეკონომიურ აღორძინების პირობებში აუცილებლად გამოიწვევს იმას, რომ ღარიბ გლეხობის კავშირში ღარიბთა განსაზღვრული პროცენტი მცირე ხნის განმავლობაში გახდება საშუალო გლეხებად, და ორგანიზაციის სოციალური ხასიათი შეიცვლება და დაჰკარგავს თავის პირვანდელ სახეს.

ყოველივე ეს ამტკიცებს იმას, რომ ღარიბთა ორგანიზაციის გამოყოფით საბჭოებისა და კოოპერაციის ორგანიზაციისაგან, ვერ მივაღწევთ ღარიბთა მდგომარეობის გაუმჯობესებას. ასეთი ორგანიზაცია ეხლანდელ პირობებში ხელს შეუწყობს ახალ წვრილ-ბურჟუაზიულ პოლიტიკურ მიმართულებათა ერთგვარ გამოცოცხლებას. სულ სხვა საქმეა ღარიბთა ჯგუფების კრებები, და ამ ჯგუფების სამაზრო და საგუბერნიო თათბირები, რომელნიც პარტიის ინიციატივით და ხელმძღვანელობით ტარდება.

ეს ქმნის საჭირო პირობებს ღარიბთა პოლიტიკური აქტივობის განვითარებისათვის, მათი როლის გაძლიერებისათვის საბჭოებსა და კოოპერატივებში. ეს გვაძლევს მართლაც მძლავრ ბერკეტს ჩვენი მუშაობისათვის სოფლად და ყველა იმ ამოცანის გადასაწყვეტად, რომელთა შესახებ ახლა ვლაპარაკობდით.

ოპოზიციას ეს არ ესმის, ის არ ხედავს ნამდვილ გზებს ღარიბთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და განსაკუთრებული ორგანიზაციის, ახალი ორგანოების და ცენტრების შექმნის ხალას ბიუროკრატიულ იდეას მისდევს. ოპოზიციის ეს ბიუროკრატიული საქმიანობა პოლიტიკურად მავნებელია და ამა-

ტომ ის აშკარად უნდა უარვყოთ. ჩვენი ამოცანაა პარტიის გარშემო ღარიბი გლეხობის ორგანიზაცია საბჭოებისა და კოოპერაციის გზით.

ოპოზიციის ყველაზე უფრო დამახასიათებელი მხარე ამ ეტაპზე ის არის, რომ ოპოზიცია სოფლად ვერაფერს ახალს, ვერაფერს სოციალისტურს ვერ ხედავს. ჩვენ გამოვაქვეყნეთ თეზისები სოფლად მუშაობის შესახებ; ამ თეზისების ცენტრალურ ნაწილში ლაპარაკია კოოპერაციისა და კოლექტივიზაციის ახალი ამოცანების შესახებ სოფლად, კოოპერაციისა და სოციალიზმის ელემენტების ზრდის შესახებ. რა გვიპასუხა ამაზე ოპოზიციამ? ოპოზიციონერები, როგორც ბრმები, ყველაფერს ამას გვერდს უქცევენ, როგორც მენშევიკები არ სცნობენ არაფერს სოციალისტურს ჩვენს ქვეყანაში, როგორც ბურჟუაზიულ იდეოლოგებს არ ესმით ეს. ყველაფერი ეს ოპოზიციის შეგნებისათვის უცხოა.

ოპოზიცია და საშუალო გლეხობა

ოპოზიციის [illegible] ცენტრალურ ადგილს წარმოადგენს საშუალო გლეხის საკითხი. თუ პოლიტიკურად რამდენად არა პატიოსნურად ექცევა ოპოზიცია ამ საკითხში, ეს ჩანს იქიდან, რომ საშუალო გლეხის წინააღმდეგ გადახრა სურს გაამართლოს ლენინის დამოწმებით. ოპოზიციას ჩვეულებრივ მოჰყავს შემდეგი ადგილი ლენინის ერთი წერილიდან: „საჭიროა შეთანხმების მოხერხება საშუალო გლეხთან ისე, რომ ერთის წუთითაც ხელი არ ავიღოთ კულაკთან ბრძოლაზე და მკვიდრათ დავეყრდნოთ ღარიბ გლეხობას". აი,—ამბობს ოპოზიცია,—ჩვენი პარტიის პოლიტიკის ყველაზე უფრო სწორი, ყველაზე უფრო მართალი განსაზღვრა.

ასეა თუ არა, ამხანაგებო? არა, ეს სრულებით ასე არ არის. ეს სრულებით საკმაო არ არის ახლანდელი დროისათვის. მხედველობაში უნდა გქონდეთ, რომ ლენინის ეს ციტატა, რომელსაც ოპოზიცია ეყრდნობა, ამოღებულია ლენინის ერთი წერილიდან, რომელიც დაწერილია 1918 წლის შემოდგომაზე, ღარიბთა კომიტეტების პერიოდში. ეს ის პერიოდი იყო, როდესაც ლენინი ამ სტრიქონების ცოტა ზემოთ ამბობდა:

„საშუალო გლეხი ჩვენი მტერი არ არისო". უფრო მარტივად რომ ვსთქვათ, ეს იყო საშუალო გლეხობის ეგრეთწოდებული ნეიტრალიზაციის ბოლო პერიოდის ფორმულა. და აი ეს ფორმულა ოპოზიციას უნდა გამოიყენოს ახლა საშუალო გლეხობის მიმართ, როგორც ყველაზე უფრო სწორი ფორმულა. განა ეს ლენინის დაცინვა არ არის? მაგრამ ამით ოპოზიციას აშკარად სურს უკან დაგვახევინოს. ამით ოპოზიცია აშკარად უკუაგდებს ლენინის იმ ძირითად ანდერძს, რომელიც შეეხება საშუალო გლეხთან კავშირს სოციალიზმის მშენებლობის პერიოდში. ოპოზიცია ცდილობს უკან დაგვახევინოს 1918 წლისაკენ, საშუალო გლეხის ნეიტრალიზაციის პერიოდისაკენ და მით სრულიად აშიშვლებს თავის ანტილენინურ პოლიტიკას. პარტიამ უკვე დიდი ხანია რაც განვლო საშუალო გლეხის ნეიტრალიზაციის 1919 წლის პერიოდიც და უკვე ახორციელებს საშუალო გლეხთან მკიდრო კავშირის ლოზუნგს სოციალიზმის მშენებლობის მიზნით.

„იძულებითი სესხი"

სწორედ ოპოზიციის ეს საშუალო გლეხობისადმი და საშუალო გლეხობასთან კავშირისადმი მტრულად განწყობილი იდეოლოგია, აიძულებს ოპოზიციას წამოაყენოს წინადადება გლეხურ იძულებითი სესხის შესახებ. ამავე დროს, ეს წინადადება „სესხის" შესახებ, პარტიის მთელი პოლიტიკის და ახალი ეკონომიური მთელი პოლიტიკის ჩაშლაა. ამიტომ ის ვინც გვირჩევს ამ იძულებითი სესხის პოლიტიკას, ვინც გვირჩევს 150—200 მილ. ფუთ პურის ჩამორთმევას თუნდაც გლეხურ მეურნეობის 10 პროცენტისაგან, ე. ი. არა მარტო კულაკურ, არამედ სოფლის საშუალო ფენის ნაწილისათვისაც, ის, რაც არ უნდა კეთილი სურვილებით იყოს გამსჭვალული ამ წინადადების წამოყენების დროს, მაინც მტერია მუშათა და გლეხთა კავშირის; ის ცდილობს საბჭოთა ხელისუფლების განადგურებას.

ოპოზიცია ვერ ამჩნევს, რომ საფუძვლიანად შეიცვალა ჩვენი ქვეყნის ეკონომიური და სოციალური განვითარება, რომ ამ ცვლილებამ თავისი გამოხატულება ჰპოვა ლენინის გენიალურ წერილში „კოოპერაციის შესახებ", სადაც ნათქვამია, რომ „კოოპერაციის უბრალო ზრდა ჩვენს პირობებში იგივეა, რაც სოციალიზმის ზრდა". ოპოზიცია ამას ვერ ამჩნევს, მას არ ესმის კოოპერაციის ეს სოციალისტური როლი.

ოპოზიციას მოჰყავს თავისი „ახალი სიტყვა" კოოპერაციაში. ოპოზიციამ აღმოაჩინა, რომ ეხლანდელი კოოპერაცია ჩვენ უნდა მოვხსნათ და შევცვალოთ ის „სახელმწიფო კოოპერატიული სისტემით"-თ. ე. ი., როგორ წარმოუდგენია ოპოზიციას ამჟამად კოოპერაციის განვითარების უახლოესი პერსპექტივები.

კოოპერაცია ოპოზიციის გეგმით

საპრონოვ-სმირნოვის ჯგუფის პირით ოპოზიცია მოითხოვს, რომ ყველა კოოპერატიულ ორგანიზაციებში, თავიდან ბოლომდე, ყველა ქვედა საფეხურის კოოპერატიულ ამხანაგობათა ჩათვლით, უნდა იყონ სახელმწიფოს წარმომადგენლები სასტიკი კონტროლის გასაწევად კოოპერატიულ ორგანოების მუშაობისათვის. ყველაფერი ეს არის მხოლოდ დაბრუნება ბიუროკრატიულ კოოპერაციის გეგმა. აქ ბიუროკრატიული დამახინჯება ბოლომდეა მიცემული. ჩვენს წინაშეა იდეოლოგია, უბადრუკ ბიუროკრატებისა, რომლებმაც გვიჩვენეს თავისი შინაარსი და საყოველთაოდ შეირცხვინეს თავი. ეს ყოველ შემთხვევაში გულახდილობა მაინცაა.

რა წინადადებას გვაძლევენ ჩვენ ამ „სახელმწიფო—კოოპერატიულ სისტემის" გეგმაში? სახელმწიფო ორგანოებს განსაკუთრებული უფლებები უნდა მიეცეთ კოოპერაციაში. განა ჩვენ გვაკლია „უფლებები", რომ გავაუმჯობესოთ კოოპერაცია? რა თქმა უნდა, არა. უფლებებიც და ყოველგვარი გავლენაც სახელმწიფოს და პარტიას რამდენიც გნებავთ, იმდენი აქვს. ის, რაც ჩვენ ცოტა გვაქვს, რაც ნამდვილად გვაკლია,—ეს არის კოოპერატიული საზოგადოებრიობა. ჩვენ გვაკლია ნამდვილ კოოპერატიულ ცხოვრების განვითარება, გლეხთა მასების აქტივობისა და თვითმოქმედების განვითარება ამ კოოპერაციაში. აი ეს ჩვენ ცოტა გვაქვს და საშინლად გვაკლია. ამისათვის და საერთოდ, სოფლად მუშაობისათვის ჩვენ გვაკლია კულტურობის ელემენტები, უბრალო წერა-კითხვის ცოდნა, ურომლისოდაც არ შეიძლება კოოპერაციის შემდგომი განვითარება.

სინამდვილეში ოპოზიციის იდეური არსება—ეს არის სრული კაპიტულიაცია ბურჟუაზიულ იდეოლოგიის წინაშე. მისი იდეური შინაარსი თავის გამოხატულებას იმაში პოულობს, რომ პროლეტარიატის დიქტატურის ქვეყანაში ის ვერ ხედავს ვერაფერს ახალს, ვერ ამჩნევს ვერაფერს სოციალისტურს. ის ვერ ხედავს იმას, რაც ჩვენში კეთდება და ჩვენს კლასობრივ მტრებთან ერთად გაიძახის მხოლოდ ერთს: „სოფელმა დიდი ნაბიჯი გადადგა კაპიტალისტურ განვითარების გზით". ამის შემდეგ გასაგებია, თუ რატომ დასძლია ოპოზიცია ასე გადაჭრით პარტიამ, რატომ გადააბიჯა მან ასე ერთსულოვნად მენშევიკურ—ტროცკისტულ ოპოზიციას.

ოპოზიციის ლიკვიდაციასთან ერთად, ჩვენ ვკაფავთ ახალ გზებს სოციალიზმის მშენებლობისათვის. თავის დროზე ჩვენ ვძლიეთ ესერებისა და მენშევიკების წვრილ ბურჟუაზიული პარტიები. ეხლა ჩვენ ვძლევთ წვრილ ბურჟუაზიულ პოლიტიკურ განწყობილებათა იმ უბადრუკ ნაშთებს, რომელთაც სცადეს ჩვენს პარტიაში დაბუდება. ეს საჭიროა ახალი გზების გასაწმენდათ. სოციალიზმის მშენებლობის უფრო მნიშვნელოვანი, უფრო ძირეული ამოცანების განსახორციელებლად.

მუშათა კლასის ახალ მოვალეობათა შესახებ

ჩვენ გავიარეთ ჩვენი მუშაობის განვითარების უმნიშვნელოვანესი ეტაპები სოფლად ჩვენ გვაქვს უდიდესი მიღწევები სოფლად და ამასთან ერთად უდიდესი დეფექტები ჩვენი სასოფლო მუშაობის პრაქტიკაში.

მე რომ ხელი მომეცადა, როგორც ჩვეულებრივ ამბობენ, მოხსენებისათვის „ხელსაყრელ" საქმისათვის და მეამბო თქვენთვის დაუსრულებელი ნაკლულოვანებანი და ანეკდოტები ჩვენს საბჭოთა, კოოპერატიულ საკრედიტო და პარტიულ ორგანოების სასოფლო მუშაობის პრაქტიკაში, ამის შესახებ შეიძლებოდა ძალიან დიდხანს ლაპარაკი და შეიძლებოდა ძალიან „მხიარულად" ლაპარაკი. მაგრამ, მე მათზე არ ვჩერდები დაწვრილებით, რადგან კარგათ ვიცი, რომ ამ ნაკლულოვანებებს ყოველი ჩვენთაგანი მუდამ დღე გრძნობს, ისინი ყველას გვაწუხებენ და მათ ძლევას ჩვენ უმთავრეს ამოცანად ვთვლით.

საკმაოა აღნიშნოს, რომ ისეთი საქმეც კი,

როგორიც არის ღარიბი გლეხობისათვის დახმარების გაწევა, ღარიბთა ფონდების შექმნა და მათი გამოყენება, იმდენად უმსგავსად გვაქვს ჩვენს ორგანიზაციებში დაყენებული. რომ ეს ნაკლი პირდაპირ ღაღადებს ბევრ ჩვენს პარტიულ და საბჭოთა ორგანოების სისუსტის შესახებ. ღარიბი გლეხობის ორგანიზაციის დარგში შეიძლება აუარებელ ნაკლის დასახელება, მაგრამ მე მინდა ავღნიშნო მხოლოდ ერთი. უნდა ვაღიაროთ, რომ მიუხედავად ფართო მასშტაბით დაწყებულ მუშაობისა სოფლად, უკანასკნელი წლების განმავლობაში ჩვენ შევანელეთ ამ მუშაობის გაფართოების ტემპი. ამ ხნის განმავლობაში სწრაფად მიდიოდა პარტიულ ორგანიზაციების ზრდა, მაგრამ ეს ზრდა ყოველმხრივ დამაკმაყოფილებელი არ არის. საკმაოა მოვიყვანოთ ერთი ციფრი: 1.200.000 კომუნისტიდან პარტიაში მოჯამაგირე არის მხოლოდ 14 ათასი, სოფლად კი აღრიცხულია სამ მილიონზე მეტი სოფლის მეურნეობის მუშა და მოჯამაგირე.

უკანასკნელი წლების განმავლობაში კოლოსალურად გაიზარდა კომკავშირი, მაგრამ შეადარეთ კომკავშირის ასეთი ზრდა მის როლს ჩვენს სოფელში: გაიზარდა თუ არა კომკავშირის როლი სოფლად იმდენად, რამდენადაც გაიზარდა მისი რაოდენობა? არაფერი ამის მსგავსი არ არის. კომკავშირი იზრდება, მაგრამ მისი მონაწილეობა საბჭოების, კოოპერაციის და გლეხკომების მუშაობაში იზრდება მეტისმეტად ზანტათ, ყოველგვარ აჩქარების გარეშე. ეს კი არც ისეთი ახალგაზრდული, არც ისეთი რევოლიუციონური თვისებაა, რომ შეეფერებოდეს ლენინის კომკავშირის ხასიათს.

მშრომელ ქალთა მდგომარეობა სოფლად

ჩვენ უდიდესი შესაძლებლობა გვაქვს სოფლის მოსახლეობის მეორე ნახევარის—ქალთა მოსახლეობის შორის მუშაობის გასაჩაღებლად და გასაშლელად, მაგრამ საქმე არც ისეთ მდგომარეობაში იმყოფება, რომ პარტიული მუშაობის ეს დარგი დამაკმაყოფილებლად ვსცნოთ. ჩვენ გვყავს მოჯამაგირე, ღარიბი და საშუალო შეძლების გლეხ-ქალების მილიონები, რომლებმაც უნდა შეავსონ სოციალიზმის მშენებელთა რიგები სოფლად. სწორედ ამჟამად, ამ მომენტში ეს შევსება კი სრულიადაც არ ხდება მასიური მასშტაბით. ეს მაშინ, როცა სოფლად აბსოლიუტურად აუცილებელი ხდება ქალთა მოსახლეობის საბჭოებში და კოოპერაციაში მასიურად ჩაბმა სასოფლო კოოპერაციის წინაშე ამჟამად მდგარმა ამოცანამ მასიურ კოლექტივიზაციის ამოცანამ, მომხიბვლელი პერსპექტივა უნდა გადაუშალოს სოციალიზმის მშენებელთა ახალ კადრებს სოფლად, კერძოთ და განსაკუთრებით, კომკავშირის რიგებიდან მომავალ გლეხ ქალებს და დელეგატ ქალებს. უნდა ყოველმხრივ ხელი შეეწყოს იმ ახალი კადრების გაფართოებას, რომელნიც მეტად საჭირონი არიან სოფლად წვრილ ინდივიდუალურ მეურნეობათა მსხვილ კოლექტიურ მეურნეობათ გარდაქმნის საქმეში.

როგორ არ უნდა გავიგოთ ლოზუნგი „პირი სოფლისაკენ"

რამოდენიმე წლის წინათ ჩვენ გადმოვისროლეთ ლოზუნგი:—„პირი სოფლისაკენ",—ლოზუნგი სწორია და კარგი, მაგრამ ბევრმა საბჭოთა ორგანომ ეს ლოზუნგი ასე გაიგო: პირი სოფლისაკენ, ხელები კი ჯიბეში. ჩვენ გადმოვისროლეთ ლოზუნგი „პირი სოფლისაკენ", აბა მოძებნეთ ცენტრალურ საკავშირო კოოპერატიულ ორგანოების მუშაკები სოფლად. აღმოჩნდება, რომ სოფლად თითქმის ისინი ნატამალიც არ არის. დღე არ გავა, რომ მათ არ შეხვდეთ საბჭოთა დაწესებულებების ყველა კანცელარიებში, მაგრამ ჩვენს კოოპერატორებს ცენტრიდან სოფლებში, გლეხებს ახლო რომ შეხვდეთ,—ტყუილია, ნუ ეცდებით,—ვერ შეხვდებით.

აიღეთ ჩვენი პარტიული ორგანიზაციები. ისინი განსაკუთრებით ხშირად იმეორებენ სიტყვებს „პირი სოფლისაკენ". მაგრამ სოფელს ზოგჯერ უცქერიან ჩინოვნიკური სათვალეებით, ცუდათ იციან იმის შესახებ, რაც სოფლად ხდება. განა ბევრი მოიპოვება ისეთი პარტიული ორგანოები, რომელთაც შესძლეს ნამდვილად ფართო უპარტიო ღარიბ და საშუალო გლეხობის აქტივის შექმნა, რომელთაც შეეძლოთ ნამდვილად სათავეში ჩაუდგენ ზრდის პროცესში მყოფ მასიურ ინიციატივას სასოფლო კოოპერაციის მუშაობის გაფართოების საქმეში და განსაკუთრებით, სოფლის მეურნეობის მსხვილ კოლექტივებზე გადაყვანის საქმეში? ჯერ კიდევ ძალიან ცოტა მოგვეპოვება ასეთი პარტიული ორგანიზაციები.

ამგვარად, ლოზუნგი „პირი სოფლისაკენ" სწორია, მაგრამ იგი, ცხადია, საკმარისი არ არის, განსაკუთრებით ეხლა, როცა სოფლად ჩვენ შევდივართ მუშაობის ახალ ეტაპში, როცა მთავარ ამოცანად უნდა გახდეს მასიური გადასვლა კოოპერაციის საშუალებით მსხვილ კოლექტიურ მეურნეობაზე.

ეს ახალი ამოცანები მუშათა კლასს აკისრებენ სოფლის მიმართ ახალ მოვალეობებს. მუშათა კლასს შეუძლია და უნდა გააკეთოს ამჟამად გაცილებით იმაზე მეტი სოფლისათვის, ვიდრე აქამდე გაუკეთებია.

სოციალიზმის მშენებლობის საფუძველი სოფლად

თავის დროზე ლენინი მთელი ძალღონით მხარს უჭერდა სოფლად მუშაობის ისეთ ახალ ფორმებს, როგორიც არის შეფობა. მას შემდეგ საშეფო საქმე ჩვენში ვითარდება, თუმც, უნდა ითქვას, ძალიან ნელა. ამჟამად მუშათა კლასის მოვალეობას წარმოადგენს არა მარტო საშეფო საზოგადოებათა გაფართოება, არამედ სოფლად მუშაობის ამოცანის დაკისრება პროფესიონალურ კავშირებისათვის.

ყველა პროფესიონალურ კავშირების და, პირველ რიგში, მიწა-ტყის მუშაკთა კავშირის და სხვა დანარჩენ კავშირების ამოცანას, რომელნიც უშუალოდ დაკავშირებული არიან სოფელთან, წარმოადგენს აქტიურად ხელი შეუწყონ სოფლის სოციალისტურად გარდაქმნის საქმეს,

ჩვენს პროფესიონალურ კავშირებში იმ მუშების რაოდენობა, რომელნიც სოფელთან არიან დაკავშირებულნი, საკმაოდ დიდი პროცენტია. პროფკავშირების წევრებს შორის არიან ხელობით მომუშავეები, სოფლიდან დროებით წამოსულნი და სხვა. მათი რიცხვი ცოტა არ არის ცალკე კავშირებში. ეს გარემოება კიდევ ზედმეტად ცხადჰყოფს იმას, თუ რამდენად მტკიცეა მუშათა და გლეხთა კავშირი და აგრეთვე ხაზს უსვამს იმას, რომ პროფესიონალურ კავშირების მოვალეობას, ყველა კავშირების, გამოუკლებლად, სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოს მეთაურობით, ყველა ამ კავშირების მოვალეობას წარმოადგენს დაუღალავად და ფართოდ მოაწყონ პროლეტარული დახმარების საქმე და ხელი შეუწყონ გლეხურ ინიციატივას კოოპერაციის გაფართოების და მასიური კოლექტივიზაციის საქმეში. პოლიტიკური და ორგანიზაციულ-კულტურული დახმარება, განსაკუთრებით მუშების მიერ დახმარების აღმოჩენა მსხვილი კოლექტიური მეურნეობის შექმნის საქმეში, ეს მეტად კეთილშობილი საქმეა ორგანიზაციულად დარაზმულ პროლეტარიატისათვის, ეს უდიდესი მნიშვნელობის საქმეა პროლეტარულ რევოლუციისათვის, ეს საქმე—სოციალიზმის ნამდვილი მშენებლობის საფუძველია, იგი კომუნიზმის საბოლოო გამარჯვების საძირკველია.

ჩვენ ეხლა შევდივართ ისეთ პერიოდში, როცა ჩვენი საკუთარი ხელებით ვიწყებთ იმ გზების გაკაფვას, რომელიც მიგვიყვანს სოფლისა და ქალაქის დაპირდაპირების მოსპობამდე. ეს დაპირისპირება ჯერ კიდევ წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის უბედურებას. მაგრამ როცა ჩვენ უკვე ვიცით რეალური გზები, რომელნიც აშკარად, ჩვენ თვალწინ შეამცირებენ ქალაქისა და სოფლის ასე დაპირდაპირებას. ჩვენ უნდა ხელი შევუწყოთ ამ გზების განმტკიცებას, ჩვენ თვითონ მაგრად უნდა დავდგეთ ამ გზაზე, ჩვენ უნდა გავუძღვეთ ამ საქმეს, მაშინ ჩვენ მივაღწევთ იმას რომ დაპირდაპირება ქალაქსა და სოფელს შორის თანდათან აღმოიფხვრება.

ამ პროცესის ეკონომიურ საფუძველს წარმოადგენს მსხვილი კოლექტიური მეურნეობის განვითარება სოფლად. ჩვენ ამჟამად დავისახეთ სწორედ ეს ამოცანა და მტკიცედ მოვკიდეთ ხელი იმ საქმის განხორციელებას სოფლად, რაც წარმოადგენს კომუნიზმის ნამდვილი საფუძვლების მშენებლობას, უკლასო კომუნისტურ საზოგადოებაზე გადასვლის საფუძველს.

ამ დიადი ამოცანების განხორციელების მიზნით ორგანიზაციულად დარაზმული მუშათა კლასი ყოველნაირად უნდა დაეხმაროს სოფლის მშრომელთა ჩამორჩენილ მასას. შეიგნებს რა თავის ძირითად ამოცანებს და მოვალეობას, პროლეტარიატი მიაღწევს იმას, რომ მუშათა და გლეხთა კავშირი განახორციელებს თავის მთავარ ამოცანას: არ იქნება არც მუშები და არც გლეხები, არ იქნება კლასები ჩვენს ქვეყანაში, ყველა ვიქნებით ერთი სოციალისტური საზოგადოების წევრები.

(მქუხარე ხანგრძლივი ტაში. ყრილობა ფეხზე დგება).

კამათი ამხ. მოლოტოვის მოხსენების გარშემო

17 დეკემბრის საღამოს სხდომა

ამხ. ხატაევიჩის სიტყვა

(თათართა რესპუბლიკა). ამხ. ხატაევიჩი შეჩერდა პარტიული მუშაობის მდგომარეობაზე სოფლად და აღნიშნა სოფლის ქვედა ჯგუფების თვალსაჩინო ზრდა. მაგრამ, ორატორის აზრით, ამ კადრებს საკმაო ხელმძღვანელობას არ უწევენ მაზრები და გუბერნიები. ამხ. ხატაევიჩს საკმაოდ არ მიაჩნია აგრეთვე ის მუშაობა, რომელიც სწარმოებს ღარიბ გლეხობაში. ამ მუშაობას აკლია სისტემატიურობა. ღარიბთა ჯგუფებში მუშაობის აღრიცხვა არ არსებობს.

ამხ. კრიცმანის სიტყვა

შემდეგ გამოდის ამხ. კრიცმანი (მოსკოვი). ორატორმა ანალიზი გაუკეთა ჩვენი სასოფლო მეურნეობის ეკონომიურ საფუძვლებს და სთქვა: ის აზრი, ვითომც ჩვენს სოფელში სწრაფი ტემპით ვითარდებოდეს კაპიტალიზმი, ოპოზიციის შიშის ნაყოფია.

შემდეგ ამხ. კრიცმანი ამბობს: საშუალო გლეხობისათვის, რომელიც წვრილ-ბურჟუაზიული გლეხობის მთავარ მასას წარმოადგენს პროლეტარიატის დიქტატურის დროს, არსებობს მხოლოდ ერთი გზა: ინდივიდუალური მეურნეობიდან წარმოების მსხვილ კოლექტიურ ფორმებზე გადასვლა.

ამხ. ოსინსკის სიტყვა

შემდეგ სიტყვა მიეცა ამხ. ოსინსკის (ცენტრ. სტატისტიკური სამმართველო).

სოფელი,—ამბობს ოსინსკი,—ორგანიზატორს მოითხოვს ღარიბ და საშუალო გლეხობას ესაჭიროება ისეთი ადამიანები, რომლებსაც შეეძლებათ დახმარების აღმოჩენა მათთვის. ამიტომ ძირითადი საკითხი ის არის, რომ სოფლად საჭირო კადრები გადავუგზავნოთ, არა მოლაპარაკეები, არა ისეთი ადამიანები, რომლებიც ბრძანებლობას დაიწყებენ, არამედ კულტურიანი, გამოცდილი და მომზადებული ორგანიზატორები. ამხ. ოსინსკი აღნიშნავს, რომ ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში სოფლიდან გამოსული ელემენტები სწავლობენ. საჭიროა ისეთი გზა გამოვძებნოთ, რომ უმაღლესი სასწავლებლების გათავების შემდეგ ეს სოფლელი ინტელიგენცია ერთი-ორი წლით სოფელს დაუბრუნდეს და მიღებული ცოდნა უწილადოს. შემდეგ ამხ. ოსინსკიმ წამოაყენა ის აზრი, რომ საჭიროა მოეწყოს გუბერნიებში სანიმუშო თემები და სოფლები, რომლებიც სოციალისტურ ნიადაგზე გარდაქმნილი სასოფლო მეურნეობის თავისებური ბირთვები და გამტარებელნი იქნებიან.

ამხ. პტუხას სიტყვა

შემდეგ გამოვიდა ამხ. პტუხა (სტალინგრადი). ორატორმა მოიყვანა ცნობები გლეხობის ფენებად დანაწილების შესახებ ვოლგის ქვემო მხრის რაიონებში, სადაც ზედი-ზედ რამოდენიმე წლის განმავლობაში მოუსავლიანობა იყო; მან ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ამ სპეციფიურ სასოფ.-სამეურნეო რაიონსაც კი ცვლილება ვერ შეაქვს სასოფლო მეურნეობის პროცესების იმ ანალიზში, რომელიც ამხ. მოლოტოვმა გააკეთა.

ამხ. პტუხა ვრცლად შეეხო ტრაქტორის საკითხს და სთქვა, რომ საჭიროა მოვაწყოთ ტრაქტორების წარმოების ორგანიზაცია.

ამხ. იაკოვლევის სიტყვა

შემდეგ გამოვიდა ამხ. იაკოვლევი (მუშათა და გლეხთა ინსპექცია). ამხ. იაკოვლევი ამბობს, რომ მსხვილ საზოგადოებრივ ფორმებზე გადასვლის იდეა გამომდინარეობს გლეხის წვრილი ინდივიდუალური მეურნეობის ბუნებიდან. ამის იქით მას სხვა გზა არა აქვს. რა ფარგლებში შეგვიძლია აგიტაციის გაწევა ჩვენი შესაძლებელი წარმატების სასარგებლოდ? ორატორი მიუთითებს იმ სპეციალისტების გამოანგარიშების რეაქციონერობაზე, რომელთა მიხედვით ხუთწლედის დამლევს ჩვენმა სასოფლო მეურნეობამ შეიძლება მოახერხოს მოსავლიანობის 6—10 პროცენტით გადიდება. ეს გამოანგარიშება დაფუძნებულია იმ გარემოებაზე, რომ მათ ვერ გაუგიათ ის ძალები, რომლებმაც გამოიწვიეს აგრარული რევოლიუცია. ამხ. იაკოვლევი ამტკიცებს, რომ ჩვენ შეგვიძლია უახლოეს 5—6 წლის განმავლობაში მოსავლიანობა ავიყვანოთ 30—40 პროცენტამდე. ამას შეგვიძლია მივაღწიოთ იმით, რომ ყველგან შემოვიღოთ თესლის გაწმენდა, შევქმნათ ხარისხოვანი თესლის ორმოცდაათმილიონიანი ფონდი და საგლეხო მეურნეობა გუთნებით მოვამარაგოთ. სოფლის მეურნეობაში დღევანდლამდე მილიონზე მეტი კავია ხმარებაში. ამავე დროს საწყობებში იმყოფება 700.000 ცალამდე გუთანი. ამხ. იაკოვლევი წინადადებას იძლევა, რომ ეს 700.000 გუთანი გლეხობას ნისიად მივყიდოთ. მაგრამ ესეც არ კმარა. მიწის ადრე დახვნა მოსავლიანობას 60 პროცენტით ადიდებს.

ამიტომ, აღნიშნავს ორატორი, ჩვენ შეგვიძლია ეს ამოცანა დავისახოთ ხუთი წლის განმავლობაში და მიწის ადრე დახვნა 20 მილიონ საგლეხო მეურნეობაში მოვახერხოთ. ბოლოს, ამხ. იაკოვლევი ამტკიცებს, რომ საჭიროა მაქსიმალური ძალ-ღონე ვიხმაროთ, რათა მიწადმოქმედება გადავიყვანოთ ისეთ რელსებზე, რომლებიც მიწის ადრე დახვნის საშუალებას მოგვცემენ მრავალ მილიონ საგლეხო მეურნეობაში.

— ჩვენ შეგვიძლია დავისახოთ და უნდა დავისახოთ კიდეც მოსავლის ერთი-ორად გადიდების ამოცანა ათწლედში,—ამთავრებს თავის სიტყვას ამხ. იაკოვლევი. (ტაში).

კამენსკის სიტყვა

შემდეგ გამოვიდა ამხ. კამენსკი (სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია). ამხ. კამენსკი შეჩერდა იმ საკითხზე, რომელიც შეეხება სასოფლო მეურნეობის ნაწარმოებთა ბაზრების მოწესრიგებას დასამზადებელი ფასების დაწესების გზით. ორატორი ამბობს, რომ ამ მოწესრიგების ძირითად შეცდომას წარმოადგენს ის, რომ ზოგჯერ მტკიცე დასამზადებელი ფასები იცვლება. ფასების ქანაობას მეტად ცუდი შედეგები მოსდევს და გლეხობის მხრით ხშირად იწვევს ჩვენთვის მოულოდნელ სიურპრიზებს. გლეხები აჩერებენ საქონლის გამოტანას, ნაწარმოების მზადება მცირდება, ფაბრიკები და ქარხნები განიცდიან ნედლეულობის ნაკლებობას. დასამზადებელი ფასების ასეთი ქანაობისაგან მოგებაში რჩებიან გლეხების შეძლებული ფენები და ზარალობენ ღარიბები, ვინაიდან დასამზადებელი ფასები იზრდება ნაწარმოებთა დამზადების დამლევს, ე. ი. იმ დროს, როდესაც ხელმოკლე გლეხებს თავისი პროდუქცია უკვე გაყიდული აქვთ.

შემდეგ ამხ. კამენსკი ამბობს, რომ მესაქონლეობის პროდუქტებზე ფასების დაწევის ტენდენცია მავნებელია, ვინაიდან ამ ტენდენციის განხორციელება დამზადების ფრონტის ახალი გარღვევა იქნება. დასამზადებელი ფასების შეცვლა გავლენას ახდენს გლეხობის მეურნეობის კოოპერაციაში მოქცევის ტემპზე. თუმცა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განვითარებისათვის მთელი რიგი არასასურველი პირობები არსებობდა, მან უკანასკნელ წლებში თვალსაჩინო წარმატებას მაინც მიაღწია. თუ 1923—24 წელს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში სოფლის მეურნეობის პროდუქციის მხოლოდ 11,7 პროცენტმა გაიარა, ახლა ეს პროცენტი უკვე 30 აღწევს.

ამხ. უბეიკოს სიტყვა

უკანასკნელად გამოვიდა ამხ. უბეიკო (შინამრეწველობის კოოპერაცია). ამხ. უბეიკო აღნიშნავს იმ როლს, რომელსაც ასრულებენ შინამრეწველობა და შინამრეწველობის კოოპერაცია საბჭოთა კავშირის მეურნეობაში. შინამრეწველობა გვაძლევს საბჭოთა კავშირის საერთო პროდუქციის ერთ მესამედს. შეცდომა იქნებოდა, ისე ჩაგვეთვალა შინამრეწველობა, როგორც მოწინააღმდეგე, რომელიც აუცილებლად უნდა განვდევნოთ. პირიქით, შინამრეწველობა უნდა განვავითაროთ, ამას მოითხოვს საბჭოთა კავშირის მეურნეობის განვითარების ინტერესები. შინამრეწველთა საერთო რიცხვიდან შინამრეწველთა კოოპერაციაში გაერთიანებულია მხოლოდ 17 პროცენტი, დანარჩენი 83 პროცენტი ჯერ ისევ კერძო კაპიტალის ხელში იმყოფება. შინამრეწველობის სუსტი შეკავშირება კოოპერაციაში, პირველ ყოვლისა, იმით აიხსნება, რომ შინამრეწველობის კოოპერაციას საჭირო სახსარი არ გააჩნია. ეჭვი არაა, რომ უახლოეს წლებში კერძო კაპიტალი გამოდევნილი იქნება შინამრეწველობიდან: მატერიალურად გამაგრდება და შესძლებს ჩააბას კოოპერაციაში შინამრეწველთა ახალ-ახალი ჯგუფები.

ამ მუშაობაში შინამრეწველობის კოოპერაციას, პირველ ყოვლისა, პარტიის იმედი აქვს. ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ შინამრეწველობის საჭიროებებს და მას ყოველმხრივი დახმარება აღმოუჩინონ.

(ამით დამთავრდა საღამოს სხდომა).

ამხ. მოლოტოვის საბოლოო სიტყვა*)

მოსკოვი, 19 დეკემბერი. 18 დეკემბრის დილის სხდომაზე ყრილობამ მოისმინა ამხ. მოლოტოვის საბოლოო სიტყვა.

ამხ. მოლოტოვი თავის საბოლოო სიტყვაში ჩერდება ცალკე საკითხებზე, რომლებსაც შეეხენ კამათის დროს.

ის ეხება ცნობებს გლეხთა ფენებათ დაყოფის შესახებ და აღნიშნავს, რომ ამხ. ოსინსკიმ თავისი გამოსვლით, დაადასტურა ჩემ დებულებათა სისწორე, ამიტომ ცენტრ. სტატისტ. სამმართველოს ცხრილი, რომელიც მოთავსებულია ოქტომბრის საიუბილეო კრებულში, უნდა განიდევნოს ხმარებიდან, როგორც არასწორი და უვარგისი მეცნიერული თვალსაზრისით. ის ცნობები გლეხთა სოციალური შემადგენლობის შესახებ, რომლებიც ჩვენ მოგვეპოვება სახკომსაბჭოს კომისიის მუშაობის წყალობით, თუმცა არ იძლევიან გლეხთა სოციალური შემადგენლობის სრულ სურათს, მაინც მთავარში უეჭველად სწორად უნდა ჩაითვალონ.

ლოზუნგს სოფლის ღარიბესი ნაწილიდან სპეციალური კავშირების შექმნის შესახებ, რომელსაც აყენებს ოპოზიცია, ამხ. მოლოტოვი სთვლის შემცდარ ლოზუნგათ, ისეთ ლოზუნგათ, რომელიც არ ეთანხმება პარტიის წინაშე დასმულ ამოცანებს. სულ სხვა ხასიათი აქვთ ღარიბ გლეხთა კომიტეტებს, რომლებიც აღმოცენდნენ უკრაინაში რევოლიუციის განვითარების თავისებურ პირობების ნიადაგზე და სხვა ხასიათი აქვთ აგრეთვე ღარიბ გლეხთა შეკავშირების თავისებურ ფორმებს შუა აზიაში.

შემდეგ ამხ. მოლოტოვი აღნიშნავს, რომ იმ უდიდეს ამოცანებს, რომლებიც დასმულია დღეს პარტიის წინაშე სოფლად მუშაობის დარგში, უნდა ეთანხმებოდეს პარტიული ორგანიზაციების სტრუქტურაც. დღეს აუცილებელია სოფლად მუშაობის განყოფილებათა შექმნა საგუბერნიო, სამაზრო კომიტეტებთან და სხვა მაღლა მდგომ პარტორგანიზაციების ორგანოებთან.

შემდეგ ამხ. მოლოტოვი ეხება სოფლის საბჭოების და სათემო-მამულო საზოგადოებების ურთიერთობას და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ დიდი სიფრთხილეა საჭირო ამ საკითხის გადაჭრის დროს. რასაკვირველია სათემო-მამულო საზოგადოებები უნდა დაუმორჩილოთ სოფლის საბჭოებს, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ კულაკები სერიოზულ წინააღმდეგობას გაუწევენ ამ მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯებს. იმისათვის, რომ ხელსაყრელ პირობებში ჩატარდეს სათემო-მამულო საზოგადოებათა რეორგანიზაცია, უნდა განვავითაროთ ღარიბ და საშუალო გლეხობის ენერგია და ინიციატივა.

ამხ. მოლოტოვი ერთხელ კიდევ აგონებს ყრილობას, რომ პარტიის მთავარ ამოცანას სოფლად მუშაობის დარგში წარმოადგენს წვრილი ინდივიდუალური მეურნეობათა გადაყვანა სოციალისტურ რელსებზე. ის აღნიშნავს აგრეთვე, რომ მეტად მოისუსტებს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მუშაობა გლეხთა საშუალებათა კოოპერაციაში მოზიდვის დარგში.

უეჭველია,—ამბობს ამხ. მოლოტოვი,—რომ გლეხობა გაიღებს ფულს სასოფლო-სამეურნეო ინდუსტრიის განსავითარებლად და ისეთი წარმოების მოსაწყობად, რომელიც იმუშავებს მხოლოდ სამეურნეო პროდუქტების გადამუშავებაზე, თუ ჩვენ აღმოვჩნდებით საქმის მცოდნე სამეურნეო მუშაკები. გლეხობას კარგად ესმის, რომ სასოფლო-სამეურნეო ინდუსტრიის განვითარების საშუალებით, მას შეუძლია განავითაროს სასოფლო მეურნეობა.

ერთ-ერთ მთავარ ამოცანათ უახლოეს პერიოდისათვის ამხ. მოლოტოვს მიაჩნია პროვინციის, განსაკუთრებით კი სოფლის მატერიალური და კულტურული დონის აწევა. პროვინციის კულტურული და მატერიალური განვითარება მეტად ნელი ტემპით სწარმოებს, მაგრამ ეს განვითარება უტყუარი გზაა ისეთი პირობების შესაქმნელათ, რომლებიც უზრუნველყოფენ სოფლად მუშაობის წარმატებას. ჩვენ დღესაც მოგვეპოვება სოფლად ისეთი ძალები, რომლებიც ხელს შეგვიწყობენ ამ მუშაობაში. თუ კი ჩვენ სწორად გამოვიყენებთ ამ ძალებს, ჩავაბამთ სოფლის სოციალისტურ მშენებლობის საქმეში ღარიბ და ხელმოკლე გლეხობას და ამავე ამოცანებისაკენ მოვიზიდავთ სოფლად მომუშავე პროფკავშირების ყურადღებასაც, ჩვენ უეჭველად განვახორციელებთ ამ ამოცანას. (მხურვალე ტაში).

ამხ. რიკოვის წინადადებით ყრილობა ერთხმად ღებულობს რეზოლიუციას ამხ. მოლოტოვის მოხსენების გარშემო. საბოლოოდ დასამუშავებლად აღნიშნული რეზოლიუცია გადაეცა სპეციალურ კომისიას. კომისიაში სხვათა შორის არჩეულია შემდეგი ამხანაგები: მოლოტოვი, პეტროვსკი, კალინინი, კრუპსკაია, ჟდანოვი, ხმარინოვი, სირცოვი, მუსაბეკოვი, ბაუმანი, კრინიცკი, კამინსკი, რუმიანცევი, რონზიტი, კალიგინა, ტვერდოხლებოვი, ისაევი, ანცელოვიჩი, დოგადოვი, შეფლერი და პტუხა.

---

*) 18 დეკემბრის დილის სხდომაზე.

საბჭოთა მოქალაქეების (ინტერესების დაცვა ჩინეთში) იკისრა გერმანიამ

ხანკოუს საბჭოთა საკონსულოს გაჩხრეკა.—ინგლისის გაზეთების პროვოკაცია

მექსიკაში აღმოაჩინეს ყალბი საბუთებით მოვაჭრე საერთაშორისო ორგანიზაცია

მდგომარეობა ჩინეთში

გერმანიამ იკისრა საბჭოთა ინტერესების დაცვა ჩინეთში

ბერლინი, 21 დეკემბერი. საბჭოთა მთავრობამ გერმანიის მთავრობას მიმართა თხოვნით, რათა მას ეკისრა საბჭოთა ინტერესების დაცვა სამხრეთ ჩინეთში. გერმანიის მთავრობამ თანხმობა განაცხადა. (ადს).

შანხაი, 21 დეკემბერი. გერმანიის გენერალურმა კონსულმა შანხაიში აცნობა საბჭოთა კავშირის გენერალურ კონსულს, რომ მას გერმანიის მთავრობისაგან მიღებული აქვს განკარგულება საბჭოთა მოქალაქეთა ინტერესების დაცვის შესახებ, მის მოქმედების რაიონში. (ადს).

შანხაის საბჭოთა საკონსულოს თანამშრომლები

შანხაი, 21 დეკემბერი. ნანკინის ოფიციალური სააგენტოს ცნობით, შანხაის საბჭოთა საკონსულოს დარჩენილ თანამშრომლებს ნება დართეს გადადონ გამგზავრება 24 დეკემბრამდი, რადგან გემი „სიშანი", რომლითაც ისინი უნდა გამგზავრებულიყვნენ, ვერ გადაიტვირთება ისე ჩქარა, როგორც ფიქრობდნენ. (ადს).

ინგლისური გაზეთების პროვოკაცია

შანხაი, 21 დეკემბერი. შანხაის ინგლისური გაზეთები განაგრძობენ კამპანიას საბჭოთა საკონსულოს წინააღმდეგ. გაზეთები აცხადებენ, რომ „დღეს საბჭოთა საკონსულოს დაცვის უკანასკნელი დღეა, რომელიც მას აღუთქვა ნანკინის მთავრობამ". და მოითხოვენ დაუყოვნებლივ „გადამწყვეტი ზომების" მიღებას. (ადს).

„გამონაკლისის დაშვება არ შეიძლება"

შანხაი. 21 დეკემბერი. გაზეთ „შანხაი ტაიმს"-ის ცნობით, შანხაის საგარეო საქმეთა მინისტრმა უ-ჩაო-უმ განაცხადა, რომ „შორეულ აღმოსავლეთის ბანკის მიმართ არ შეიძლება დაშვებულ იქნეს გამონაკლისი, მას ისევე უნდა მოვექცეთ, როგორც დანარჩენ საბჭოთა ორგანიზაციებს, მიუხედავად იმისა, რომ ბანკთან საქმეებს აწარმოებენ უცხოეთის ფირმებიც".

გაზეთი აღნიშნავს, რომ „სოვტორგფლოტის" მოღვაწეობის შეწყვეტა კომერციულად დიდად საზიანო იქნება შანხაისათვის, ვინაიდან „სოვტორგფლოტის" შანხაის განყოფილების მოღვაწეობა გამოიხატებოდა ჩინეთიდან 50 მილ. ჩინურ დოლარის ჩაის, ცხიმების, ტყავისა და ბეწვეულის გაზიდვაში. (ადს).

შანხაი, 21 დეკემბერი. ხანკოუს საბჭოთა საკონსულოს შენობის გაჩხრეკის დროს ჩინეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმა ვერავითარი მასალები ვერ აღმოაჩინეს, რომელნიც დაადასტურებდნენ ჩინეთის ხელისუფლების მტკიცებას საკონსულოს „კომუნისტური მოღვაწეობის" შესახებ (ადს).

საბჭოთა კავშირის ვიცე-კონსული კანტონში ხასისი

მოსკოვი, 22 დეკემბერი. კანტონში მოკლული საბჭოთა კავშირის ვიცე-კონსული ხასისი დაიბადა 1894 წელს, პარტიაში შევიდა 1916 წელს. ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ შევიდა წითელარმიაში, რომელშიაც იყო რამოდენიმე წელი მეთაურის და პოლიტიკური კომისარის თანამდებობაზე. წითელარმიიდან გადააგზავნეს სამხედრო აკადემიის აღმოსავლეთის განყოფილებაში, რომელიც დაასრულა 1924 წელს. საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის შორეულ აღმოსავლეთის განყოფილებაში ამხ. ხასისი მუშაობდა 1924 წლის ოქტომბრიდან. 1925 წელს თებერვალში დანიშნული იყო საბჭოთა კავშირის შანხაის გენერალურ საკონსულოს მდივნათ, შემდეგ საბჭოთა კავშირის ხანკოუს გენერალურ საკონსულოს მდივნათ. 1926 წელს დეკემბერში ამხ. ხასისი დანიშნული იყო ვიცე-კონსულათ კანტონში. (ადს).

გლეხთა აჯანყება გრძელდება

პეკინი, 21 დეკემბერი. სამხრეთ ჩინეთიდან მიღებული ცნობების თანახმად, სვატოუს რაიონში გრძელდება გლეხთა აჯანყება. (ადს).

ტრამვაის მოძრაობის შეწყვეტა შანხაიში

შანხაი. 21 დეკემბერი. ტრამვაის მოძრაობა აღდგენილია მხოლოდ ერთ ხაზზე და ისიც განსაზღვრული რაოდენობით. ვაგონებს მმართველობას იცავენ შეიარაღებული პოლიციელები. ტრამვაის კამპანიამ გამოაქვეყნა მოწოდება მუშებისადმი, რომელშიაც ურჩევს მათ დაუყოვნებლივ დაუბრუნდენ სამუშაოს. (ადს).

პანიკა ტიან-ძინში

შანხაი, 21 დეკემბერი. ჩინური გაზეთები იტყობინებიან, რომ სიუჯოუს დაცემასთან დაკავშირებით ტიან-ძინში დაიწყო პანიკა.

ტიან-ძინში გაგზავნილია ინგლისელ ჯარის კაცების ერთი როტა (ადს).

ვან-ტინ-ვეის და ჩაფა-გუას „ევაკუაცია"

ტოკიო, 21 დეკემბერი. „დემპსიუსინის" სააგენტო იტყობინება, რომ ვან-ტინ-ვეი ჩავიდა გონ-კონგში. იტყობინებიან, რომ ის ჩან-ფა-გუასთან ერთად გაემგზავრება საფრანგეთში.

წყალქვეშა ნავის ავარიის გარშემო

წყალ-ქვეშა ნავი დაიღუპა

ნიუ-იორკი, 21 დეკემბერი. უკანასკნელ დღეებში წყალმყვინთავებმა ორჯერ მოახერხეს კავშირის გაბმა იმ წყალქვეშა ნავის რაზმთან, რომელიც ჩაიძირა პროვინსტოუნის რეიდზე 30 მეტრის სიღრმეზე. წყალმყვინთავი ნავს მორზეს ანბანით შეეკითხა: „რამდენი ხართ, რამდენ ხანს გაუძლებთ ნავში". პასუხი. „ექვსნი ვართ, აჩქარდით, ჰაერი სულის შემხუთველი ხდება". შემდეგ ნავმა სთხოვა, რომ ტორპედოს მილით მიეწოდებინათ საჭმელი და ბალონები მჟავბადით.

ღელვა ექსპედიციას ხელს უშლის ნავის ამოღებაში.

უკანასკნელი ცნობებით, ნავის რაზმი იტყობინება, რომ მჟავბადის მარაგი 19 დეკემბერს საღამოს ექვსი საათისათვის გამოილევა.

ნიუ-იორკი. 21 დეკემბერი. პროვინსტოუნიდან იტყობინებიან, რომ ადმირალი ბამბი, რომელსაც დავალებული ჰქონდა ჩაძირული წყალქვეშა ნავის გადარჩენა, იტყობინება, რომ ქარიშხალმა დაგლიჯა ტროსები, რომელნიც მიბმული იყვნენ სუბმარინთან, რის გამო ნავის ადგილმდებარეობა გამოურკვეველია.

ნავში მყოფ 6 კაცს, რომელნიც სამშაბათს ჯერ კიდევ ცოცხალი იყვნენ დამატებით არავითარი სიგნალი აღარ მოუციათ, ყველა იმედები დაკარგულია (ადს).

საერთაშორისო ვაჭრობა ყალბი საბუთებით

ვაშინგტონი. 21 დეკემბერი. სენატის კომისიის გამოკვლევამ ე. წ. მექსიკის დოკუმენტების წარმოშობის შესახებ, რომელიც გამოქვეყნებული იყო ხერსტის გაზეთებში, აღმოაჩინა ყალბი დოკუმენტებით ვაჭრობის საერთაშორისო ბუდე.

ნიუ-იორკის გაზეთი „უორლდის" უფროსმა კორესპონდენტმა მერეიმ კომისიაში დაკითხვის დროს განაცხადა, რომ მექსიკაში გაჩაღებული იყო ნამდვილი ვაჭრობა ყალბი დოკუმენტების ფაბრიკაციის და გასაღების მიზნით, რომელშიაც მონაწილეობას იღებდნენ ამერიკის ხალხიც, „ნიუ-იორკ-ტაიმსის" უფროსი მექსიკანელი კორესპონდენტი და სხვა ამერიკელი ჟურნალისტები. მერეის ჩვენების თანახმად, „ჩიკაგო-ტრიბუნ"-ის კორესპონდენტი, ჯორჯ ხელდესი, რომელიც ამა წლის აპრილში იმყოფებოდა მექსიკაში, კონტაქტში იყო ყალბი დოკუმენტების აგენტებთან. ცნობილია, რომ დრუეჟილოვსკიმ თავის დროზე განაცხადა, რომ ხელდესი მისგან ყიდულობდა ყალბ დოკუმენტებს „ჩიკაგო-ტრიბუნ"-ისა და „ნიუ-იორკ-ტაიმსი"-სთვის გამოსაქვეყნებლად. როგორც სჩანს, ხელდესი „ჩიკაგო-ტრიბუნ"-ისათვის ასრულებდა თავისებური ექსპერტის და ასეთი „დოკუმენტების" კარგი მცოდნის როლს და სხვადასხვა ქვეყნებისათვის ამზადებდა ყალბი დოკუმენტების ნიმუშებს (ადს).

ყინვები ევროპაში

რომი, 21 დეკემბერი. მთელ იტალიაში არაჩვეულებრივი სიცივეებია. გენუაში ორშაბათს მთელი დღე თოვდა.

ლონდონი. 21 დეკემბერი. ლონდონში მოვიდა ცივი წვიმა, რის შემდეგ დადგა დიდი ყინვები. ყინვებმა გამოიწვია ბევრი უბედური შემთხვევა. საავადმყოფოში გადაგზავნილია 1,600 კაცამდე, უმთავრესად მოტეხილი ხელებით და ფეხებით. ელექტრონის რკინის გზის მატარებლების მოძრაობა ძლიერ შეფერხებულია, რადგან მატარებლის ბორბლები ხლტებიან გაყინულ რელსებზე. ტრანსპორტის მოძრაობა საერთოდ დარღვეულია.

ლოკაუტი აუცილებელია

სტოკჰოლმი, 22 დეკემბერი. მოლაპარაკება შვეციის მემაღაროეთა და მეწარმეებს შორის, რომელიც სწარმოებდა მთავრობის წარმომადგენლის მონაწილეობით, უშედეგოთ დამთავრდა. საერთო აზრით ლოკაუტი შვეციის ჩრდილოეთ ნაწილის მაღაროებში დაიწყება 2 იანვარს. მეწარმეები აყენებენ შემდეგ მოთხოვნილებებს: ხელფასის დაკლება 15 პროც., კოლხელშეკრულების დადება 3 წლით. მუშების მოთხოვნილება—კი შემდეგია: ხელფასის მომატება 18—26 პროცენტით (მუშების კატეგორიების მიხედვით), კოლხელშეკრულების დადება 1 ნახ. წლის ვადით, ორი კვირის შვებულება არსებულ 4 დღის მაგიერ. (ადს).

სატრანზიტო საქონელი

მოსკოვი, 21 დეკემბერი. საბჭოთა კავშირის ვაჭრობის კომისარიატმა შეიმუშავა ინსტრუქციები, რომელთა ძალითაც საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე თავისუფლად შეიძლება გატარება სხვა ქვეყნებში შესაზიდად სპარსეთის მიწათმოქმედებისა და მრეწველობის პროდუქტებისა, გარდა სანტონინისა და აგრეთვე ისეთი საქონლისა, რომლის შემოტანა საბჭოთა კავშირში აკრძალულია. იმ ქვეყნებიდან რომლებთანაც საბჭოთა კავშირს დადებული აქვს სავაჭრო ხელშეკრულებანი და შეთანხმებანი, სპარსეთისათვის საბჭოთა ტერიტორიაზე გატარება შეიძლება სპარსეთის მთავრობის მიერ დაკვეთილი ყველა საქონლისა, რომელიც დანიშნულია სპარსეთის მთავრობის საჭიროებისათვის: მანქანები და საგნები, რომლებიც საჭიროა სპარსეთის ფაბრიკებისა და ქარხნების მოსაწყობად, შენობების ასაგებად, გზების გასაყვანად, აგრეთვე სამკურნალო წამალი, ქირურგიული ინსტრუმენტები, ქაღალდი, ბეჭდვითი ნაწარმოებნი, სამგზავრო და სატვირთო ავტომობილები და აბრეშუმის ყაჭი. ამ სატრანზიტო საქონლის საბჭოთა ტერიტორიაზე გატარების დროს საჭირო არ არის ვაჭრობის კომისარიატის საგანგებო ნებართვის წარდგენა. სატრანზიტო საქონლის გატარება საფოსტო ამანათების სახით არ შეიძლება, რადგან საბჭოთა კავშირსა და სპარსეთს შორის დადებული არ არის საფოსტო-სამანათო კონვენცია. სატრანზიტო საქონელი არ იბეგრება არავითარი ბაჟით და სალიცენზიო გადასახადებით (ადს).

საფრანგეთ-საბჭოთა მოლაპარაკების პერსპექტივები

ბერლინი, 21 დეკემბერი. გაზეთი „გერმანია" აქვეყნებს დე-მონზის სიტყვებიდან ცნობას საფრანგეთ-საბჭოთა მოლაპარაკების პერსპექტივების შესახებ.

„მოლაპარაკება საბჭოთა კავშირთან, ელჩების შეცვლასთან დაკავშირებით, ნათქვამია ცნობაში, შეწყვეტილი კი არა, არამედ შეჩერებულია. ბრიანის საუბარი ლიტვინოვთან ჟენევაში არ სცვლის მოლაპარაკების მდგომარეობას არსებითად. თუმცა სხვა დასხვა გარემოების დამიხედვით ამ ორი სახელმწიფო მოღვაწის საუბარს შეეძლო საფრანგეთ-საბჭოთა მოლაპარაკების ტემპის დაჩქარება. როგორც საფრანგეთის დელეგაციის წარმომადგენელს, მე გარკვეული იმედი მაქვს, რომ ეს დაჩქარება ეხლა დადგება".

გაზეთ „გერმანია"-ს ცნობების მიხედვით, დე-მონზი ბერლინში ეთათბირა გერმანიის სამეურნეო წრეების წარმომადგენლებს გერმანია—საფრანგეთის თანამშრომლობის საკითხის შესახებ საბჭოთა ბაზარზე, გერმანიისა და ამერიკის სამრეწველო წრეების განზრახულ შეთანხმებულ მოღვაწეობის მსგავსად იმ იმედით, რომ დადებული იქნება შესაფერისი საფრანგეთ-საბჭოთა შეთანხმება. ამერიკის ზოგიერთი სამეურნეო წრეები, გაზეთის სიტყვით, საბჭოთა კავშირთან მათი მოღვაწეობის შემდგომი განვითარების პირობად აყენებენ შეთანხმებას საბჭოთა კავშირსა და საფრანგეთს შორის.

გაზეთის ცნობით, სენატორი დე-მონზი ბერლინში არა ერთხელ ესაუბრა აგრეთვე საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებსაც. (ადს).

„როტე ფანე" მე-15 ყრილობის შესახებ

ვენა, 21 დეკემბერი. „როტე-ფანე" მოწინავე წერილში უკეთებს რა კომენტარიებს მე-15 ყრილობის შედეგებს, ხაზს უსვამს საკავშირო კომპარტიის (ბ) უდიდეს მიღწევებს.

„განაჩენი, რომელიც ყრილობამ გამოუტანა ტროცკიზმს, სწერს გაზეთი, ჯამს უკეთებს მთელ წარსულ გამოცდილებას და ტროცკიზმთან ბრძოლის შედეგებს და საბოლოოდ უსწორდება ყველა მერყევ და მეშიშარა ელემენტებს (ადს).

მუშების ბრძოლა

გაფიცვა 100 დღე გრძელდება

ტოკიო, 21 დეკემბერი. ნოდის წარმოებიდან დათხოვნილია 750 გაფიცული მუშა. გაფიცულებმა საერთო კრებაზე დაადგინეს უკან გაუგზავნონ მეწარმეებს მათ მიერ გამოგზავნილი ცნობა მუშების დათხოვნის შესახებ და შეუდგენ დემონსტრაციის მოწყობას გაფიცვის მე-100 დღეზე—23 დეკემბერს. გაფიცულებმა დაიჭირეს რამოდენიმე ფაშისტი, რომელნიც ურიგებდენ ფურცლებს პროფკავშირებზე დაცემის მოწოდებით და სცემეს მათ გრძნობის დაკარგვამდე. (ადს).

სოცდაზღვევის ხუთი წელი

მოსკოვი, 21 დეკემბერი. საბჭოთა სოცდაზღვევას უსრულდება ხუთი წელი. ბიუჯეტმა მიაღწია თითქმის მილიარდ მანეთს. ხარჯი ერთ დაზღვეულზე 1921 წლიდან 1927 წლამდე გაიზარდა 67 მანეთამდე. ხარჯი სამკურნალო დახმარებაზე 14 მანეთიდან გაიზარდა 26 მანეთამდე. იმ დაზღვეულთა რიცხვი, რომლებიც გატარებული არიან კურორტებში, სანატორიუმებში და დასასვენებელ სახლებში, 316.000-დან გაიზარდა 518.000 ათასამდე. უზრუნველყოფილ ინვალიდების და მათი ოჯახის წევრების რიცხვი 457.000-დან გაიზარდა—815.000-მდე (ადს).

ზამთრის სეზონი ყირიმში

მოსკოვი, 21 დეკემბერი. ჯანმრთელობის კომისარმა ამხ. სემაშკომ საკავშირო დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს განაცხადა: „მთავარმა საკურორტო სამმართველომ 1 დეკემბრიდან გახსნა 400 კაცისათვის 2 სანატორიუმი, ერთი ლივადიაში და ერთიც „მარატი" აი-ტოდორსა და მისხორს შუა. ორივე სანატორიუმი უკვე აივსო დეკემბრის დამდეგს.

მიწისძვრისაგან დაზიანებულ შენობების ბედის გამოსარკვევად საბჭოთა რუსეთის სახ. კომისართა საბჭომ გამოჰყო საგანგებო კომისია, რომელშიაც მუშაობენ პროფესორები ლახტინი, ვებერი და სხვ. ეს ავტორიტეტიანი კომისია იმ დასკვნამდე მივიდა, რომ საჭიროა აღდგენილ იქნას დაზარალებული შენობების უდიდესი ნაწილი. კომისიის მიერ მოსმენილ ცნობებიდან და მოხსენებებიდან, კერძოდ პროფესორ ხვოროსტოვის მოხსენებიდან, რომელმაც გამოიკვლია ზღვის ძირი სამხრეთი ნაპირის გასწვრივ, სრულებით არ უნდა დავასკვნათ, რომ ყირიმს კატასტროფა მოელის. თუ მიწისძვრა განმეორდება, სრულიად უშიშარი იქნება ის შენობები, რომლებსაც გაამაგრებენ კომისიის გადაწყვეტილებით" (ადს).

გრიგალი შავ ზღვაზე

ოდესა, 21 დეკემბერი. მთელი შავი ზღვის სანაპიროებზე მძვინვარებს დიდი გრიგალი. მიღებულ რადიო-ტელეგრამების მიხედვით მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნენ ზღვაში მყოფი გემები „კამენეც-პოდოლსკი", „ტომსკ", „ნოვოროსისკი" და აგრეთვე იტალიის გემი „ტრონკე", რომელიც წაიყვანა წყალქვეშა კლდეს ოჩაკოვთან. ძლიერი ქარიშხალი და ყინულები საშუალებას არ აძლევს ყინულ მჭრელ გემებს გაიყვანონ ეს გემი ღია ზღვაში. ფლოტმა მიიღო ზომები გემისათვის სურსათის მისაწოდებლად.

გრიგალი მძვინვარებს აგრეთვე ხმელთაშუა ზღვაზე. გემ „ილიჩიდან" მიღებულია რადიო, რომელიც იუწყება, რომ ეგეის ზღვაში გემი მოექცა საშინელ გრიგალში. სტამბოლში და პირეიში ტემპერატურა დაეცა 8 გრადუსამდე (ნოლს დაბლა).

ოდესის ნავსადგური გაიყინა. ყურე იფარება ყინულით. (ადს).

უკანასკნელი ცნობები

უ-ჩჟაო-ჩუ კამათობს

შანხაი, 22 დეკემბერი. ნანკინის მთავრობის ოფიციალური სააგენტო აქვეყნებს საუბარს ნანკინის მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრთან უ-ჩჟაო-ჩუსთან საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის შესახებ.

უ-ჩჟაო-ჩუ აცხადებს, რომ ნანკინის მთავრობა „არ გასცემს პასუხს საბჭოთა მთავრობის ნოტას". შემდეგ ის ცდილობს შეურაცხყოს საბჭოთა მთავრობა და მოჰყავს მაგალითად ისეთი საბუთი: „თუ-კი საბჭოთა მთავრობა არასოდეს არ სცნობდა ნაციონალურ მთავრობას (ამის სისწორეს უ-ჩჟაო-ჩუ ადასტურებს), სამაგიეროთ არც ნანკინის მთავრობას უცვნია არასოდეს საბჭოთა მთავრობა". შემდეგ უ-ჩჟაო-ჩუ ცდილობს დაამტკიცოს საბჭოთა კანტონელ საკონსულოს მონაწილეობა აჯანყებაში და ამის დასამტკიცებლათ ემყარება „ხელში ჩაგდებულ დოკუმენტს", ეს დოკუმენტი კი წარმოადგენს მხოლოდ კომინტერნის აღმასკომის მე-7 გაფართოებულ პლენუმის დადგენილებას, რომელიც თავის დროზე გამოქვეყნებულიც იყო პრესაში. (ადს)

სტუდენტების საქმე

ვენა, 22 დეკემბერი. გუშინ ბუქარესტის სამხედრო სასამართლოში დაიწყო ათი სტუდენტის —ორადეა—მარეში მომხდარ დარბევის მონაწილეების გასამართლება. აღნიშნულ სტუდენტებს აბრალებენ „ორგანიზაციულ ძარცვას". (ადს).

ავსტრიის კომკავშირის ყრილობა

ვენა, 22 დეკემბერი. 10—12 დეკემბერს აქ მიმდინარეობდა ავსტრიის კომკავშირის ყრილობა. ყრილობას დაესწრენ საბჭოთა კავშირის და გერმანიის კომკავშირის და კომინტერნის აღმასკომის წარმომადგენლები. მოხსენებაში ავსტრიის კომკავშირის მდგომარეობის შესახებ კომკავშირის ცეკას წევრმა ბოლმა აღნიშნა, რომ ავსტრიის კომკავშირის მთავარ ამოცანას წარმოადგენს ბრძოლა რეაქციასთან და ფაშისტურ საზოგადოებასთან და საბჭოთა კავშირის დაცვა საერთაშორისო იმპერიალიზმის თავდასხმისაგან. (ადს).

ნავთსადგურის მუშების გაფიცვა

ლონდონი, 22 დეკემბერი. იუწყებიან, რომ კალკუტაში ისევ გაიფიცნენ ნავთსადგურის მუშები, რიცხვით 1000 კაცი. გაფიცულები მოითხოვენ სამუშაო ხელფასის გადიდებას. (ადს)

დროა საზღვარი დაიდოს

რეველი, 22 დეკემბერი. ესტონეთის გაზეთებმა მოათავსეს ესტონეთის მთავრობის ოფიციალური ცნობა რუს მონარქისტების პროვოკაციულ მუშაობის შესახებ ესტონეთში. სოციალ-დემოკრატიული „რახვა სონა" წერილში სათაურით: „ესტონეთის მთავრობის ახალი გაფრთხილება ემიგრანტების მიმართ" სწერს „ლუკოვსკის აძევებენ ესტონეთიდან. დროა საზღვარი დაედოს შავრაზმელთა ხრიკებს. მთავრობა ჩვეულებრივ მხოლოდ მაშინ აქცევს ყურადღებას მონარქისტების მუშაობას, როდესაც ეს აუცილებლად საჭირო ხდება. მაგრამ დროა მიღებულ იქნეს მონარქისტულ წრეების მუშაობის წინააღმდეგ უფრო გადამჭრელი ზომები". (ადს).

ლიკვიდაციის წესები

შანხაი, 22 დეკემბ. ნანკინის მთავრობის ოფიციალური სააგენტო იუწყება, რომ ჩინეთის ხელისუფლებამ დაადგინა ნება დართოს ცენტროსოიუზს განყოფილების და აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის-გზის განყოფილების განაგრძონ მოქმედება „მეთვალყურე კომისიის" ზედამხედველობით. გამოცემულია შორეულ აღმოსავლეთის ბანკის განყოფილების ლიკვიდაციის წესები, რომლების მიხედვით ლიკვიდაცია სწარმოებს სპეციალურ რწმუნებულის მეთვალყურეობით. ბანკის თანამშრომლები განაგრძობენ თავის ფუნქციების შესრულებას; ახალ გარიგებათა დადება აღარ შეიძლება. ბანკს ნება არა აქვს აწარმოოს „საეჭვო ხასიათის" ოპერაციები. (ადს).

მორიგი სიცრუე

პარიზი. 22 დეკემბერი. ჰავასის სააგენტო იუწყება: იმ ხმებთან დაკავშირებით, თითქოს ინგლისსა და საბჭოთა კავშირს შორის გამწვავებულა ურთიერთობა ინდოეთის მოსაზღვრე ოლქებში, სააგენტოს წარმომადგენელმა მიმართა ავღანისტანის პარიზელ ელჩს, რომელმაც განაცხადა შემდეგი: „თქვენ, როგორც სჩანს, მხედველობაში გაქვთ ინგლისის პრესის ცნობა ინგლის—საბჭოთა კავშირის ურთიერთობის გამწვავების შესახებ ჩვენს მხარეში. არც კი ღირს ამ ცნობებში აღნიშნულ ფაქტების უარყოფა, იმდენად ეწინააღმდეგება ეს ცნობები შემთხვევებს და ელემენტარულ გეოგრაფიულ ცნობებსაც-კი. ამ ცნობების მიხედვით, საბჭოთა კავშირმა ვითომ გააძლიერა თავისი გარნიზონი კანდაგარში; მაგრამ კანდაგარი არ არის საბჭოთა ქალაქი და მდებარეობს ავღანისტანის იმ კუთხეში, რომელიც დაშორებულია საბჭოთა კავშირის საზღვრიდან. (ადს).

სამუშაო დროის განსაზღვრა

შრომის სახალხო კომისარიატმა შეადგინა ახალი დებულება სამკურნალო, სანიტარულ და სავეტერინარო დაწესებულებებში სამუშაო დროის განსაზღვრის შესახებ. ამ დებულების ძალით 6 საათს მუშაობენ — ექიმები, კბილის ექიმები (რომლებიც მუშაობენ საავადმყოფოებში) და ბეითლები, სამეცნიერო და პრაქტიკულ დაწესებულებათა მუშაკნი, საექიმო და პრაქტიკულ დაწესებულებათა მუშაკნი, საექიმო და საბეითლო საშუალო პერსონალი, საბავშვო ბაღების და სახლების ხელმძღვანელები. 8 საათს იმუშავებენ: საექიმო და საბეითლო დაბალი პერსონალი, საშუალო საექიმო პერსონალის მოვალეობის შემსრულებელი მუშაკები; დამხმარე ტექნიკურ და ლაბორატორიულ სამუშაოს აღმასრულებლები, ადმინისტრატიული პერსონალი, კბილის სატექნიკო ამბულატორიის მუშაკები — კბილის ექიმების გარდა, საფეთიაქო და სამხეო საწყობებში მომუშავენი, საბეითლო საქმის ისეთი პერსონალი, როგორიც არის გამჭრელი, დამდაღავი და ზედამხედველი.

ჯანმრთელობისათვის მავნე სამუშაოს გამო 7 საათს მუშაობენ დეზინფექტორები, ხოლო 6 საათს კი მუშაობენ ჰლექის სამკურნალო დაწესებულებების დაბალი პერსონალი, სანატორიუმების და სანატორიუმების ტიპის დაწესებულებათა საშუალო პერსონალი; ფსიქიატრიულ დაწესებულებათა უმცროსი პერსონალი, პროზექტურის უმცროსი პერსონალი, ტალახის და გოგირდის აბანოებში მომუშავენი.

5 საათს მუშაობენ: ამბულატორიაში მომუშავე ექიმები და კბილის ექიმები: ფერშლები, რომლებიც დამოუკიდებლად აწარმოებენ ამბულატორიულ მიღებას; ბეითლები, და ბეითლის ფერშლები, რომლებიც ზედამხედველობას უწევენ სავეტერინარო ქარხნებს,—ქუცის კამერებში მომუშავენი, ტრიხინოსკოპისტები, მაცესტინის ტალახის სამკურნალოთა მუშაკები.

4 საათს მუშაობენ: ექიმი-პროზექტორები და მათი თანაშემწენი, საექიმო საკონტროლო კომისიის ექიმები და საექსპერტო ბიურო, რენტგენის დაწესებულებათა მუშაკები, რომელნიც მუშაობენ შეუჩერებლივ.

ჩამოუყალიბებელ, განუსაზღვრელ საათებში მუშაობენ: დაწესებულებათა გამგეები, თანაშემწენი, სამხეო გამგენი და მათი თანაშემწენი, კურორტებზე ავადმყოფების გამგზავნი მუშაკები, სანიტარული ექიმები, ვეტ-სანიტარული ექიმები და სასამართლოს ექსპერტები.

სამზადისი საყოველთაო-სავალდებულო სწავლების შემოსაღებად

სახელმწიფო საგეგმო კომისია განათლების კომისარიატთან ერთად ამჟამად აწარმოებს სამზადის მუშაობას საქართველოში საყოველთაო-სავალდებულო პირველდაწყებითი სწავლების შემოსაღებად.

სავალდებულო სწავლების შემოსაღებად სახ. საგეგმო კომისიამ განათლების კომისარიატის მასალების მიხედვით შეიმუშავა დეკრეტის პროექტი, რომელიც შეიცავს 16 მუხლს. დეკრეტის პროექტში გათვალისწინებულია საყოველთაო - სავალდებულო პირველდაწყებითი სწავლების შემოღება — დამთავრების ვადები, პირველდაწყებითი სკოლების რიცხვი, ადგილებზე წინასწარი გეგმების დამუშავება; პირველდაწყებით სკოლებში მისაღებ ახალგაზრდების წლოვანება; ქალაქის ან სოფლის პირველდაწყებით სკოლებში მისაღებ ბავშვთა რაოდენობის განსაზღვრა, მასწავლებელთა ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესება, ეროვნულ უმცირესობათა მდგომარეობის გათვალისწინება სასკოლო ქსელის გაფართოების დროს, ფინანსიური გეგმა და სხვ.

დეკრეტის პროექტის განსახილველად სახელმწიფო საგეგმო კომისიაში 16 დეკემბერს შესდგა განსაკუთრებული თათბირი, რომელსაც დაესწრენ საგეგმო კომისიის, განათლების, ფინანსთა და მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატების, სტატისტიკის ცენტრალურ სამმართველოს, თბილისის აღმასკომის და საქართველოს განათლების მუშაკთა კავშირის წარმომადგენლები.

თათბირმა განიხილა პროექტი და მცირე შესწორების შეტანის შემდეგ მოიწონა ის.

პროექტის მიხედვით, საყოველთაო სწავლის შემოღება გახზრახულია 1927—28 წლიდან. საყოველთაო - სავალდებულო სწავლა შემოღებული იქნება თანდათანობით რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონების სოციალურ და კულტურულ პირობებთან შეფარდებით. 1934—35 წლისათვის სავსებით უნდა დამთავრდეს სასკოლო ქსელის მოწყობა საყოველთაო - სავალდებულო სწავლების გასატარებლად.

საბჭოთა არჩევნებისათვის

ცირკულიარი № 2

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა

მოკავშირე აფხაზეთის სოც. რესპუბლიკის, აჭარისტანის ავტონომიური სოციალისტური რესპუბლიკის და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს და ყველა მაზრა—ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტებს.

დამატებით, ა.-წ. 17 დეკემბრის თარიღით და 1 №-ით გამოცემულ ცირკულიარისა, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი წინადადებას გაძლევთ:

1. საბჭოების შემადგენლობის არჩევნებთან დაკავშირებით არჩეული უნდა იქნას თემის საბჭოების სარევიზიო კომისიები იმ რაოდენობით, რაც გათვალისწინებულია საარჩევნო ინსტრუქციის მე-5 თავის მე-60-61 მუხლებში.

სარევიზიო კომისიის შემადგენლობის დასახელება ხდება საარჩევნო კამპანიის მეორე პერიოდში იმ წესით, რაც აღნიშნულია ჩვენ ცირკულიარში (№ 1-ში) საბჭოს წევრთა დასახელების შესახებ.

ვინაიდან სარევიზიო კომისიის წევრთა და კანდიდატთა რაოდენობა გაცილებით მცირეა, ვიდრე საბჭოს წევრებისა, და მათი არჩევა თემის ერთ რომელიმე საარჩევნო პუნქტზე არ იძლევა სარევიზიო კომისიის წევრის სრულ რწმუნებას, საჭიროა დასახელებულ კანდიდატების კენჭის ყრა თემში დარსებულ ყველა საარჩევნო პუნქტებზე. არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც გაყვანილი იქნება საარჩევნო პუნქტების უმრავლესობის მიერ.

2. საარჩევნო კამპანიის მეორე პერიოდში მოწვეულ წინასწარ მოსამზადებელ ღარიბ გლეხკაცობის და მოჯამაგირეთა კრებებზე უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ღარიბ და მოჯამაგირე ქალების დასწრება.

3. წინასწარ საარჩევნო მოსამზადებელ კრებებზე დასახელებულ კანდიდატთა სიების გამოქვეყნება დასაშვებია იმ მაზრებში, სადაც ადგილობრივ პირობების გამო ეს შესაძლებლად იქნება ცნობილი.

4. მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს მოჯამაგირეების, მოჯამაგირე-ქალების და საერთოდ მშრომელ დედაკაცების საბჭოს შემადგენლობაში სათანადო რაოდენობით გაყვანის საკითხს.

5. მიმდინარე არჩევნებში აღებულ იქნას ხაზი, რათა მეტი გაბედულობით იქნენ წამოყენებული თემსაბჭოების თავმჯდომარეების ან მათი მოადგილეების თანამდებობაზე აქტიური ქალები და მოჯამაგირეები.

სრულიად საქართველოს საბჭოების ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მაგიერ: **ხ. თოდრია.**

სრულიად საქართველოს საბჭოების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი: **შ. მათიკაშვილი.**

მზადება თბილისის მაზრაში

სათემო აღმასკომების მუშაკთა თათბირი

თბილისის და მისი მაზრის საარჩევნო კომისია იანვრის პირველ რიცხვებში იწვევს სათემო აღმასკომების მუშაკთა თათბირს, რომელზედაც განხილული იქნება საარჩევნო ხმის უფლების მქონეთა და უფლებას მოკლებულთა სიის შედგენის საკითხები. ამავე თათბირზე გარჩეული იქნება საარჩევნო ინსტრუქცია და გამომუშავდება დაწვრილებითი გეგმა არჩევნების ჩასატარებლად თბილისის მაზრაში.

საორგანიზაციო-ტეხნიკური მუშაობა

თბილისის მაზრაში საორგანიზაციო-ტეხნიკური მუშაობა დაიწყება იანვრიდან. ამავე დროიდან დაიწყება საარჩევნო სიების შედგენა და აგიტაცია-პროპაგანდა არჩევნების შესახებ.

უპარტიო გლეხთა კონფერენციები

თბ. აღმასკომის სამაზრო-საქალაქო საარჩევნო კომისია 1 იანვრისათვის თბილისის მაზრის სხვადასხვა რაიონებში იწვევს უპარტიო გლეხთა ფართო კონფერენციებს, რომელთა მიზანია უპარტიო ფართო მასების ჩაბმა საარჩევნო კამპანიაში.

ყრილობები და თათბირები

[illegible] ნედლეულობის დამზადების შესახებ

მიწსახკომის წარმომადგენლის მოხსენება

ნედლეულობის ბაზრის და ფასების პოლიტიკის შესახებ მეორე მოხსენებას აკეთებს საქართველოს მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის წარმომადგენელი ამხ. ელიავა.

ნედლეულობის მეურნეობათა გასაფართოებლად და მოსავლიანობის ასაწევათ, მომხსენებლის აზრით საკმარისი არ არის აგრიკულტურული ღონისძიებები, არამედ საჭიროა აგრეთვე გადამჭრელი ზომები ამ მეურნეობათა რენტაბელობის ასაწ. და პროდ. თვითღირებულების შესამცირებლად. ამასთანავე საჭიროა ნედლეულობის ბაზრის და ფასების მოწესრიგება, დამზადების ოპერაციების წარმოება სას. სამეურნეო კოოპერაციის მიერ, ამ მეურნეობათა სესხებით უზრუნველყოფა და სხ.

მეოთხე სხდომა

ა. კ. სას. სამ. კოოპერაციის მდგომარეობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ა. კ. სახ. საგეგმო კომისიის წარმომადგენელი მ. ახავევი.

ა. კ. სას. სამ. კოოპერაცია ა. წ. 1 ოქტომბრისათვის თავისი 920 ძირითადი შენაერთებით აერთიანებდა 238.000 მეურნეობას. კოოპერაციაში გაერთიანებული მეურნეობათა რიცხვი საქართველოში უდრის 102.000, აზერბეიჯანში—750.000, სომხეთში—49.000 და აფხაზეთში—11.750. კოოპერაციაში გაერთიანების უდიდეს პროცენტს იძლევა აფხაზეთის მეთამბაქოეობა. 1924 წელთან შედარებით კოოპერატიულ ორგანიზაციათა ზრდა უდრის 343 პროცენტს, ხოლო წევრთა რიცხვის ზრდა 406 პროც.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობას იღებენ: მიშკინი, კანდელაკი, ჭუმბურიძე, ხოფერია, წერეთელი, ტაგიევი, ლაჭყეპიანი, ჩუბარი, მეტაქსა, ჩომახიძე, ერზინკიანი, ჩხენკელი და სხვები.

ორატორები აღნიშნავენ, რომ ადგილობრივი მრეწველობის ზოგიერთი წარმომადგენელი უპირატესობას აძლევს საზღვარგარეთიდან შემოზიდულ ნედლეულს, როდესაც ადგილობრივი ნე[illegible] უფრო იაფი ჯდება და ღირსებითაც არ ჩამოუვარდება შემოზიდულს.

ორატორები საჭიროთ სთვლიან სას. სამ. კოოპერაციის აპარატის რაციონალიზაციას და მის უფრო მეტათ დატვირთვას დამზადების ოპერაციებით.

ნედლეულობის ბაზის გასაძლიერებლად ორატორების აზრით საჭიროა. გადასახადების გადასინჯვა, მოსახლეობის მომარაგება ინვენტარით, სამრეწველო საქონლით. მუშა საქონლით და სასურსათო საგნებით.

საშეფო მუშაკთა კონფერენცია

22 დეკემბერს დასრულდა კამათი ამხ. გ. სტეფანოვის მოხსენების გარშემო. შემდეგი მორიგი მოხსენებით საშეფო მუშაობის შესახებ სოფლად გამოვიდა ამხ. გ. საყვარელიძე.

მომხსენებელმა დაწვრილებით განმარტა საშეფო ორგანიზაციების მუშაობის მეთოდები სოფლად და აღნიშნა, რომ საშეფო მუშაობა სოფლად უნდა შეიცავდეს შემდეგ უმთავრეს მომენტებს: მუშაობა სოფლის კულტურული დონის ასამაღლებლად, სას.-სამეურნეო ხასიათის აგიტაცია პრაქტიკაში (კომუნების, სამანქანო ამხანაგობების და სხ. მოწყობა) და ეკონომიური ხასიათის დახმარებათა აღმოჩენა (გზების გაყვანა, ხიდების და სკოლების აგება და სხ.).

ამხ. საყვარელიძის მოხსენების გარშემო გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

კონფერენციის საღამოს სხდომაზე ვრცელი მოხსენებით გამოვიდა ამხ. დ. აფციაური საბჭოების გადარჩევის კამპანიის მნიშვნელობის შესახებ.

მოსმენილ მოხსენებათა გარშემო რეზოლუციების მიღების შემდეგ კონფერენცია დაიხურა.

სახელმწიფო უნივერსიტეტის მეორე კონფერენცია

გუშინ საღამოს სახ. უნივერსიტეტის სტუდენტთა კლუბში გაიხსნა სტუდენტთა მეორე კონფერენცია. საქმიანი პრეზიდიუმისა და სამდივნოს არჩევის შემდეგ კონფერენციამ აირჩია საპატიო პრეზიდიუმი.

კონფერენციაზე მოხსენებით, სტუდენტთა აღმასბიუროს 1927 წ. მუშაობის შესახებ, გამოვიდა აღმასბიუროს თავმჯდომარე ამხ. ხ. გეგენავა. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საანგარიშო პერიოდში, აღმასბიურომ მოახერხა ორი დიდი საქმის დაწყება, სახელდობრ: 60 ოთახიანი სახლის აგება სტუდენტთათვის და ტრამვაის ხაზის გაყვანა ყოფ. სემინარიამდე; აღნიშნული დროის განმავლობაში სტუდენტებს დახმარების სახით მიეცათ 2.200 მანეთი, ხოლო სესხათ 4.700 მანეთი. სტიპენდიანტთა რიცხვი გადიდდა 100 კაცით. ღარიბ სტუდენტებს მიეცათ 5.700 მანეთის სადილები. საგზაო დახმარების სახით სტუდენტებმა მიიღეს 9.800 შეღავათიანი ბილეთი. აღმასბიურომ შესძლო კლუბის მოწყობა, რომელიც 1000-მდე მსმენელს იტევს. ოქტ. 10 წლის თავზე სტუდენტებს დაურიგდა 4.800 მანეთის სახელმძღვანელოები.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 10-მდე სტუდენტმა. კამათის შემდეგ მოსმენილ იქნა სარევიზიო კომისიის მოხსენება, საიდანაც გამოირკვა, რომ გან. სახ. კომისარიატს აღმასბიუროსათვის მიუცია 9.123 მანეთი. პროლეტ. სტუდენტთა თბილისის ბიუროს 350 მან. და უნივერსიტეტის გამგეობას 7.851 მანეთი, სულ 21.313 მანეთი. სარევიზიო კომისიამ აღნიშნული თანხის მიზანშეწონილი განაწილება დაადასტურა.

კონფერენციამ ერთხმად მოიწონა აღმასბიუროს მუშაობა და ახალ შემადგენლობაში აირჩია 31 წევრი და 9 კანდიდატი. სარევიზიო კომისიაში 8 კაცი.

ქრონიკა

26 დეკემბერი სამუშაო დღეა

საქართველოს შრომის სახალხო კომისარიატის განმარტებით ორშაბათი, 26 დეკემბერი, სამუშაო დღეა.

კოლხელშეკრულებათა დადების კამპანია

ს. პ. კ. ს. სატარიფო-საეკონომიო განყოფილებამ წინადადება მისცა კავშირებს, სამაზრო პროფბიუროებს და აჭარისტანის და აფხაზეთის პროფსაბჭოებს კოლექტიური ხელშეკრულებების დადების კამპანია დაამთავრონ პირველ იანვრამდე. ამ დროისათვის ყველა ხელშეკრულებები გატარებული უნდა იქნეს შრომის კომისარიატის ორგანოების რეგისტრაციაში.

ალაზნის ჰიდროელსადგური

სახელმწიფო საგეგმო კომისიაში წარდგენილია ალაზნის ჰიდროელსადგურის აგების პროექტი. პროექტის მიხედვით ეს სადგური აგებული იქნება ალაზნის საირიგაციო არხის წყალვარდნილზე სოფ. ბაკურციხესთან. სადგური იქნება 7—8000 ცხენის ძალიანი და მისი აგება დაახლოებით დაჯდება მილიონ ნახევარი მანეთი. ამ სადგურს დიდი მნიშვნელობა ექნება ალაზნის არხის გაყვანის დამთავრების შემდეგ მის მიდამოებში განზრახულ მეურნეობის განვითარების საქმეში.

პირველი ასურული ანბანი

საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის სამეცნიერო საბჭომ მოიწონა პირველი ანბანი ასურულ ენაზე, რომელიც შეადგინა ამხ. გეორგიევმა.

ანბანი იბეჭდება და გამოვა 3.000 ცალის რაოდენობით. ანბანი, რომელსაც ეწოდება „ახალი სკოლა", შემოღებული იქნება ასურულ სკოლებში თბილისში, დუშეთის მაზრაში და უკრაინაში

თბილისში ამჟამად სცხოვრობს 4.000-მდე ასირიელი, მათი უმეტესი ნაწილი კალატოზებია. წიგნში განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული ლენინის ცხოვრებას, საბჭოთა დღესასწაულებს და პიონერია ცხოვრებას.

ა.-კ. პროლეტსტუდენტთა თათბირი

მომავალი წლის იანვრის პირველ რიცხვებში თბილისში შესდგება ამიერ-კავკ. პროლეტარულ სტუდენტთა თათბირი.

დახმარება საავადმყოფოს მოსაწყობათ

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის დადგენილებით ახალციხის სამაზრო საავადმყოფოს მოსაწყობათ და საავადმყოფოსათვის შესაფერი საექიმო ხელსაწყოების შესაძენათ სამკურნალო ფონდიდან გადადებულია 1.000 მანეთი. ფული გადაგზავნილია დანიშნულებისამებრ.

კონკურსი საუკეთესო ფაბკარხადგილკომზე

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა გამოჰყოს საკონკურსო კომისია, რომელმაც უნდა დააჯილდოვოს ინდუსტრიალიზაციის სესხის ობლიგაციების გასაღების დარგში ენერგიულად მომუშავე ფაბკარხადგილკომები.

კომისიაში შედიან ამხ. მაჩაიძე (თავმჯდომარე), გოზალოვი, სულავა, ანთიძე, ათოევი და თითო წარმომადგენელი საქართველოს და ამიერ-კავკასიის ფინსახკომებიდან.

თათბირი ფიზკულტურის და გასამხედროების საკითხებზე

დღეს, დილის 11 საათზე, საქართველოს პროფსაბჭოს მცირე დარბაზში იხსნება კავშირების კულტგანყოფილებათა გამგეების თათბირი ფიზკულტურის და გასამხედროების საკითხებზე.

თათბირის დღის წესრიგში დასმულია შემდეგი საკითხები: საფიზკულტურო მუშაობის მდგომარეობა და კავშირების ამოცანები; საფიზკულტურო მუშაობის კონკრეტიული გეგმა 1928 წლისათვის და მიმდინარე საქმეები: ფიზკულტურის კონკურსი, ჭადრაკი კლუბებში.

თბილისის აღმასკომში

◆ უვარგისი სახლები. თბ. აღმასკომის [illegible] დაარსებულმა კომისიამ გარეუბნებში 20 სახლი იცნო უვარგისად, რადგან ისინი ძლიერ არიან დაზიანებული. მიღებულია ზომები ამ სახლებში მცხოვრებთა გადასაყვანად სხვა ბინებში.

◆ ახალი სახლების ასაგებათ თბ. აღმასკომმა გადასდო 118.000 მანეთი.

◆ ნიაღვრების საწინააღმდეგოთ კეთილმოწყობის განყოფილება საბჭოს ქუჩაზე შეუდგა გვირაბის გაყვანას,

◆ ხევის გამაგრება. თბ. აღმასკომმა დაადგინა გაამაგროს უნივერსიტეტის ახლოს მდებარე ვარაზის ხევის ნაპირები.

ჯანსახკომში

◆ მედიკამენტები. ჯანსახკომმა საზღვარგარეთიდან გამოიწერა 260.000 მანეთის მედიკამენტები.

◆ ოზურგეთის საავადმყოფოსათვის ახალი შენობის ასაგებათ ჯანსახკომმა მთავრობიდან გამოითხოვა 100.000 მანეთი.

კრებები და მოხსენებები

მშრომელ ებრაელთა მიწათ-მოწყობის საზოგადოების დამფუძნებელი კრება მოწვეულია კვირას, 25 დეკემბერს, პროფსაბჭოს დიდ დარბაზში. დღის წესრიგშია: 1) მშრომელ ებრაელთა მიწათ-მოწყობის საზოგადოების საინიციატივო ბიუროს საანგარიშო მოხსენება. 2) საზოგადოების გამგეობისა და სარევიზიო კომისიის არჩევა.

ბ. ბაქსტერი თბილისში

გუშინ თბილისში ჩამოვიდა შტატ მეინის (ჩრდილოეთ - ამერიკის შეერთებული შტატები) ყოფ. გუბერნატორი პ. ბაქსტერი. მისი ჩამოსვლის მიზანია ამიერ-კავკასიის ცხოვრების გაცნობა.

ჩვენს თანამშრომელთან საუბარში ბ. ბაქსტერმა განაცხადა:

— მე რუსეთში ვიყავი რევოლიუციამდის 1906 და 1913 წლებში. უნდა აღვნიშნო, რომ ეხლანდელი რუსეთი სრულებით არ გავს მაშინდელ რუსეთს. მოსახლეობის ცხოვრების საერთო პირობები თვალსაჩინოდ გაუმჯობესდა. კულტურული ცხოვრება — მუზეუმების და სხვა სამეცნიერო დაწესებულებების ქსელის გაფართოვება ძალიან სწრაფი ტემპით მიდის წინ.

ბაქოში ყოფნისას მე დავათვალიერე „აზნავთის" სარეწავები; ვიყავი ბალახანში და სურახანაში, სადაც მე განცვიფრებაში მომიყვანა შრომის ინტენსივობამ და წარმოების რაციონალიზაციამ, რომელიც მე იქ ვნახე.

ბაქსტერი თბილისში დარჩება ერთი კვირა; თბილისიდან იგი გაემგზავრება ბათომში.

ოსმალეთის რკინისგზელების ჩამოსვლა

გუშინ თბილისში ჩამოვიდნენ არზრუმ-ყარსის რკინის გზის დირექტორი ბ. ქემალიტიმ ბეი და ამ გზის მოძრაობის განყოფილების უფროსი ბ. შეფიკ-ბეი.

მათი ჩამოსვლის მიზანია, მთელ რიგ საკითხების გამორკვევა ამიერ-კავკასიის რკინისგზების გამგეობასთან სატრანზიტო მოძრაობის შესახებ ყარს-ბათომს შორის.

ჩვენს თანამშრომელთან საუბარში ბ. ქემალიტიმ-ბეიმ განაცხადა:

— სატრანზიტო მოძრაობა ყარს-ბათომს შორის ყოველთვიურად იზრდება. ჩვენ, ოსმალეთის რკინისგზელებს მჭიდრო კონტაქტი გვაქვს ამიერ-კავკასიის რკინის გზებთან და შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ჩვენი ურთიერთობა საუკეთესოა.

ხელოვნება

დისპუტი კინოზე მუშათა ცენტრალურ კლუბში

გუშინ, მუშათა ცენტრალურ კლუბში გაიმართა დისპუტი კინოზე. საბჭოთა კინემატოგრაფიის მდგომარეობისა და სახკინმრეწვის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. არუსტანოვმა. მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი. დისპუტმა დიდი ინტერესი გამოიწვია. დაწვრილებით ხვალ.

პროლეტმწერალთა შორის

საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის პრეზიდიუმმა დაამტკიცა განყოფილებები ქუთაისში და ბათომში ლიტერატურული-ბეჭდვითი მუშაობის მხრივ. ქუთაისის განყოფილება მონაწილეობას მიიღებს ალმანახ „გრდემლში", ხოლო ბათომის განყოფილება კი გაზ. „ფუხარას" ყოველკვირეულ ლიტერატურულ ფურცელში.

◆ **გრიგოლ რობაქიძის მოხსენება.** დღეს კონსერვატორიის დარბაზში გრიგოლ რობაქიძე წაიკითხავს მოხსენებას: „რვა თვე გერმანიაში".

◆ **„ლიუბოვ იაროვაია".** მუშათა თეატრში დღეს რუსული დრამის მიერ წარმოდგენილი იქნება „ლიუბოვ იაროვაია".

◆ ოპერის თეატრში დღეს წარმოდგენილი იქნება ოპერა „მეფის საცოლე".

◆ **„თემინიატის"** ქართული სექტორი დღეს გამართავს მორიგ წარმოდგენას ახალი პროგრამით—ელ. ჩერქეზიშვილის მონაწილეობით.

◆ **მე-2 სახელმწიფო სამუსიკო მუშფაკში** დღეს, საღამოს 5 საათზე გაიმართება ამავე მუშფაკის მოწაფეთა ღია საღამო.

ახალი წიგნი. გამოვიდა დ. თურდოსპირელის დასურათებული მოთხრობა ბავშვთათვის „ტუგრია". წიგნი შეიცავს 20 გვ. და ღირს 25 კაპ.

— **„1918 წელი".** საქართველოს პროფკავშირთა კულტგანყოფილების მიერ მიღებულია მუშათა კლუბებში დასადგმელად ა. დიმოვსკის და ლ. ლვოვის პიესა „1918 წელი" (ბაქოს ტრაგედია).

შემთხვევები

აგრონომ უშაკოვის მოკვლა

ბათომიდან მიღებული ცნობების თანახმად, ორთა-ბათომში საკუთარ ბინაზე გაძარცვის მიზნით მოჰკლეს 60 წლის მოხუცი, აგრონომი ფ. ა. უშაკოვი. გვამზე აღმოჩენილია 11 ჭრილობა დანით სახეზე და მუცელში. განსვენებული იყო მსწავლული აგრონომი და საზოგადო მოღვაწე; იგი თავის დროზე რევოლიუციონური მუშაობისათვის მეფის მთავრობის მიერ გადასახლებული იყო ბათომის ოლქში.

თავის მიწის ნაკვეთზე, 1,5 დეს. სივრცით, განსვენებულმა საკუთარი ხელით გააშენა მდიდარი ბოტანიკური ბაღი, სადაც თავი მოუყარა მეცნიერების იშვიათ ეგზემპლიარებს დედა-მიწის ყველა კუთხეებიდან.

უშაკოვი დიდი სიყვარულით და პატივისცემით სარგებლობდა ადგილობრივ გლეხებს შორის, რომლებსაც ყოველთვის ეხმარებოდა რჩევა-დარიგებით. მკვლელობის წინა დღით უშაკოვმა გაყიდა თავისი პატარა მანდარინის ბაღის მოსავალი, რაც გახდა, ალბად, მკვლელობის საბაბი.

მკვლელები ჯერ ვერ აღმოაჩინეს. კვლევა-ძიება სწარმოებს.

ჯიბგირობა

გუშინ, დილით სოფ. ძარტყოფიდან ჩამოსულ პელაგია სარქისიშვილის ქალს კარლ მარქსის ხიდთან ვიღაც ჯიბგირმა ჯიბიდან ამოაცალა 78 მანეთი და მიიმალა.

ხანძარი

გუშინ დილით მუშკოოპის საწყობში (პლეხანოვის პროსპექტის და ჟორესის ქუჩის კუთხე) გაჩნდა ხანძარი.

სასწრაფოდ გამოიწვიეს სახანძრო რაზმი, რომელმაც ხანძარი ჩააქრო 6 წუთის განმავლობაში.

როგორც გამოირკვა, ხანძარი გამოიწვია პაპიროსის ნამწვავმა.

ხანძრით გამოწვეული ზარალი უმნიშვნელოა.

მუშკორთა საყურადღებოთ

კვირას, 25 დეკემბერს, დილის 11 საათზე მოეწყობა გაზ. „კომუნისტი"-ს მუშკორთა ექსკურსია თბილისის ფიზიკურ მეთოდებით სამკურნალო ინსტიტუტში. მუშკორებმა თავი უნდა მოიყარონ რედაქციის ბინაზე დილის სრულ თერთმეტ საათზე.

სასამართლო

ერთი ქალი 6 შეიარაღებული მამაკაცის წინააღმდეგ

(პროცესის მესამე დღე)

22 დეკემბრის დილის სხდომა

სხდომა იხსნება სამაზრო სასამართლოს დარბაზში.

მხარეები დამატებით შეკითხვებს აძლევენ ეკ. ბ—შვილის ქალს. ქალი შეკითხვების საპასუხოდ განმარტავს, რომ მოძალადეები მოქმედებდენ მუქარით. სულხანიანი წამდაუწუმ დანას მიღერებდა. მე მოვახერხე მისთვის დანის წართმევა. ზედი-ზედ იერიში მოჰქონდა სულხანიანს, ქვასროლიაშვილს და გოგორაშვილს (ჯერ არ არის დაპატიმრებული). კაპიანიძე თავზე არ დაწოლია. მერაბიშვილი კი იქ იყო, მაგრამ არ მახსოვს მოვიდა თუ არა ჩემთან. მეეზოვე სამადაშვილი გააგდეს მას შემდეგ, რაც მაზარა შემომახვიეს. ქვასროლიაშვილი კი მოვატყუე, ვუთხარი განუკურნელი ვენერიული სენი მჭირს მეთქი. ერთერთ თავდამსხმელს ტუფლი დავარტყი თავში ქუსლით და მოვიშორე.

მოწმე გ. ბებიაშვილი (ქალის მეორე ნაცნობი) იმასვე ადასტურებს, რაც მოწმე ბუჯიაშვილმა ილაპარაკა.

— ქალს რომ სახლამდე ვაცილებდით, ლაპარაკობს მოწმე.—ჩვენთან მოვიდენ მერაბიშვილი და გოგორიშვილი და წინადადება მოგვცეს გაგვეცნო მათთვის ქალი. ისინი მოგვმართავდენ შეურაცხმყოფელი სიტყვებით.

ქალის გატყუების და წვალების შესახებ მოწმე ადასტურებს ბუჯიაშვილის ჩვენებას.

საინტერესო ჩვენებას იძლევა უფროსი მეეზოვე **სიმონ ზამბახიძე.**

— მე შემთხვევის ღამეს ვათვალიერებდი საგუშაგოებს. მეეზოვე სისაურის საგუშაგოსთან რომ მივედი, სისაური მოჰყვებოდა ერთ ახალგაზრდა ქალს. ქალი ძალზე აღელვებული ხმით ლაპარაკობდა, რომ მამაკაცები დამესხენ და მაწვალესო. მე ვსთხოვე წაგვყოლოდა შემთხვევის ადგილას, მაგრამ ქალი ისე იყო შეშინებული, რომ არაფრის გულისთვის არ წაგვყვა. შემდეგ მე მივმართე ასეთი სიტყვებით: „მენდეთ როგორც ძმას და გამომყევით".

ამის შემდეგ დამეთანხმა. წავედით. ვეძებეთ ქუდი, მაგრამ ვერ ვნახეთ.

—2 საათზე ბრალდებული სამადაშვილი (მეეზოვე) მე ვნახე საგუშაგოზე. ამ ამბის შესახებ მან არაფერი მითხრა. საფსტვენიც თან ჰქონდა.

სამადაშვილი კი დაკითხვის დროს აცხადებდა, რომ თითქოს ყვირილის დროს მან არ დაუსტვინა იმიტომ, რომ საფსტვენი სახლში დარჩენოდა.

მოწმე **ხარქის მილიციონერი** (მე-11-ე უბნის მილიციელი) ლაპარაკობს, რომ შემთხვევის ღამეს ის ათვალიერებდა საგუშაგოებს მეეზოვე სამადაშვილი მას საგუშაგოზე არ დახვდა.

— მე დაუსტვინე, ლაპარაკობს მოწმე, და ათი წუთის შემდეგ სამადაშვილმა ფსტვენით მიპასუხა. როცა შენიშვნა მივეცი—რატომ საგუშაგოზე არ სდგას, მან მიპასუხა მთვრალი კაცი გავაცილეო. მაშინ მას მაზარა არ ეცვა. შემდეგ შევხვდი მეეზოვე ხერგეევს, რომელმაც მიამბო ქალის ამბავი.

დაკითხულ იქნენ აგრეთვე მოწმეები ვ. ჩიქოვანი (მილიციელი), მიხეილ ყორალაშვილი, ი. ჩოჩელი, კოჭაშვილი და დათა სისაური (მეეზოვე).

დილის სხდომა შეწყდა ნაშუადღევის 3 საათზე.

საღამოს სხდომა

საღამოს სხდომა იხსნება 6 საათზე, ამხ. ორჯონიკიძის სახელობის კლუბში.

კლუბის ვიებერთელა დარბაზი ისევ გაჭედილია ხალხით.

ექსპერტის პასუხის მოსმენის შემდეგ იწყება მხარეების კამათი.

პროკურორის სიტყვა

— პროცესზე დაგროვილმა მასალებმა, ამბობს პროკურორი ლ. ჟღენტი ჩვენს წინაშე გასაოცარი სურათი გადაშალა. წარმოიდგინეთ ღამის წყვდიადში, ნაშუაღამევის 2—3 საათ. სადღაც მივარდნილ მინდორში, ერთი უიარაღო ახალგაზრდა ქალი იგერიებს ექვსი შეიარაღებული მამაკაცის იერიშებს. ბრძოლა გრძელდება რამოდენიმე საათი, უმწეო ქალის მშველელი არავინ არის, მაგრამ მიუხედავად ასეთი ძალთა უთანასწორობისა, ქალი თავს აღწევს ტრაგიკულ მდგომარეობას და უვნებლად გამოდის ბრძოლიდან.

ეს პროცესი საზოგადოებრივ, სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას ატარებს. საბრალდებლო სკამზე სხედან ისეთი ელემენტები, რომელნიც სდგანან თანამედროვე პოლიტიკურ, სოციალურ ცხოვრების მიღმა და რომელნიც არღვევენ ჩვენი ცხოვრების მყუდროებას. ასეთ პირთა ასალაგმავად საჭიროა დამსჯელი კანონის მაგარი ხელი. აქ ჩვენ ვხედავთ ლენინგრადში ჩუბაროვის ქუჩაზე მომხდარ ამბის განმეორებას მინიატურაში.

პროკურორი გადადის დაგროვილ მასალების ანალიზზე და აცხადებს, რომ უდაოდ დამტკიცებულად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ ხუთი ბრალდებული მომხდარ ბოროტმოქმედების მონაწილეა.

— აქ ჩვენ გვაქვს საქმე ორი სახის დანაშაულთან. პირველი, რომელიც საფუძვლად უდევს მეორეს, — ეს არის ჯგუფური ხულიგნობა. მეორეა ძალადობა ქალის გაუპატიურების მიზნით. (173 მუხ.).

დანაშაულში წილი მიუძღვის თვითეულ ბრალდებულს. ეს უდავოა. საჭიროა იმის გამორკვევა, თუ ვინ როგორი მონაწილეობა მიიღო.

ამ „საგმირო" საქმის მთავარი „გმირია" სულხანიანი, რომელსაც სასამართლოშიც შევატყობდით, თუ როგორ არის მასში გამჯდარი ხულიგნის ფსიქოლოგია. გაიგონებდით,—მის პასუხს თავმჯდომარის შეკითხვაზე: „დიახ მე ვაჟკაცი ვარო". ის ნამდვილი ავარის ტიპია.

სასამართლოში უდავოდ დამტკიცდა, რომ მეეზოვის პირველად ის ეხვეწებოდა ქალი გაიტყუეო. მან წააქცია პირველად ქალი ჯერ ქუჩაზე, შემდეგ მინდორზე გაყვანისას, მან მიიტანა პირველი იერიში.

მეორე „გმირია" მეეზოვე სამადაშვილი, მართალია, ის თვითონ ყველაფერს უარობს, მაგრამ ყველაფერი მას ამხელს. (მაზარის და საფსტვენის ისტორია). მან პირველმა მოხვია ქალს მაზარა და წააქცია, თუმცა შეჯიბრების დროს ის განზე გამოაგდეს და კოდამოძღვრებული გაისტუმრეს.

შემდეგ მიდის **ქვასროლიაშვილი**, რომელიც იმდენ თავხედობამდე მივიდა, რომ ვითომ ქალის „მხსნელადაც" გამოიყვანა თავი. თქვენ მოისმინეთ თვითონ ბ—შვილის ქალის განცხადება, რომ მართალია, ქვასროლიაშვილმა განაცალკევა სხვებისაგან, მაგრამ არა იმიტომ, რომ ეხსნა, არამედ თვითონ გაეუპატიურებია.

მეოთხეა მერაბიშვილი, რომელიც, როგორც მასალებიდან სჩანს, ბოლომდე ყოფილა ამ საზიზღარი საქმის მონაწილე.

რაც შეეხება მეხუთე ბრალდებულს კაპიანიძეს, ამბობს პროკურორი, ის უფრო პასიურია. ქალის წვალებაში მონაწილეობას არ იღებს, სდგას მოშორებით და „ამინდს უყურებს". ის ფიქრობდა, ალბად, რომ თუ ჩემმა ამხანაგებმა მიზანს მიაღწიეს, „ნასუფრალზე" მაინც მიმიწვევენო. (დარბაზში **სიცილია**).

პროკურორი ფაქტებით ასაბუთებს თვითეულ მომენტს დანაშაულისას და დასასრულ დასძენს: — იმედი მაქვს, სასამართლო ამ ანტი - საზოგადოებრივ ტიპებს გამოუტანს ისეთ განაჩენს, რომელიც დააკმაყოფილებს საზოგადოებრივ აზრს და უზრუნველყოფს ამ მავნე ტიპების ჩამოშორებას საზოგადოებისაგან.

პროკურორის სიტყვის დამთავრების შემდეგ ილაპარაკეს დამცველებმა.

დღეს გამოტანილი იქნება განაჩენი.

ბერ.

ძეხვის ფალსიფიკაცია

ამ უკანასკნელ ხანებში თბილისის ბაზარზე შემჩნეულ იქნა ფალსიფიკაციაქმნილი ძეხვები.

ძეხვების ნიმუში საანალიზოთ გაიგზავნა ქიმიურ ლაბორატორიაში. ანალიზით გამოირკვა, რომ წითელ-კანიანი ძეხვები დიდათ მავნებელია ადამიანის ორგანიზმისათვის. ძეხვებს განზრახ აწითლებენ ქვანახშირის საღებავებით, რომ წითელ - კანიანი ძეხვი უფრო მოეწონოს მყიდველს.

გამორკვეულია, რომ ფალსიფიკაციაქმნილი ძეხვები მზადდება არა ადგილობრივ, არამედ ქუთაისში, საიდანაც შემოაქვთ გასასაღებლად.

ფალსიფიკაციაქმნილი ძეხვების გამოცნობა შეიძლება მით, რომ კარგი ხარისხის ძეხვებს ზედაკანზე ქონი აქვთ არა წითელი, არამედ თეთრი.

ამჟამად შეგროვებულია 2 ნახ. ფუთამდე ფალსიფიკაციაქმნილი ძეხვები.

მეტი სიფხიზლე სახელმწიფო ქონების დასაცავად

(ცეცხლგამძლე სალაროების გაქურდვათა გახშირების გამო)

მიმდინარე წელს თბილისში გახშირდა ცეცხლგამძლე სალაროების გაქურდვის შემთხვევები.

რამოდენიმე ხნის წინად იყო ცდა ლითონ-ტრესტის საწყობის ცეცხლგამძლე სალაროს ამოჭრისა. შემდეგ კი ამოჭრის საშუალებით გაქურდეს კოოპერატივ „ოაზის" სალარო, წაიღეს ფულათ 5.000 მანეთი. გაქურდეს მოქ. ტოხტაკიანცის სალარო—წაიღეს ფულათ 8.000 მანეთი. უკანასკნელად კი სამ ადგილას ამოჭრეს მუშკოოპის ცენტრალური ცეცხლგამძლე სალარო. წაიღეს ფულათ 21.247 მანეთი.

ცეცხლგამძლე სალაროების ამოჭრის შემთხვევები იშვიათ მოვლენას წარმოადგენს თბილისის სისხლის სამართლის პრაქტიკაში. ცეცხლგამძლე სალაროების ამგვარად ამოჭრა მოითხოვს გაუმჯობესებულ იარაღებს, რაც ჰქონიათ ბოროტმოქმედებს.

მართალია, სისხლის სამართლის მილიცია ღებულობს ზომებს ამ ბოროტმოქმედების წინააღმდეგ, მაგრამ ეს არ კმარა. საჭიროა თვით დაწესებულებების მეთაურებმა შეიგნონ ეს გარემოება და გამოიჩინონ მეტი ფხა და უნარი სახაზინო ქონების დასაცავად

ამჟამად ჩვენს პრაქტიკაში ადგილი აქვს ერთ სამწუხარო მოვლენას.

დიდი თანხის მქონე დაწესებულებების ხელმძღვანელთ სამუშაო დღის დასრულების შემდეგ არ შეაქვთ ბანკებში თავისუფალი თანხები. ამის შესახებ სათანადო ინსტრუქცია არის გამოცემული. მაგრამ ის რჩება „ხმა მღაღადებლისა უდაბნოსა შინა"

ჩვენის აზრით ზოგიერთ დაწესებულებათა ხელმძღვანელების ასეთი მოქმედება დანაშაულობაა და ამ წესის დამრღვევნი პასუხისგებაში უნდა იქნან მიცემულნი სისხლის სამართლის წესით სამსახურისადმი გულგრილობისათვის

სისხლის სამართლის მილიცია ფხიზელ თვალყურს ადევნებს ცეცხლგამძლე სალაროების გაქურდვის შემთხვევებს. სამი საქმე უკვე გამოძიებულია და დამნაშავენი დაპატიმრებული არიან.

რაც შეეხება მუშკოოპის ცენტრალურ სალაროდან 21.247 მანეთის გატაცებას—სწარმოებს სასტიკი გამოძიება ბოროტმოქმედთა დასაპატიმრებლად. მაგრამ ყოველივე ეს არ ანთავისუფლებს სამეურნეო დაწესებულებათა ხელმძღვანელებს პასუხისმგებლობისაგან.

შემთხვევის ადგილზე გამოცხადებულ სისხლის სამართლის მილიციის თანამშრომლების თვალწინ უდგებათ შემდეგი სურათი:

საწყობი, მაღაზია ან კანტორა, საიდანაც ადგილი ჰქონდა სახელმწიფო ქონების გატაცებას—არ არის სათანადოთ დაცული. კარები ან დუჟკატავია, ან დაკეტილი უბრალო ბოქლომით. შენობებზე მეთვალყურეობა სუსტია, ან სრულებით არ არის.

ერთი სიტყვით, ნებსით თუ უნებლიეთ საშუალებას აძლევენ ქურდ-რეციდივისტებს უბრალო „ატმიკის" საშუალებით გააღონ დაწესებულების კარები და გაიტაცონ ქონება.

ჩვეულებრივ [illegible] კი დარაჯის დაქირავებით და შენობის საფუძვლიანი დაკეტვით გადავარჩენთ სახაზინო ქონებას გატაცებისაგან.

ჩვენ სამართლიანად მიგვაჩნია ის, რომ ფაქტიურ ბოროტმოქმედებთან ერთად გასამართლებული იქნან დაწესებულებების ის ხელმძღვანელი პირები, რომელთა დაუდევრობით და უყაირათობითაც იქნება ბოროტმოქმედების ჩადენის საბაბი.

საჭიროა მეტი გამჭრიახობა და სიფხიზლე სახაზინო და საზოგადო ქონების დასაცავად.

სისხლის სამართლის მილიციის უფროსი
გრ. თოფურია.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

თბილისის შრომის ბირჟა. აღრიცხვაზე აყვანილ უმუშევართა საყურადღებოთ აცხადებს, რომ დღეს 23 დეკემბერს სამუშაოზე იგზავნებიან შემდეგი უმუშევრები:

კვალიფიციურ მუშათა 1-ლი სექციიდან: შალვა სვიმონისძე დოლონაძე, ევანე სერგოს ძე კაჭავა, მიხეილ ნიკოლოზისძე ვაგნიძე, დავით ლევანისძე პიტნავა, ბესარიონ გიორგისძე ჯავახიშვილი, ბორის პავლოვი. ერვანდ ასტვაცატუროვი, ივანე ლიუეჩენკო თედორე ლაზენნი, იაკობ კამიშოვი და ანდრო ბუდინსკი.

პარტიულ მუშაკთა სექციიდან: ვარლამ თომასძე ოსიძე, დავით სპირიდონისძე არეშიძე, ერვანდ ამირხანოვი, სტეფანე კულიჯანოვი

გონებრივ მუშაკთა მე-2 სექციიდან: ელისაბედ აგილენკო, ლიუბა ივანოვა. **აღმშენებელ მუშათა მე-5 სექცია:** მიხეილ დოკუჩაევი.

მედიცინის მუშაკთა სექციიდან: თამარ სარაჯიშვილი, ნინო ბენდელიანი, ელენე სურნაკოვა, მურუ დონდუაშვილი, ლიუბა ბეგიჯანოვა, რახილ მენდელენბურგი, თამარ გურაშვილი, ოლღა გიორგაძე, ელენე ჩხაიძე, სერგო ვასნაზოვი. გაბრიელ თავართქილაძე, გაბრიელ ტერ-ოგანეზოვი, ანტონ მდივანი, აპოლონ მჭედლიშვილი, მინადორა გოთოშია, თამარ სიხარულიძე, ელენე მაჭავარიანი, მიხეილ მანუსოვი და არსენ ტოროშელიძე. **შავ მუშათა მე-8 სექციიდან:** ამბროსი სანიკიძე, გენო ბესტაევი, სამსონ უმიკაშვილი, აპოლლარ გრიგორიანი, ნიკოლოზ ამირეჯიშვილი.

რადიო-გადაცემა

პარასკევი, 23 დეკემბერი

დღეს, 23 დეკემბერს, საქართველოს პროფკავშირთა საბჭოსთან არსებულ რადიო-სტუდიიდან გადაცემული იქნება:

პოლიტიკური მიმოხილვა—თურქულ ენაზე.
ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობა—ქართულ ენაზე.
ყელჭირვება და ხუნაგი და მათთან ბრძოლა—თურქულ ენაზე.
საუბარი ბიოლოგიაზე—რუსულ ენაზე.
კომკავშირის გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი"—ქართულ ენაზე.
ობსერვატორიის ცნობა.
მუსიკის ახსნა-განმარტება.
კონცერტი ანდა ტრანსლიაცია.
ტეხნიკური კონსულტაცია.
ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია-- რუსულ და ქართულ ენებზე.

პარტიული კალენდარი

საქართველოს კომ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის [illegible] სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება იტყობინება, რომ დღეს, 23 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე მუშათა ცენტრ. კლუბში მოწვეულია თათბირი სააგიტაციო-საპროპაგანდო კომისიისა, აგიტპროპორგანიზატორებისა და იმ ამხანაგების, რომლებიც გამოყოფილი არიან ინდივიდუალურ და ჯგუფურ სააგიტაციო მუშაობისათვის. დასახელებულთა დასწრება სავალდებულოა.

დღეს, 23 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე მე-5-ე პროფსკოლის შენობაში (პლეხანოვის პროსპ. № 166) შესდგება განათლების მუშაკთა კომ-უჯრედის დახურული სხდომა.

საქართველოს კომ. პარ. (ბ) ცენტრ. საკონტ. კომისია სთხოვს ამხ. ვენ. სიჭინავას გამოცხადდეს დღეს, 23 დეკემბერს, დილის 9 საათზე, საქართველოს კომ. პარ. (ბ) ცენტრ. საკონტროლო კომისიაში (რუსთაველის პროსპ. 24, მესამე სართული, ოთახი ნომერი 12).

სახ. უნივერსიტეტის გაერთიანებული კომ-უჯრედთა ბიურო იტყობინება, რომ დღეს, 23 დეკემბერს, საღამოს 4 საათზე მიმდინარე პოლიტიკის წრეებში მეცადინეობის დასაწყებათ სტუდენტთა კლუბში უნდა გამოცხადდენ პოლიტეხნიკური ფაკულტეტის კომპარტიისა და კომკავშირის უჯრედთა წევრ-კანდიდატები, ხოლო საღამოს 6 საათზე კი უნდა გამოცხადდენ აგრონომიულ ფაკულტეტის კომპარტიისა და კომკავშირის წევრ-კანდიდატები დასწრება სავალდებულოა.

საქართველოს კომ. პარ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტის საღრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება წინადადებას აძლევს ამხ. მიხეილ ცაგარეიშვილს ორი დღის ვადაში გამოცხადდეს საქართველოს კომ. პარ. (ბ) ცენტრ. კომ. საღრიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებაში ამხ. კვირკველიასთან) ოთახი ნომერი 11).

ს.კ.პ. ლენრაიკომი იტყობინება, რომ ხვალ 24 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე პლეხანოვის სახ. კლუბის სალექციო დარბაზში შესდგება რაიკომის მე-3-ე პლენუმი კომ-უჯრედების ბიუროს წევრებთან ერთად.

სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულ ა. ლ. კ. კ. უჯრედთა გაერთიანებულ ბიურო-კოლექტივის ახალი შემადგენლობის სხდომა შესდგება დღეს, 23 დეკემბერს, დღის 12 საათზე. პედაგოგიურ უჯრედის ბიუროს სხდომა შესდგება—5 საათზე. სოციალ-ეკონომიური ორივე უჯრედების ბიუროს სხდომა—6 საათ. სამკურნალო უჯრედის ბიუროს სხდომა—7 საათზე.

მუდამ მწუხარებაში მყოფი: დედა ელენტი, ცოლი თებროლე შვილებით: ილია თამარა და შალვათი. ძმები ვიქტორ და აკაკი ცოლშვილით, დაი აგრაფინა ქმარშვილით, რძალი ოლია შვილებით, აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ კვირას 25 დეკემბერს, ნაშუადღევის 1-ლ საათზე გადახდილი იქნება პანაშვიდი მათთვის მუდამ მოსაგონარ

გიორგი დავითის ძე მაცაბერიძის

გარდაცვალებიდან ერთი წლის შესრულების გამო, პანაშვიდი შესდგება ვერის ახალ სასაფლაოზე 865

სამუდამოთ გაუბედურებული მამა ბიქტორ გიტოსძე, დედა ბაბუცა, და თინიკო ნაცვალაძეები, ბაბუა ივანე ბეჟანის ძე და დეიდა ვერა ივანეს ასული დუმბაძეები აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ კვირას ა/წ. 25 დეკემბერს, შუადღის თორმეტ საათზე, კუკიის სასაფლაოზე, გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი უდროოთ დაკარგულ, ზესტაფონის რკ./გზ. სკოლის მე-2 კლასის მოწაფის

ბორია (ბორისი) ბიქტორის ძე ნაცვალაძის

გარდაცვალებიდან ორმოცი დღის შესრულების აღსანიშნავად 869

გულდათუთქული მეგობრები: ქეთია თევზაძე, ნინა და თამრო თოთაძეები, გიორგი ქორქია, თამრო ფანიაშვილი, რუსუდან გოგიტაშვილი, ოთარ და ბორია ჯაფარიძეები, ოლია ქანთარია, თინა თათარაძე, ზაქრო ღვინიაშვილი, ლიუბა კოტრიკაძე, დონია კერესელიძე და მიშა რაიშვილი აუწყებენ ნაცნობთ და მეგობართ, რომ ა/წ. 20 დეკემბერს გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი გულითადი მეგობარი.

ანა (ანიკო) კვირიკაშვილი

გამოსვენება და დაკრძალვა კვირას, 25 დეკემბერს, საკუთარ ბინიდან ბუტურის შესახვევი № 10 გამოსვენება დღის 12 საათზე კუკიის სასაფლაოზე. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 საათზე

ღრმა მწუხარებაში მყოფნი და სამუდამოთ გულმოკლულნი დედ-მამა: ელენე და გიორგი, და მარო ქინქლაძეები, ბიძა ნოე, ბიცოლა ელეონორა, ბიძაშვილები: ანტონ, ეთერი და შოთა კეჟალმაძეები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობებს, მეგობრებს და გარდაცვალებულის ამხანაგებს, რომ ძვირფას დაუვიწყარ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნების-მეტყველო დარგის კურს დამთავრებულის, მეჯვრისხევის სოფლის ახალგაზრდობის სკოლის მასწავლებლის

ეკატერინე (კატიუშა) ქინქლაძის

გარდაცვალებიდან ორმოცი დღის შესრულების გამო 27 დეკემბერს სამშაბათს, ნაშუადღევის 3 საათზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი დაბა სუფსაში ადგილობრივ სასაფლაოზე (გურია). 850

აპოლო
არფასტო
სოლეი
დარბაზი

მონოპოლიურად ხატვრული ფილმი
„ბელვედერის ჩრდილში" ([illegible])
ყოველდღიური ამბები მეორე კვირა
„რა საჭიროა ცოლის გამოცვლა"
პირველად თბილისში „ტყის ნადირი"
ჩქარა: პარიზის უკანასკნელი შესანიშნავი სურათი „კულისები"
იჩქარეთ ნახოთ! უკანასკნელი 4 დღე თბილისში
„პოეტი და მეფე"

ცირკი „კოლოს"
ტელ. 1—29

პარასკევს 23, შაბათს 24, კვირას 25 დეკემბერს
განსაკუთრებული სანახაობანი
10 ახალი ატრაქციონი 10
პროგრამის მთავარი ნაწილი: მსოფლიო ბალახსის ნიმუში იაპონელები **„სიმადო"**
პირველი ქართველი მწვრთნელი **ცხომელიძე** და ყველა თქვენი საყვარელი ცხოველები.
კვირას, 25 დეკემბერს დღის ხანახაობა სრული საღამოს პროგრამით ყველა ახლად ჩამოსულ №№ მონაწილეობით, დასაწყისი დღის 2 საათზე.
დირ. ი. ზ. კუდრიავცევი. რწმუნებ. კ. გროდზინსკი. ადმინისტრატ. მ. ტადე
ნ. 373 3—1

მიხეილ ბედევანიშვილის
სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის. რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3და 6—8 საათ. თბილისი, ყოლანოვის ქ., № 20 25—1

თვალის საავადმყოფო
მუდმივ საწოლებით და ამბულატორიით ღებულობენ ექიმები:
ა. ნ. შატილოვი
საოპერაციო დღეებში
ა. გ. მალაევი
დილით 8 9 საათ. საღამოთი 6—7 ს სტაციონალური ავადმყოფების მიღება ყოველ დროზე. კლარა ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) № 47, ტელეფონი № 5—90. 25—15

ექიმი **ი. ი. ბერიშვილი**
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოეს") პირდაპირ ჩოდრიშვილის შესახვევი (ყ. პლეხანოვის შესახვევი) № [illegible]

კინო-სოლეი
დღეს და ყოველდღე
პირველად თბილისში
მხატვრული სურათი 7 ნაწილი
ტყის ნადირი
მთავარ როლებში:
სალტიკოვი, პანოვი და სხ.
წარმტაცი სიუჟეტი.
უცილოდ დიდი წარმატება
კასა ღიაა სალ. 5 საათ. 15 წ.
პირველი სეანსის დასაწყისი: 6 ს. 30 წ.
ჩქარა: „კულისებში"
ნ. 375

ა.-კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატი
აცხადებს, რომ საკავშირო ცაკისა და სახკომსაბჭოს დადგენილებით
ინდუსტრიალიზაციის სესხის
პირველი ტირაჟი
ა. წ. 28 დეკემბრიდან გადატანილია 1928 წლის 14 იანვრამდე, რათა შესრულებულ იქნას ყველა სამუშაოები ობლიგაციების დასამტკიცებლად ხელმომწერთა სახელზე.
მეორე ტირაჟი შესდგება დაწესებულ ვადაზე—1928 წლის 20 თებერვალს. ნ. 372

სამტრედიის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი
სიმონ ნ. ნამიჩეიშვილი

ამით აცხადებს, რომ ის 29 დეკემბერს 1927 წ. საათის 11 ჟ. სამტრედიაში. ჭავჭავაძის ქუჩაზე № 69, **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მოქ. მექი სპირიდონის-ძე კალაძის უძრავ ქონებას, ნახევარი უფლებას კვითკერის სავაჭრო შენობისას, ერთ სართულიანისას, უკან ორი განყოფილებით, აგებულის მიწაზე ზომით სამხრეთის მხარეზე 8 არშინი და 10 ვერშოკი, ჩრდილოეთის კედრით 4 საჟენი და 6 ვერშოკი და სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ 10½ საჟენი, შეფასებულს 400 მან. დასაკმაყოფილებლად მაძიებელი ბიჭიკო ფარნაოზის-ძე ქავთარაძისა, თანახმად ბრძანებითი ფურც. გაცემულის სამტრედიის სახ. სასამართ. მიერ 27 ოქტომბერს 1927 წ. № 1775. ვაჭრობა დაიწყება შეფასებიდან. ვაჭრობა მოხდება დაცვით 310, 311, 312, 313 და 314 მუხ. სამოქ. სამართ. საპ. კოდექს.

სრული აწერილობის ნახვა და საქმის ვითარების გაგება შეიძლება სასამართლოს აღმასრულებლის კანცელარიაში.

ნ. 374

გაზ. „კომუნისტი"-ს
ხელისმომწერთა საყურადღებოთ

გაზ. „კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა დაბეჯითებით სთხოვს ხელისმომწერლებს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა მისამართებში ცვლილებების შეტანა ან სრულიად გამოცვლა, პროვინციის ხელისმომწერლებმა გამოგზავნონ ის მისამართი, რომლითაც გაზეთს იღებენ, ხოლო თბილისელებმა აუცილებლად წარმოადგინონ ის ქვითარი (ან ქვითარის №-რი), რომელიც მიღებული აქვთ „კომუნისტი"-ს კანტორიდან ხელის მოწერის დროს.

წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველგვარი კორესპონდენცია, მისამართებთან დაკავშირებული, უყურადღებოთ იქნება დატოვებული.

ხარჯების დასაფარავად, მისამართების შეცვლის მსურველები მოვალენი არიან წარმოადგინონ კანტორაში 25 კაპ.

0—1 **მთავარი კანტორა.**

ექიმი
ი. პ. მჭედლიშვილი
შინაგანი სნეულებანი.
სპეციალურად კუჭის და ნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ღებულობს 5—6 ს. სანაპირო ქუჩა (ყოფ. ნაბერეჟნაია) ვერისხიდთან. ტელ. № 15 № 07—8

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიულ და კანის სნეულება.
მიღება 8—12 დილ. 7—8 საღამ. პლეხანოვის პრ. № 116. სასტუმრო „ნ ო ე"-ს პირდაპირ ტელ. 12—67.

ექიმი
ბ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 6 საათიდან 12 საათამდე, საღამოთი 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე. ელისაბედის ქუჩა, № 3, 25—18

ექიმი
არს. ს. ვადაჭკორია
ღებულობს ავადმყოფებს დილაობით 9—12 საათამდე, საღამოთი 4—6 საათამდე.
ლენინის ქ. № 35, ყოფ. ოლღას). 13—1

ექიმი **ჯალალოვი**
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9—საათამდე საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ მისამართი კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 25—2

დავკარგე ლომბარდის ქვითარი № 16947, ჩ. გ. 870

დავკარგე მუშკოოპის წიგნაკი № 29767 და ორდერი ივანე ზურაბისძე ხუბეჯაშვილის სახელზე, ჩ. გ. 872

დავკარგე სამხედრო საღრიცხვო ბარათი № 1405 შალვა ფოცხიშვილის სახელზე, ჩ. გ. 868

დავკარგე პირადობის მოწმობა № [illegible] დომენტი ჯიშკარიანის სახელზე, ჩ. გ. 866

დავკარგე ელექტრული ამონაწერი № 1136 დარისა გაჩნაძეს სახელზე, ჩ. გ. 867

დავკარგე პასპორტი მამედ მამედ ოღლის სახელზე, ჩ. გ. 864

[illegible] სტამბა, კამოს ქ. № 68